



**A STREETCAR NAMED DESIRE  
BY TENNESSEE WILLIAMS**

## ტენესი უილიამსი

ტრამვაი, რომელსაც "სურვილი" ჰქვია

გიორგი ჯაბაშვილის თარგმანი

თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალში "საბჭოთა ხელოვნება", 1983 წ. № 2

წარმოდგენილი ეგზემპლარის მომზადებისას,  
ვისარგებლეთ ჟურნალის ელექტრონული ვერსიით,  
რომელიც დაცულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში.



# გრამვი, რომელსაც

# „სურვილი“ ჰქვია

ტენესი უილიამსი (დ. 2911 წლის 26 მაისს აშშ-ს მისისიპის შტატის ქ. კოლუმბუსში. მისი ნამდვილი სახელია ტომას ლანიერ უილიამსი — ტენესი მას უნივერსიტეტელმა მეგობრებმა შეარქვეს) არტურ მილერთან ერთად ამერიკული დრამატურგიის უდიდეს წარმომადგენლად ითვლება. მამამისი — კომივოაჟერი, საქმოსანი, მტკიცე ხასიათისა და დროსტარებას, აზარტულ თამაშობებს გადაყოლილი კაცი იყო, დედა კი ჩამომავლობით სასულიერო წოდების ოჯახს ეკუთვნოდა. ოჯახში მყუდროება არ სუფევდა და სულიერად მშობლებისაგან გარიყულ პატარა ტომასს ბავშვობიდანვე გამძაფრებული ჰქონდა ცხოვრების ალქმის უნარი. მისი ცნობილი პიესები „მინის სამხეცე“ (რომელშიც აისახა უილიამსების ოჯახში გამეფებული ატმოსფერო), „ორფოსი ჯოჯოხეთში“, „იგუანის ღამე“, „ზაფხული და კვამლი“, „კატა გახურებულ სახურავზე“ და სხვანი ამერიკული და მსოფლიო თეატრის კლასიკურ ქმნილებებად იქცნენ. ტ. უილიამსის შედევრია „ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვია“. ლიტერატურის მკვლევარებს არ დაუშურებიათ ერთმანეთის საინაზღაფრეგო ლიტერატურული ტერმინები ტენესი უილიამსზე მსჯელობისას. მასში ხან ნატურალისტს ხედავენ, ხან რეალისტს, ხან ექსპრესიონისტსა თუ მოდერნისტს, ხან კი ყველაფერს ერთად, რაც ფროიდიზმის საძირკველზეა აგებული, მაგრამ უდავოა

მისი ფსიქოლოგიური წვდომისა და ამ ფსიქოლოგიური მასალისათვის სცენური სიცოცხლის მინიჭების განსაცვიფრებელი უნარი. იგი დაურიდებლად აწიშვლებს ადამიანის ბუნების უიდუმალეს თვისებებს და დღის სინათლეზე გამოაქვს მისი სულის ფსკერზე აკრეფილი განცდების ნამუსრევები. „ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვია“ დაიბეჭდა 1947 წელს და დაიმსახურა ნიუ-იორკელ თეატრალურ კრიტიკოსთა და პულიცერის პრემიები. იმავე წლის 3 დეკემბერს იგი ღაიდაგა ეტელ ბარიმორის თეატრში, ნიუ-იორკში. დადგმა განახორციელა ცნობილმა რეჟისორმა და აქტიორმა ელია კაზანმა. მთავარ როლებს ასრულებდნენ ჯესიკა ტანგი და მარლონ ბრანდო. ამის შემდეგ ამ პიესამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი მსოფლიოს უდიდესი თეატრების სცენებზე და ორმოცამდე ქვეყანაში დაიდგა. ტენესი უილიამსზე ამბობდნენ, პიესების წერისას ცალი თვალი ჰოლივუდისკენ უჭირავსო, რადგან მისი ბევრი პიესაა ეკრანზე გადატანილი. 1951 წელს „ტრამვაი...“ ეკრანიზებულ იქნა იმავე ელია კაზანის მიერ. ამჯერად მთავარ როლებს ასრულებდნენ ვივიენ ლი, მარლონ ბრანდო, კიმ ჰანტერი, კარლ მოლდენი და სხვანი. ფილმმა ოსკარის სამი პრემია მიიღო.

თარგმანი იბეჭდება მცირე შემოკლებით. კუპირები ეკუთვნის მთარგმნელს.

### მოქმედი პირნი

- ბ ლ ა ნ შ ი
- ს ტ ე ლ ა
- ს ტ ე ნ შ ი
- მ ი ჩ ი
- ი უ ნ ი ს ი
- ს ტ ი ვ ი
- პ ა ბ ლ ო
- ზ ა ნ გ ი ქ ა ლ ი
- ე ქ ი მ ი
- ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი
- ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა კ ა ც ი
- მ ე ქ ს ი კ ე ლ ი ქ ა ლ ი

### პირველი სურათი

მოჩანს ორსართულიანი კუთხის სახლი ახალი ორლეანის ქუჩაზე, რომელსაც „ელიზიუმის მინდვრები“ ეწოდება. ეს მწირი უბანია, მაგრამ, სხვა ამერიკული ქალაქების ასეთვე უბნებისაგან განსხვავებით, აქაურობა ერთთავად ატეხილი ვნების მშვენიერებით არის მოცული. შენობები ძირითადად თერთრად მოჩანან, ავღრისაგან გახუნებულნი, მორყეული გარეთა კიბეებითა და აივნებით და უცნაურად მოჩუქურთმებული ფრონტონით. ამ შენობაში ორი ბინაა, ზემოთ და ქვემოთ. ორივე ბინის შესასვლელისაკენ მიემართება ფერსაქვევი თეთრი კიბე. მაისის ღამდღის ოდნავ შებინდებული საღამოა.



გარემოს შესაბამის განცდებს აღძრავს შეყვანილია მუსიკა, კუთხნა უკან მდებარე ბარიდან რომ მოისმის.

რამდენიმე სახლს იჩით კი დანჯღრეულ პიანინოზე თავდავიწყებით დაჰქრიათ ყავისფერი თითები. ეს „ციხისფერი პიანინო“ გამოხატავს იმ ცხოვრების სულს, აქ რომ სუფევს.

ორი ქალი, თეთრკანიანი და შავკანიანი, კიბის-თავზე გამოსულან და პერისთვის შეუშვერიათ სახე. თეთრკანიანი იუნიისია, ზემო სართულზე მცხოვრები; შავკანიანი კი მეზობელი: ახალი ორღენი ხომ კომპოზიტორი ქალაქია, (მოსახვევიდან გამოდიან ორნი, სტენლი კოვალსკი და მიჩი, დაახლოებით ოცდარვა-ოცდაათი წლისანი, უხეშ სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილნი. სტენლის ხელში თავისი ბურთის სათამაშო კურტაკი და ყაბისაგან წამოდებული სისხლით გაღვნილ ქაღალდში გამოხვეული ხორცი უჭირავს. კიბის ძირში ჩერდებიან).

**სტენლი.** (რაც ძალი და ღონე აქვს გასძახის) ეპეი, სტელა, სად ხარ, ჩემო გოგონი! (პირველ სართულზე კიბესთან გამოდის სტელა, მოხდენილი ყმაწვილი ქალი, ოცდახუთიდან წლისა. აშკარად ეტყობა, რომ სრულიად განსხვავდება ქმრისაგან აღზრდილია და წარმოშობით)

**სტელა.** (რბილად). ასე ნუ მიყვირი, გამარჯობა, მიჩ.

**სტენლი.** დაიქი!

**სტელა.** რა არის?

**სტენლი.** ხორცი.

**სტელა** (უკან მისძახის). სტენლი! საით გაგიწევია?

**სტენლი** წავალ. ბურთს გავაგორებ!

**სტელა.** შეიძლება მოვიდე და გიყურო?

**სტენლი.** წამო. (გაღის).

**სტელა.** ახლავე დაგეწევი (გაღის)

**ზანგი ქალი.** ერა იყო, ქაღალდში გამოხვეული რო ესროლა? ჰა? (წამოდგება და თან თავშეუთავებლად იცინის).

**იუნიისი.** ჩუმად, ჰა!

**ზანგი ქალი.** რაო, რა დაიქი?

(ისევ იცინის, მოსახვევიდან გამოდის ბლანში, ჩემოდნით ხელში. დახვდავს ქაღალდის ნაყუსს, შემდეგ შენობას უყურებს. მერე ისევ ქაღალდს დასცქერის და ისევ შენობას გახედავს, გამომეტყველებზე ეტყობა, შეძრწუნებულია, თითქოს თვალებს არ უჯერებს. მისი იერი სრულიად არ შეესაბამება აქაურობას. ნატივი თეთრი კაბა მჭიდროდ ადგას ტანზე. ყელსაბამი და მარგალიტის საყურეები, თეთრი ხელთათმანები და შლაპა ისეთ იერს აძლევენ მას, თითქოს კოქტილზე ან ჩაის სმაზე სწევოდეს ვინმეს მდიდრულ აგარაკზე. იგი ხუთიწილი წლით უფროსი იქნება სტელაზე, მის დახვეწილ გარეგნობას არ უხდება ძლიერი შუქი. გაუბედავი მიხრა-მოხრითა და თეთრი ტანსაცმლით თითქოს ფარვანას წაავაგოს).

**იუნიისი** (კარგახანს ხმაამოუღებლად უყურებს). რაო, საყვარელი, გზა ხომ არ აგებნათ?

**ბლანში** (მის ოხუნჯურ კილოს შემფრთხივების იერი დაჰკრავს). მითხრეს ჩაქლებითო ტრამვაიაში, რომელსაც „სურვილი“ ჰქვია, მერე გადაქლებითო მეორეში. იმას თურმე „სასაფლაო“ რქმევია, ექვს კვარტალს

გაივლითო და გადმოხვალთო და ის იქნებაო ელიზბეთის მინდვრები.

**იუნიისი.** მოსულხართ და ეგ არის.

**ბლანში.** მე ჩემს დას ვეძებ, სტელა დიუბუას. უფრო სწორედ, ქალბატონ სტელა კოვალსკის.

**იუნიისი.** ჰოდა, აქ არის-მეთქი, გეუბნებით. ეს-ეა არის, ცალი ფეხით გაგასწროთ.

**ბლანში.** როგორ?.. ნუთუ... ეს მისი სახლია?

**იუნიისი.** იმას ქვემო სართული უჭირავს, მე კი მაღლა ვდგავარ.

**ბლანში.** ოჰ!.. და გახულია ხადმე?

**იუნიისი.** ამ კუთხის უკან ბურთის სათამაშო მდელოები თუ შენიშნეთ?

**ზანგი ქალი.** მე წავალ და თქვენს ჩამოსვლას შევატყობინებ.

**ბლანში.** დიდად მადლობელი ვიქნები.

**იუნიისი.** თქვენი და არ გელოდათ?

**ბლანში.** არა, დღეს არა.

**იუნიისი.** ჩვენ აქ შინაური ხალხი ვართ და ამიტომ შემოიძლია შეგიატივით. (წამოდგება და ქვემოთ კარს გააღებს. ბლანში ნელი ნაბიჯით შეჰყვება იუნისის ქვემო სართულში. ინტერიერი ნათდება, ირგვლივ კი ყველაფერი სიბნელეში იძირება.

ბუნდოვნად მოჩანს ორი ოთახი. წინა ოთახი ძირითადად სამზარეულოს მოვალეობას ასრულებს, მაგრამ აქვეა საკეი საწოლი, რომელსაც ბლანში გამოიყენებს. შემდეგი ოთახია საძინებელი, საიდანაც ვიწრო კარი გადის სააბაზანო ოთახში).

**იუნიისი.** (თითქოს თავს იცავსო, ბლანშის გამოხედვას რომ შენიშნავს) აქაურობა ახლა ცოტა არეულია კია, მაგრამ, როცა მივლაგდებით, ნამდვილად ზედ დაგრჩებათ თვალთ.

**ბლანში.** რას ბრძანებთ?

**იუნიისი.** სწორედ, სწორედ. მაშ, თქვენ სტელას და ყოფილხართ?

**ბლანში.** დიახ. (ცდილობს თავი დააღწიოს როგორმე მადლობას მოგახსენებთ, რომ კარი გამოიღეთ.

**იუნიისი.** ბევრს ლაპარაკობს თქვენზე.

**ბლანში.** მართლა?

**იუნიისი.** თქვენ, მგონი, სკოლაში უნდა ასწავლიდეთ.

**ბლანში.** დიახ.

**იუნიისი.** და მისისიპიდან მობრძანდებით, არა?

**ბლანში.** დიახ.

**იუნიისი.** თქვენი სახლის სურათიც უჩვენებია, პლანტაციაზე რომ გქონიათ.

**ბლანში.** „ლამაზი ოცნება“ რომ ჰქვია?

**იუნიისი.** კაი მოზრდილი, თეთრსვეტებიანი სახლია.

**ბლანში.** მაპატიეთ თუ შეიძლება, მაგრამ ისე დავაქანე, ლამის წაიქცე.

**იუნიისი.** მომიკვდეს თავი, საყვარელო, მერე და რატომ არ დაქლებით?

**ბლანში.** მე მხოლოდ იმის თქმა მსურდა, რომ მინდა მართლ დავრჩე.

**იუნიისი.** ოჰ, თუ მასეა, ახლავე გაგეცლებით, თქვენ დაგენაცვლეთ.

**ბლანში.** მე თქვენს წყენინებას სულაც არ ვაპირებდი, მაგრამ...

**იუნიისი.** ახლავე სათამაშო მდელოებს მივაშურებ და თქვენს დას აქეთ გამოვაჩქარებ (გაღის).

(ბლანში ზის სკამზე, გახვეული, ოდნავ მხრებანს).

რული და ერთმანეთზე ფეხებმძიკულებული, ხელეშით  
კი ისე ჩაფრენია ჩანთას, თითქოს სიცივისაგან მოკრუნ-  
ჩხულაო. მცირე ხნის შემდეგ სახეზე უაზრო გამომე-  
ტყველება გაუქრება და ნელა მოავლებს თვალს იქაუ-  
რობას).

ბ ლ ა ნ შ ი (ოდნავ გასაგონი ხმით) უნდა როგორმე  
გაგაზარდო.

(სტელა სწრაფად გამოდის კუთხიდან და სირბილით  
გამომეშურება ქვემო კარისაკენ)

ს ტ ე ლ ა (სიხარულით ალტაცებული) ბლანშ!  
(მცირე ხანს ერთმანეთს მისჩერებინა, შემდეგ ბლან-  
ში წამოხტება და სტელას მივარდება კივინით).

ბ ლ ა ნ შ ი. სტელა! ო, სტელა, სტელა! სტელა, ჩემო  
ციცინათელა!

(იგი ლაპარაკობს დაძაბულად, ცოცხლად, თან თით-  
ქოს შიშობს ან თვითონ ან სტელა გონა არ მოეგონ,  
ფიქრებს არ მიეცენ) აბა, ერთი, დამენახე, შეგხედო.  
შენ ნუ მიყურებ, საყვარელო. არა, არა, არა-მეთქი,  
ვიდრე აბაზანას არ მივიღებ და არ დავისვენებ! გამორ-  
თე ეგ ზემო ლამა! ჩააქრე, თუ ქალი ხარ! არ მინდა მი-  
ყურო ამ დაუნდობელ კაშკაშა შუქზე! (სტელა იციინის  
და თხოვნას უსრულებს) ახლა კი აქ მოდი, ჩემო  
გოგონი! სტელა, სტელა, ჩემო ციციანათელა! (ისევ უ-  
ვება) აღარ მეგონა, თუ ოდესმე დაუბზუნდებოდი ან  
საშინელ ბუნავს. თუმცა, რას ვამბობ! უნებურად წამო-  
მცდა. მე კი, პირიქით, სულ საამო სიტყვებით მინდოდა  
შემემკო აქაურობა — ოჰ, რა დიდებული სახლია-მეთ-  
ქი, მინდოდა მეთქვა, და თანაც — ჰა, ჰა, ჰა! რა თვი-  
ნიერი ბატანი ხარ, არა? ერთი სიტყვა მაინც შემოგე-  
წია ჩემთვის, ქალო.

ს ტ ე ლ ა. კი, მაგრამ, რომ აღარ მაცლი, ძვირფასო!  
(იციინს, მაგრამ, ცოტა არ იყოს, შესუფთოებული შეს-  
ტკერის ბლანშს).

ბ ლ ა ნ შ ი. კარგი, აბა, და მამ მოჰყვივი, განახვენ  
ეგ შენი პაწია, კობტა ბაგე, და ვიდრე შენ ტკბილად  
იტიტინებ, მე აქ ვიფათურებ. იქნებ დასალევს წავაწყ-  
დე რასმე! ვიცო, ცოტაოდენი სასმელი გადანახული გექ-  
ნებათ სადმე, ნეტავ სად უნდა იყოს? ოჰ, აგერ, აგერ,  
დავინახე! (მივარდება განჯინას და ბოთლს გამოიღებს,  
ერთთავად შეიკებულებით ძაგბაგებს და სუნთქვა გვე-  
რის, როცა გაიცინებას ლამობს, ბოთლი ლამის ხელიდან  
გაუვარდეს).

ს ტ ე ლ ა (ამჩნევს რა დღეშიც არის მისი და) ბლანშ,  
საყვარელო, მოდი, ჩამოგქეი, და მაგას მე დაგისხამ.

ბ ლ ა ნ შ ი. მოეწვი, თუ ქალი ხარ, ჩემს ნერვებს ეგ-  
და უნდა ამაღამ! კი, მაგრამ, სად... სად... სად არის?..

ს ტ ე ლ ა. სტენლი? ბურთის გორებაში! გადარევით  
უყვარს კეგლის თამაში. დღეს მაგათ... აგერ, სოდას  
მივაგენი!.. შეგიბრი აქვთ გაჩაღებული.

ბ ლ ა ნ შ ი. ჩვეულებრივი წყალი მოიტანე, საყვარე-  
ლო, ისიც იქმარებს დასაყოლებლად. შენ ნუ გეშინია,  
შენი დაიკო ჭერ არ გალოთებულა, უბრალოდ ნერვები  
აქვს აწეწილი, თან სიციხემაც მოსთენთა, მოჰქანცა, და-  
საბანაც ვახლავარ. მოკლედ, დაჭექი აი, აქ, და ამისენი,  
გამარკვიე, რას წარმოადგენს აქაურობა! ან ამისთანა  
ადგილას რამ მოგიყვანა?

ს ტ ე ლ ა. კი, მაგრამ, ბლანშ...

ბ ლ ა ნ შ ი. აჰ, არ იფიქრო გეუარისხვედბოდე, მე  
უბრალოდ მინდა პატიოსნურად, კრიტიკული თვალის

შეხედო ეველაფერს. არასოდეს, არასდროს, შენი  
უსაშინელეს სიზმრებშიც კი არ მომლანდებია... მხო-  
ლოდ პო! მხოლოდ მისტერ ედგარ ალან პო! — მარტო  
ის თუ შეძლებდა ჭეროვანი მივლო უოველივე ამისათ-  
ვის.

ს ტ ე ლ ა. ცოტა მეტი ხომ არ მოგდის, ბლანშ? აქ  
არც თუ ისე ურიგო ადგილია. ახალი ორლენის სხვა  
ქალაქებით არ გეგონოს.

ბ ლ ა ნ შ ი. აქაურობას ახალი ორლენისა არაფერი  
სცხია, ეგ იგივეა, კაცმა რომ თქვას... მაპატიე, ჩემო  
კარგო! (ერთბაზად შეწყვეტს ლაპარაკს) მოვჩრებ ან  
ამბავს!

ბ ლ ა ნ შ ი. (დახედავს თავის ქიქას, ათროლებულ  
ხელში რომ უჭირავს) მე ახლა ამქვეყნად შენს მეტი  
აღარავინ გამაჩნია და შენ კი სრულიადაც არ გახარებს  
ჩემი ნახვა.

ს ტ ე ლ ა. (გულწრფელად) აბა, რას ამბობ, ბლანშ  
შენც ხომ იცი, რომ ეგ ეგრე არ არის!

ბ ლ ა ნ შ ი. ეგრე არ არის?.. აკი სულ დამავიწყდა  
რომ თავიდანვე ეგეთი უტყვი იყავი, კაცი კრინტს ვერ  
დაგაძრვინებდა.

ს ტ ე ლ ა. შენ ჩემთვის ლაპარაკი არასოდეს დაგი-  
ცლია, ბლანშ, და მეც ჩვევად გადამექცა ხმის ამოუღე-  
ბლობა იქ, სადაც შენა ხარ.

ბ ლ ა ნ შ ი. (გონებაგანტულად) ეგ არცთუ ისე  
ურიგო თვისებაა (შემდეგ ერთბაზად მოაჭრის) ის მა-  
ინც გკითხა, როგორ დავაღწიე თავი სკოლას, საგაზა-  
ფსულო სემესტრის დამთავრებამდე.

(ნერვიულად სრესს სიგარეტს). ისეთ დღეში ვყავი,  
ცოტაც და ქუაზე გადავცდებოდი. მისტერ გრეის-  
მა—ჩვენი საშუალო სკოლის გამგე განსაღვს—მირჩია  
ამელო შევებულემა საკუთარ ხარჯზე, აბა, უოველივე  
ამას როგორ ჩავტევდი ტელეგრამაში... (უცბად გადა-  
ხუხავს ქიქაში ჩარჩენილ სასმელს) უჰ, რა საამო ტრუ-  
ანტელმა დამიარა მთელ ტანში, რა კარგია! რატომ  
არაფერს მეუბნები, როგორ გამოვიყურები.

ს ტ ე ლ ა. შესანიშნავად.

ბ ლ ა ნ შ ი. დღერთი იყოს შენი მფარველი მაგ სიც-  
რუისათვის... განა სადმე გინახავს ამისთანა ბეტრეკი?  
შენ კი, შენ ცოტა დასრულებულხარ. მართლა, მართლა  
ნამდვილ ზოხობს დამგვანებისარ! და გიღდება კიდეც!

ს ტ ე ლ ა. კარგი, ერთი, ბლანშ...

ბ ლ ა ნ შ ი. მართალს გეუბნები. აი, თქობებზე კი  
ცოტა მეტი უნდა იზრუნო, აბა, ადეცი.

ს ტ ე ლ ა. სხვა დროს იყოს.

ბ ლ ა ნ შ ი. არ გეუუბრება, რასაც გეუბნები? (სტელა  
უხალისოდ ემორჩილება) ეგ თმები კი... შენს მწყაზარ  
სახეს მოკლედ შეკრეპილი უფრო დამშვენდება. სტე-  
ლა, მოსამსახურე ქალი თუ გაყავს?

ს ტ ე ლ ა. არა, აბა, ამ ორ ოთახს...

ბ ლ ა ნ შ ი. რაო? ორ ოთახსო?

ს ტ ე ლ ა. ეს ერთი და... (ამბინება).

ბ ლ ა ნ შ ი. ის კიდეც მეორე, არა? (მკახედ ვალი-  
ხარხარებს. მერე უხერხული სიჩემუ ჩამოვარდება) ასე-  
თი მშვიდი, ასეთი აუღელვებელი რამ გაგხადა, ქალო,  
დამკდარხარ, გულხელი დაგიკრეფია— თითქოს ანგე-  
ლოსთა დასში იდგე.

ს ტ ე ლ ა (დარცხვნილი) შენი ენერგია რომ მომცა,  
რავა მიჭირს, ბლანშ.



ბლანში. მე კი — შენი გადასარები მოთმინება...  
მაცალე, ცოტადენს კიდევ მოვწრუპავ... რომ იტყვიან:  
დარდის გასაქარვებლად, მერე კი ბოთლს სულ გადავ-  
მალავ, რომ სულმა აღარ წამძლიოს. (წამოდგება) მა-  
ინც რას მტყუნი, როგორი ტანი მაქვს! (შემოტრიალ-  
დება) რომ იცოდე, მთელი ამ ათი წლის განმავლობა-  
ში ერთი გრამიც კი არ მომიმატებია. ახლაც ზუსტად  
იმდენივეს ვიწონი, რამდენსაც იმ ზაფხულს, შენ რომ  
გამოგვეყცი. აი, მამა რომ გარდაგვეცვალა და შენც  
მივატოვე...

სტელა (თავს ოდნავ ძალას ატანს) პირდაპირ გა-  
საოცარია, ბლანში, რა კარგად გამოიყურები.

ბლანში (ორივე უხერხულად იცინის) ჰოდა, რო-  
გორც ხედავ, ისევ თავი მომაქვს ჩემი გარეგნობით ახ-  
ლაც კი, როცა თვალსა და ხელს შუა ვქქნები (ნერვი-  
ულად იცინის).

სტელა (თავს ძალას ატანს) ნუ ხუთხელობ, არა-  
ფერიც არ ქვნები.

ბლანში. ჩემი ამდენი წანწალის შემდეგ? ზღაპ-  
რებს ნუ მიყვები! ეპ, ჩემო კარგო, საყვარელო...  
(მთრთოლვარე ხელს შუბლზე გადაისვამს) მაშ, სულ  
ორი ოთახი გაქვო...

სტელა. და საბაზანე...

ბლანში. ბიუოს, აბაზანაც გქონიათ! (ორივე უხე-  
რხულად იცინის) კი მაგრამ, სტელა, მაინც ხალ მიპი-  
რებ დაწვევას?

სტელა. ხალ და აი, იქ.

ბლანში (უცუქანით) გადასარევი, საყვარელო, მე  
არც კი მიყვარს დიდი გაფაშვებული საწოლები, მაგ-  
რამ, ამ ორ ოთახს შორის კარები არ ჩანს და სტენლი  
— ცოტა უხერხული არ იქნება? (ორივე ისევ უხერხულ-  
ად იცინის) მე თან რამდენიმე ლამაზი კაბა მაქვს  
წამოდებული, რომ შენს ძვირფას მეგობრებთან გამო-  
ჩენა შევძლო.

სტელა. არა მგონია, მეტიმეტად ძვირფასებად მი-  
ჩნისო ისინი.

ბლანში. ვინ არიან, რას წარმოადგენენ?

სტელა. ვინ იქნებიან სტენლის მეგობრები?

ბლანში. პოლონელები?

სტელა. ვინდა ან არიან, ბლანში.

ბლანში. რა გაწყობა... რაყი ასე მორთულ-მო-  
კაშმული გეახელით, უნდა ვატარო კიდევ ეს კაბები,  
აბა, რა ვქნა. მე მგონი, შენ იმის მოლოდინში ხარ, რო-  
დის წამოშვდება, სასტუმროში გაჩერდებიო, მაგრამ,  
ვერ მოგართვი, არხადაც არ ვაპირებ გაჩერებას. მე შენ-  
თან უოფნა მინდა. გვერდით ვინმე უნდა მყავდეს. არ  
შემიძლია მარტო დარჩენა. იმიტომ რომ... ალბათ, უკვე  
შემამჩნიე... მე... არც თუ ხე კარგადა ვარ... (ხმა ჩა-  
წყვდება. მის თვალბში შიში გამოსკვეივის). მოვეწო-  
ნები სტენლის თუ არა, ან იქნებ უბრალოდ სტუმრად  
ჩამოსულ ცოლისდად მივიღოს და მეტი არაფერი. ა,  
სტელა? ამას კი ნამდვილად ვერ გადავიტან.

სტელა. შესანიშნავად შეეწყობით ერთმანეთს თუ  
მაინცა და მაინც არ ეცდები... იმ ხალხს არ შეადარო,  
ჩვენ რომ თავიდანვე გარს გვესვია.

ბლანში. ასე სულ სჭვანაირია?

სტელა. კი, სულ სხვა ჩიხისა გაქლავს.

ბლანში. მაინც როგორია, ამიწერე.

სტელა. აბა, როგორ უნდა ასწერო კაცი, რომე-  
ლიც გიყვარს! აბა, აგერ, მისი სურათი. (გაუწოდებს  
ფოტოსურათს).

ბლანში. რა თქვა, როცა უთხარი, რომ მე ჩამო-  
ვლივარ?

სტელა. სტენლიმ ჯერ არც კი იცის ეგ.

ბლანში. (შემკრთალი) როგორ — ჯერ არ გითქ-  
ვამს?

სტელა. რა ვქნა, ერთთავად სულ წასვლა-წამოსვ-  
ლაშია.

ბლანში. ოჰო, მოგზაურობს?

სტელა. (თითქოს თავის თავს მიმართავს) ერთი  
ღამეც რომ არ გაათიოს სახლში, მე ჩემი მემართება.

ბლანში. კარგი ერთი!

სტელა. ერთი კვირით თუ წავიდა ხალმე, ლამის  
მთლად გადავირიო!

ბლანში. დამერთო ჩემო!

სტელა. და დაბრუნდება თუ არა, მის კალთაში  
ჩავრგავ ხოლმე თავს და პატარა ბავშვივით ვტირო...  
(თითქოს თავისთავა უღიმის).

ბლანში. აი, ეგ მესმის, ალბათ სწორედ მაგას  
ეძახიან სიყვარულს... (სტელა სახეგაბრწყინებული ანე-  
ლავს მის) სტელა...

სტელა. რა იყო?

ბლანში. სტელა, შენ ალბათ საყვედურებით ამიკ-  
ლებ.

სტელა. რასთვის, ქალო, აღარ შეტყუე?

ბლანში. (დუნელ) დაიკარგა... დაკარგეთ...

სტელა. რა? ჩვენი „ლამაზი ოცნება?“ დაიკარგა?  
არ გამავგონო!

ბლანში. კი, ჩემო სტელა, დაიკარგა.

(ერთმანეთს შეაჩერდებიან ყვითელ-კულპორულ ლი-  
ნოლექუმგადაფარებული მაგიდის აქეთ-იქით მსხდომნი).

სტელა. მაინც რა შეგემთხვა? რა მოხდა?

ბლანში. (წამოხტება) შენ რა გიყირს! შეკითხვას  
წინ რა უდგას, არა?

სტელა. ბლანში!

ბლანში. რაღა გიშავს, დაჩქეი და ბრაღლებზე  
აქეთ წამომიყენე!

სტელა. ბლანში!

ბლანში. მე, მე, დიახ, სწორედ მე მქონდა შეშ-  
ვერლი სახე ცხოვრების ქარიშხლისათვის, სწორედ მე  
ვედექი კარზე მომღვარე ყველა უბედურებას. ახლა ეს  
ამდენი სიკვდილიანობა! შენ უოველთვის დაკრძალვავ  
გამოჩნდებოდი ხოლმე, სტელა, მაგრამ დაკრძალვა რას  
მიქვია... შენ სიკვდილი იყოიქე, დაკრძალვავ სრული  
სიწყინარე სუფევს, სიკვდილისა კი რა მოგახსენო. აბა,  
ერთი როგორი საყურებელია, როცა მომაკვდავს ხუნ-  
თქვას ხრინწი აღარ აცლის, ან სულაც სრიალია გეს-  
მის მსოლოდ, ან როგორ შემოგტირებენ „არ გამიშვა  
პატარა ხანს კიდევ მაცოცხლეო!“ თითქოს შენს ხელში  
იყოს მათი უოფნა-არუოფნა! დაკრძალვა კი (შეიღად,  
წყინარად ხდება, ლამაზ-ლამაზი ყვავილებით არის შემ-  
კობილი. არა და, რა დიდებულ კიღობებში უკ-  
რავენ ხოლმე თავს! თუ იმ დროს თავს არ ადექი, რრ-  
დესაც შემოგახსებენ ზიშველე რამეო, ვერაფრით ვერ  
წარმოიდგენ რა გამეტებით ებრძვიან სიკვდალს უკანას-  
კნელ ამოსუნთქვამდე თუ სისხლის წვეთამდე. ეს ყვე-  
ლაფერი შენ სიხმრადაც არ მოგლანდება და მე კი სა-  
კუთარი თვლით მინახავს, დიახ, მინახავს-მეთქი! ახლა  
კი აგერ, ჩემს წინ ჩამომჯდარხარ და თვალბში გე-  
ტყობა, რა ბრაღლებსაც მიყენებ, როგორ გგონია, რა  
ონრობით ვახერხებდი მთელი ამ დავიღარაბის ხარკე-  
ბის გასტუმრებას? სიკვდილი ეგწოდი იოფი როდი ქლე-

ბა, ქალბატონო სტელა, მარგარეტს კი ბებრუცუნა დე-  
იდა ჭხიც უყან მიჰყვა დაბარებულივით! თუნდაც ერთ  
მათგანს მაინც რაიმე დაუტოვებია ჩვენთვის ანდერძით?  
ერთადერთმა საბრალო ჭხიმ შემოგვატოვა ასიოდ  
ცენტი თავისივე კუბოსათვის. სულ ეს იყო, ჩემო კარ-  
გო! მე კიდევ ამ ჩემი უზადრუკი, მასწავლებლის ხელ-  
ფასით... ჰო, გამამტყუნე, აბა! იჭეკი მანდ. მიყურე ეგ-  
რ და იფიქრე, როგორ ვერ შევიწარჩუნე ჩვენი მა-  
მული! შენ სადღა იყავ? ლოგინში კოტრაილობდი მაგ  
შენს პოლონელთან!

სტელა. (წამოხტება) ბლანში! დაწყნარდი-მეთქი!  
გეყოფა! (გასვლას დააპირებს).

ბლანში. სად მიბრძანდები? ეჰ, სტელა, სტელა,  
ტირისარ კიდევ!

სტელა. გიკვირს?

ბლანში. მამაკითხე... (ისმის მამაკაცთა ლაპარაკი.  
სტელა აბაზანაში შედის და კარს მოხურავს, როდესაც  
მამაკაცები გამოჩნდებიან და ბლანში მიხვდება, რომ  
სტენლი შინ ბრუნდება. მაგილიდან მის ფოტოსურათს  
აიღებს, დააკერდება, უკანვე დადებს. სტენლის შე-  
მოსვლისთანავე ადგილიდან მოაწყდება და საწოლის  
თავთან ჩამოშვებულ ფარდას ამოეფარება).

სტივი. (სტენლისა და მისს) მამ, ხვალ პოკერს  
ვთამაშობთ?

სტენლი. რა თქმა უნდა.

(ხელისკვრით შეაღებს სამზარეულოს კარს და შედის.  
იგი საშუალო ტანისაა, სიმაღლით ხუთი ფუტი და  
რვა თუ ცხრა დუიმი იქნება, ჩადგმული, ბრვე ტანი  
აქვს. მთელი მისი არსება, მისი ქცევები და მიხერა-მოხ-  
ვრა აღსავსეა ცხოველური ალტყინებით. თავი დამო-  
უკიდებლად, ისე გოროზად უჭირავს, როგორც აფხო-  
რილ მამალს, დედლებში გარეულს. ცხოვრებით სავ-  
სებით კმაყოფილს ახასიათებს მამაკაცებთან გულთა-  
ლობა, ტლანქი ოხუნჯობა, უყვარს ჭამა-სმა, დაღევა,  
აზარტული თამაშები, ყველაფერი თავისი, რაც კი  
ეკუთვნის მას, ჯიშთან ულაყს, ყველაფერი, რაც ცხოვ-  
რებას მისთვის გაუმეტებია, ქალებს ერთი შეხედვით  
აფასებს, როგორც მათი მტოდნე, და მის ღიმილში,  
ქალებს რომ უბოძებს, გამოსკვივის მის გონებაში წა-  
მოშლილი აფხორცობის სურათების ანარეკლი).

ბლანში. (მის შემოხედვას ვერ უძლებს და უნე-  
ბურად უყან იხევს) თქვენ ალბათ სტენლი ხართ, ხომ?  
მე ბლანში ვარ.

სტენლი. სტელას და?

ბლანში. დიახ.

სტენლი. გაუმარჯოს. დიასახლისი რაღა იქნა?

ბლანში. სააბაზანოშია.

სტენლი. აჰა. არც კი ვიცოდით, თუ აქეთ ჩამოსვ-  
ლას აპირებდით.

ბლანში. მე... მე...

სტენლი. საიდან ჩამოხვედით. ბლანში?

ბლანში. მე... მე ლორელში ვცხოვრობ.

(სტენლი განჩინას მიადგება და ვისკის ბოთლს გად-  
მოიღებს)

სტენლი. ლორელში? აჰ, ჰო, ჰო, ლორელში,  
მართალია. ხომ არ გადაკვრათ?

ბლანში. არა, სასმელს ძალზე იშვიათად ვეკა-  
რები...

სტენლი. ლამის ტანზე მიმეკრას ტანისამოსი. ხომ  
არა უშავს თუ შინაურულად გავირჩები? (პერანგის  
გახდას იწყებს).

ბლანში. ბატონი ბრძანდებით, ხემა თქვენია.  
სტენლი. თავისუფლად მოქცევა ჩემი დევიზი გახ-  
ლავთ.

ბლანში. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემიც.  
სტენლი. თქვენ, მგონი, მასწავლებელი უნდა  
იყოთ?

ბლანში. დიახ.

სტენლი. მერე და, რას ასწავლით, ბლანში?

ბლანში. ინგლისურს.

სტენლი. ჩვენთან გინდათ გაჩერდეთ?

ბლანში. კი ვფიქრობ, თუ არ შეგაწუხებთ.

სტენლი. როგორ გეკადრებათ.

(ფანჯარასთან კატა დაიჩხავლებს. ბლანში წამოხ-  
ტება).

ბლანში. ეს რა იყო?

სტენლი. კატაა. ჰეი, სტელა!

სტელა. (ოღნავ გასაგონად სააბაზანოდან) რა  
იყო, სტენლი?

სტენლი. შიგ ხომ არ ჩავარდი, რა დაგემართა?  
(ბლანში გაუცინებს. ბლანში ამაოდ ცდილობს ღიმი-  
ლითვე უპასუხოს. დუმული) სტელა სულ თქვენზე მე-  
ლაპარაკებოდა. განათხოვარი უოფილხართ, არა?  
(შორიდან ძლივს გასაგონად მოისმის როგორ უკრა-  
ვენს პოლკას).

ბლანში. კი, როცა სულ ახალგაზრდა ვიყავი.

სტენლი. მერე რა მოხდა?

ბლანში. იგი... ქმარი... მომიკვდა (უყან გადაქან-  
დება). შემეჩინა, ცუდად არ გავხდე (თავი მკლავზე ჩა-  
მოუყარდება).

მეორე სურათი

მეორე დღე. საღამოს ექვსი საათია. ბლანში  
აბაზანაშია. სტელა თავის ტულეტს ამთავრებს.  
ბლანშის ყვავილებიანი ჩითის კაბა სტელას საწოლზეა  
გადაფენილი.

სტენლი სამზარეულოში შემოდის გარედან, კარს  
ღის სტოვებს და გაუთავებლად ისმის „ციხფერი პი-  
ანინოს“ ხმები.

სტენლი. ეს რა სერი გაგიმართავთ?

სტელა. ოი, სტენ! (წამოხტება და ჰკოცნის სტენ-  
ლის, ამ უკანასკნელს კი თავი ბატონივით უჭირავს).  
ბლანში „გალატუარში“ მიმყავს სავახშმოოდ და მერე კი  
რაიმე წარმოდგენაზე შევალთ, რადგან შენ დღეს პო-  
კერის საღამო გაქვს.

სტენლი. მერე ვახშამს ვიდა მაქმევს?

სტელა. მაცივარში ცივად შენახული ხორცი ღვას.

სტენლი. ბიჭოს! აი, გამასპინძლებაც ასეთი უნ-  
და!

სტელა. ვეცდები ბლანში უფრო მეტ ხანს შევი-  
ყოლიო, ვიდრე თქვენ თამაშით გულს არ იჭერებთ.

სტენლი. ახლა სად ბრძანდება?

სტელა. ცხელ აბაზანაში იღბობს ტანს და ნერ-  
ვებს იწყნარებს. ისე კი, რაც მართალია მართალია,  
მაგრად არის მოშლილი.

სტენლი. მერე და ეგრე რამ მოშალა?

სტელა. სტენ, ჩვენ... ჩვენი „ლაშაზი ოცნება“ დავ-  
კარგეთ.

სტენლი. ქალაქგარე მამული?

სტელა. (ფიქრებში წასული) სხვა გზა აღარ მქონ-



და... შენწირა თუ რაღაც ამის მაგვარი (წამით სინჯუმე ჩამოვარდენა: სტენლი დადებულს დგას, სტელა ამა- სობაში კაბას გადაიცვამს) აქ რომ შემოვა, უთხარი რა- იმე სასიამოვნო მის გარეგნობაზე. ჰო, მართლა, ბავშვ- ზე არაფერი დაგცდეს, ჯერ არაფერი მიტყვამს მისთვის, რადგან მინდა ცოტა მაინც დამშვიდდეს როგორმე. ეგ სულ არ მოელოდა, რომ ასეთ სივიწროვეში დავხვდებოდი. მოკლედ, შეუქე კაბა და უთხარი, ძალ- ზე ლამაზი ხარ-თქო. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მის- თვის. რას იზამ, სჭირს ასეთი სისუსტე.

სტენლი. ერიპა! მაშ, ჩვენი დაიკო ბლანში არ შე- ვაწუხოთ საქმეზე ლაუბობით, არა?

სტელა. ხომ ნახე, რა დღეში იყო წუხელ.

სტენლი. დიახაც რომ ვნახე. ნეტავ ერთი გაყიდ- ვის ფურცელი მაინც დამანახვა.

სტელა. ჩუ, თორემ გაგიგონებს.

სტენლი. ფეხებზე მკიდია, თუ გაიგონებს. საბუ- თები მაჩვენეთ-მეთქი!

სტელა. რა საბუთები, რის საბუთები. არც არა- ფერი საბუთები მინახავს და არც არავითარ საბუთებს არ ვნადვლობ, რომ იცოდე.

სტენლი. ჩვენთან, ლუიზიანას შტატში, ნაპოლეო- ნის კოდექსი გვაქვს კანონად. რომლის მიხედვითაც ყველაფერი, რაც ცოლისაა, ქმრისაც არის და პირუტყ- აი, მაგალითად, მე რომ რაიმე საკუთრება გამაჩნდეს, ან შენ გქონდეს საკუთარი რამე...

სტელა. დამეხსენ, თავი მიბრუნე უკვე.

სტენლი. კი, ბატონო, შევეშვათ. დავიცდი, ვიდ- რე გამშრალებას მორჩება და მერე ვკითხავ; თუ გაუ- გონია ნაპოლეონის კოდექსი. თუ შენ ვინმე გაგაცუ- რებს, თანაც ნაპოლეონის კოდექსის მიხედვით, მეც გაბრწყინებული დავრჩები, მე კი არაფრად მიქაშნიკება, როცა ხმანაკლობას მიწყებენ.

სტელა. სწორედ რომ ვერ გამიგია, რა მოუვიდა ჩვენს „ლამაზ ოცნებას“, მაგრამ შენ ვერ წარმოიდგენ, რა სასაცილო ჩანხარ, როცა გეტყობა, რომ დასაშვებად მიგაჩნია ჩემმა დამ, ან მე, ან ვინმემ ჩვენი ოჯახის წევ- რთაგანმა ვისიმე მოტყუება ჩაიდოს გულში.

სტენლი. მაშ, რა იქნა ფული, თუ ადგილ-მამუ- ლი გაიყიდა?

სტელა. არ გაყიდულა, არა — დაიკარგა, გესმის, დაიკარგა-მეთქი! (სტენლი საწოლ ოთახში შეიჭრება, სტელა უკან მისდევს) სტენლი! (სტენლი გაშმაგებით გამოაღებს ოთახის შუაგულში გარდერობის კარს და მთელ გროვა კაბებს გადმოყრის).

სტენლი. ბოლოს და ბოლოს, აახილე თვალი და შეხედე ამ ჩერებსა და კონებს! როგორ ფიქრობ, ამათ ყიდვას მასწავლებლის ჯამაგირი აუვიდოდა?

სტელა. ჩუ!

სტენლი. აბა, ერთი ამ ფრთებსა და ბეწვეულს დახედე, რამდენი რამ ჩამოუზიდია, რომ შიგ გამოიტყ- ლარქოს! ეს რაღა! ერთი ამ კაბას დამიხედე. ამას ბა- ჯადლო ოქროთი თუ იყიდის კაცი! ესაა! ამაზე რაღას იტყვი? მელიის ბეწვია! (სულს შეუბერავს). ნამდვილი მელიის ბეწვია. ხედავ, რამსიგრძა? ფუნჩულა, თეთ- რი ბეწვი.

სტელა. ეგ იაფფასიანი ბეწვია. რამდენი ხანია, რაც ბლანშს ეგენი უყრია.

სტენლი. ერთ კაცს ვიცნობ, ასეთი საქონლით ვაქრობაში ურვეია ხელი. მოვიყვან და შევაფასებინებ.

რახეც ვისდა დავესიძლოა, რომ ათასობით დოლარია ჩაყრილი მთელ ამ ქონებასა და ჯდანასაში.

სტელა. მთლად ნუ გადაიბრუნე, სტენლი! (სტენლი ბეწვეულს ტახტზე მიჰყრის, შემდეგ გარ- დერობის უკრას ეცემა, უცბად გამოაღებს და მთელ მუქა სამკაულებს დაითრევს).

სტენლი. ეს რაღაებია? შეკობრეთა ზანდუკი არ გეგონება?

სტელა. ოჰ, სტენლი!

სტენლი. მძივები, მთელი აცმა მძივები! ამ ოქროს სამაჭურებს ხედავ? წმინდა წყლის ოქროა! აბა, ახლა შენი თვალ-მარგალიტი და ოქროს სამაჭურები მაჩვენე, თუ ქალი ხარ.

სტელა. შუშ! იყურე-მეთქი, სტენლი!

სტენლი. დახედე, ამ მარგალიტებს დახედე, დე- დოფლის გვირგვინი არ გეგონება?

სტელა. რაინის ქვებით მოოქვილი ეგ თავსაბურა- ვი კოსტიუმირებულ მეკლისზე ეხურა.

სტენლი. რაინის ქვები რაღა ოხრობაა?

სტელა. ჩვეულებრივი შუშაა და მეტი არაფერი.

სტენლი. დამიცი კიდეც? სად არის ჩაყრილი შე- ნი ჰლანტაციია თუ რაღაც.

სტელა. ვერ წარმოიდგენ რა ბრყვი და საძაგელი ხარ ამ წუთში! (სტენლი ფეხისკერით სანახევროდ ხუ- რავს გარდერობის ხუფს და სამზარეულოს სკამზე ჩა- მოგდება).

სტენლი. კოვალსკებსა და დიუბუებს სხვადასხვა- ნაირი წარმოდგენა გვაქვს ცხოვრებაზე.

სტელა (მწყურალად) დიახაც — და კიდეც კარგი. ვადლობა ღმერთს. მე გარეთ გავდივარ (წამოაღებს ხელს თავის თეთრ შლასს და ხელთათმანებს და გასას- ვლელი კარისაკენ გაემართება). შენც წამოხვალ ჩემთან ერთად, სანამ ბლანში ტანთ ჩაიცვამს.

სტენლი. როდის აქეთ დამიწყებ მბრძანებლობა?

(სტელა ავიანზე გადის. ბლანში აბაზანიდან გამოდის წითელი ატლასის ხალათით შემოსილი).

ბლანში (ლაღად) ჰელოუ, სტენლი. ესეც მე — ახლად განბანილი და სურნელოვანი ზეთით ტანდაზ- ვილი. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ეს-ეს არის გავჩნდი ქვეყანაზე.

სტენლი (სიგარეტს უყიდებს) რაღა გიშავთ.

ბლანში (ფარდას ჩამოაფარებს ფანჯარას) მამატა- ეთ, ეს ახალი კაბა მინდა გადაიცვა.

სტენლი. მერე და, რაღას უყურებ!

(ბლანში ფარდებს ხურავს ოთახებს შუა)

ბლანში. აქ მგონი ბანქოს სათამაშოდ იკრიბება რამდენიმე მამაკაცი და ალბათ მეტისმეტი ზრდილო- ბიანობის გამოა, რომ მანდილოსნებს არ ეპატიებიან, არა?

სტენლი (გამომწვევად) ბატონო!

(ბლანში მოსასხამს გადაიძრობს და ყვავილებით მო- ხატულ ჩითის კაბას გადაიცვამს)

ბლანში. სტელა სად არის!

სტენლი. ავიანზეა აგერ.

ბლანში. რომ გთხოვოთ, ერთ პატარა სამსახურს თუ გამოიწევთ?

სტენლი. რა სამსახურია?

ბლანში. ღიღები შემიბინეთ ზურგზე! შეგიძლიათ შემოხვიდეთ! (სტენლი ფარდებს შუა შელაჭებს, თან თვალს არიდებს ბლანშს) როგორ გამოვიყურები?

სტენლი. რა გავგებინებ.



ბლანში. მადლობელი ვარ შექებისათვის! ახლა დიდები შემიკარით.

სტენლი. ვერაფერს ვერ ვუხერხებ.

ბლანში. ნეტავ რად გინდათ მამაკაცებს ეგ უშველებელი, მოუქნელი თათები. შეიძლება ერთი მოვქაჩო თქვენი სიგარეტიდან?

სტენლი. აი, მთელი სიგარეტი აიღეთ.

ბლანში. ო, დიახ... გმადლობთ!.. ეს ჩემი ჩემოდანი თითქოს ამოურევიათო. არა?

სტენლი. მე და სტელას გვინდოდა ხელი შემოგვეშველებინა ამოლაგებაში.

ბლანში. ისე, კარგა გვარინად კი გარჯილბართ, როგორც ვატყობ.

სტენლი. კაცს ეგონება, რომელიღაც მოზრდილი პარიზული მალაზია დაურბევიათო.

ბლანში. ჰა, ჰა! რაც მართალია მართალია— კაბებზეა და მორთულ-მოკაშმულობაზე ნამდვილად ქუას ვკარგავ!

(სახეგაბადრული გაუღიმებს) როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა ოდენსე მამაკაცებს მიშვიდველ ქალად მივეჩნიე?

სტენლი. დასაწუნი არაფერი გკირთ.

ბლანში. ეს, მე კი ქათინაური მინდოდა წამეტყვივინებინა თქვენთვის, სტენლი.

სტენლი. მე მაგისთანა რაღაცეები არა მწამს.

ბლანში. რისთანა რაღაცეები?

სტენლი. რა და ქათინაურები, ქალებს რომ ეუბნებიან გარეგნობაზე. ჯერ არ შემხვედრია ქალი. უქათინაურად რომ არ იცოდეს რა გარეგნობის პატრონიც არის. ზოგი სულაც არავის აგდებს ყურს და მარტო თავის აზრს ენობა. ერთ დროს ერთი ხვითოსავით გოგო მყავდა, სულ იმას გაიძახოდა. გინდა თუ არა გადასარევი ტიპი ვარო. მე კი ვუვუბნებოდი, მერე რამეთქი.

ბლანში. ის რაღას გპასუხობდათ?

სტენლი. არც არაფერს. ბოლოს კი, გაგიზარია, მოკეტა.

ბლანში. და მაგით დამთავრდა თქვენი მიჯნურობა?

სტენლი. ამით მხოლოდ ჩვენი ლაქლაქი დამთავრდა, მეტი არაფერი. ზოგ მამაკაცს ეს პოლივულური მიღებ-მოღება აცერცეტებს, ზოგს კი ვერა.

ბლანში. დარწმუნებული ვარ. თქვენ მეორე კატეგორიას უნდა ეკუთვნოდეთ.

სტენლი. რა თქმა უნდა.

ბლანში. ვერ წარმომიდგენია, რა ჯადო უნდა ჰქონდეს ქალს, რომ თქვენი მოხიბვლა შესძლოს.

ქალმა რომ თქვენ ინტერესი აღგძირათ, ამისათვის მან უნდა... (ხელით გაურკვეველ ჟესტს აკეთებს).

სტენლი. (აუჩქარებლად) მთელ კარტს უნდა ჩამოვიდეს.

ბლანში. (ღიმილით) ჰო, დიახ... მთელ კარტს უნდა ჩამოვიდეს... გული უნდა გადაგიშალოთ... ცხორებაში კი იმდენს ცრუობენ, რაღას არ იგონებენ... კაცმა რომ თქვას, არც მე მიყვარს მიკიბულ-მოკიბულად მოლაპუბ ზალხი. ჰოდა, თქვენ რომ გუშინ შემოხვედით, შეგხედეთ თუ არა, მაშინვე ვთქვი გუნებაში, მართლაც ნამდვილი ვაჟკაცისთვის მიუგნია ჩემს დაიკოსმეთქი. რასაკვირველია, სხვა არაფერი მეთქმოდა თქვენზე.

სტენლი (ხმას აუწევს) აბა, გიყვოთა ახლა კეი-მადლობლა!

ბლანში (უტურბზე ხელგებს აიფარებს) აუუუუუუ!

სტელა (აივნიდან) სტენლი! გამოდით აქ და აცადე მაგ ქალს ჩაცმა!

სტენლი. მე და შენი დაიკო ცოტა მუსიავით ვეროობით აქ.

ბლანში. (ცოცხლად) საყვარელო, თუ ჩემი სათიო გაქვს, ჩაირბინე მალაზიაში და ლიმონათი ამოიტანე, თან რაც შეიძლება ბლიმად ჩააყრევიე უინული. შემისრულებ ამ თხოვნას, ძვირფასო?

სტელა (ყოყმანით) კარგი (გადის, შენობის კუბებს მიეღარება).

ბლანში. საბრალო, ეტუბა, გვისმენდა. მე მგონი, ჩემს დას ისე კარგად არ ესმის თქვენი, როგორც მე... ჰოდა, ასე, მისტერ კოვალსკი, განვარძოთ ჩვენი საუბარი ყოველგვარი ლათაიების გარეშე. მე მზად ვაღაღართ გიპასუხოთ ყველა თქვენს შეკითხვაზე. დასამალი არაფერი მაქვს. მიბრძანეთ, რისი შეტუბა გნებავთ?

სტენლი. ამ ჩვენს ლუიზიანას შტატში გვაქვს ნაპოლეონის კოდექსი, რომლის მიხედვითაც ყველაფერი, რაც ჩემი ცოლისაა, ჩემიც არის — და პირუთუ.

ბლანში. ღმერთო ჩემო, რა ნამდვილი მსაჯულის იერი გაძვეთ სახეზე! (სახეზე სუნამოს შეისხურებს, შემდეგ ხუმრობით მასაც მიუშვერს. სტენლი პულვერიზატორს გამოსტაცებს ხელიდან და ტუალეტის ძაღვიდაზე დააგდებს. ბლანში უკან თავდადაგდებული იცუნის).

სტენლი. ცოლის დად რომ არ მეკუთვნოდეთ, მე ვიცი რასაც ვიფიქრებდი თქვენზე!

ბლანში. მინც რას?

სტენლი. თავს ნუ იგდებთ. ძალიან კარგად იცით, რასაც! სად არის საბუთები?

ბლანში. (პულვერიზატორს მაგიდაზე დებს) ძალიან კარგი. მთელ კარტს ჩამოვიდე და გული გადაგიშალოთ, სომ? მეც აგრე მირჩენია. (მიუბრუნდება სტენლის) განა არ ვიცი, რომ თავს ვიტყუებ. ბოლოს და ბოლოს ქალის მომხიბვლელობა ხომ სანახევროდ იოლუზიაა, მაგრამ, როდესაც საქმე მნიშვნელოვან საიტის ეხება, მაშინ სრულ სიმართლეს ვამბობ და სიმართლე კი ეგ გასლავა: მე არც ჩემი და მომიტყუებია, არც თქვენ და არც სხვა ვინმე მას შემდეგ, რაც პირში სული მიღვას.

სტენლი. სად არის საბუთები? ჩემოდანში?

ბლანში. ყველაფერი, რაც კი გამაჩნია, მაგ ჩემოდანში დევს.

(სტენლი ჩემოდანს მიეარდება, ხელის აკრით აღებს და ათვალეირებს).

ბლანში. რა ქალადღებს მეკითხებით?

სტენლი. საბუთებს, საპლანტაციო ანგარიშებს.

ბლანში. რაღაც ქალადღები მგონი მართლა იყო.

სტენლი. როგორ თუ იყო? — და არა იყო რა?

ბლანში. რა მოხდა, რა ღმერთი გიწერებთ! რა პატარა ბაღღვით იქცევით! ვინმეს რამე დავუშაღე, ჩემს დას რამეში ვუღალატე, თუ რა? მოეშვით. მე მოვუვლი მაგას. ასე უფრო მალე და იოლად გაკეთდება ყველაფერი, (ჩემოდანთან მივა და პატარა ყუთს ამოიღებს) მთელი ჩემი ქალადღები ამ პატარა ყუთში მაქვს შენახული (აღებს ყუთს).



ს ტ ე ნ ლ ი. ქვეშ რა არის, ძირში? (ქაღალდების შეკვრასზე მიუთითებს).

ბ ლ ა ნ შ ი. სასიყვარულო ბარათებია, სიძველისაგან გაუვითლებულნი, სულ ერთი და იგივე ჭაბუკისაგან (სტენლი ხელიდან გამოსტაცებს. ბლანში გაფიცხებული) აქ მომეცით ახლავ!

ს ტ ე ნ ლ ი. ჯერ დავხედო!

ბ ლ ა ნ შ ი. თქვენი ხელი არ არის მაგ ბარათების შეხების ღირსი!

ს ტ ე ნ ლ ი. მიქარვას თავი გაანებეთ! (ბაფთას შემოაგლეჯს და ათვალერებს. ბლანში მოულოდნელად გამოსტაცებს და წერილები იატაკზე ცვივა).

ბ ლ ა ნ შ ი. ახლა, რაკი თქვენი ხელი მიეყარა, დავწვავ მაგ წერილებს!

ს ტ ე ნ ლ ი. (გაშტერებული, თავგზააბნეული) რა წერილებია იგეთი?

ბ ლ ა ნ შ ი. (ფურცლებს კრებს იატაკიდან) ერთი ჭაბუკის ლექსებია, რომელიც ცოცხალი აღარ არის. მეც ისე მოყუალი მას გული, როგორც ახლა თქვენ მიპირებთ. მაგრამ, თქვენ მაგის თავი სადა გაქვთ! ახლა მე ახალგაზრდა აღარა ვარ და ჩემი გულის დაკოდევა არც თუ ისე იოლი საქმეა. ჩემი ქმარი კი ქორჟა ჭაბუკი იყო და მე... კარგი, დავცხსნათ ამას! ოღონდ უკან დამიბრუნეთ ეგ ბარათები.

ს ტ ე ნ ლ ი. მაგათი დანჯა მინც რამ გაფიქრებინათ?

ბ ლ ა ნ შ ი. მომიტევეთ, ალბათ. წამით გონება დამიბნელდა. ყველას აქვს ისეთი რაღაც, რასთანაც ახლოს არავის მიკარებს, რადგან ის რაღაც ძალზე პირადულია, ინტიმური... (ბლანში მთლად მოთენილი ჩანს, ჩამოჯდება თავის ყუთთანად. სათვალეს გაიკეთებს და თანმიმდევრულად ათვალერებს ქაღალდის მოზრდილ დასტას) „ემბლერი და ემბლერი“, ჰმმმმ... კრებტრი... იკვ „ემბლერი და ემბლერი“...

ს ტ ე ნ ლ ი. ვინ არიან ეგ ემბლერი და ემბლერი?

ბ ლ ა ნ შ ი. ფირმა, რომელიც უძრავ ქონებაზე იძლევა სესხს.

ს ტ ე ნ ლ ი. მაშ, სახლი გირავნობისთვის შეგიწირიათ და ეგ არის.

ბ ლ ა ნ შ ი. (შუბლზე ხელს გადაისვამს) მგონი მაიხთანა რაღაც მოხდა მაროღაც.

ს ტ ე ნ ლ ი. ეგ „მგონი“ და „რაღაც-რაღაცები“ თქვენთვის შეინახეთ. დანარჩენი ქაღალდები რა იქნა?

(ბლანში მთელ ყუთს გაუწვდის. სტენლი ყუთთანად მაგიდას მიუჯდება და ქაღალდების ქვევას იწევს).

ბ ლ ა ნ შ ი. (ერთ დიდ კონვერტს აიღებს ქაღალდებით გატენილს) (კონვერტიდან ქაღალდებს გადმოყობის მაგიდაზე) აჰა, აი. მთელი ეს ქაღალდებიც! ინებეთ, თქვენთვის მომირთმევია. ჩაუჭკით, იკითხეთ, და რაც შეიძლება ღრმად აღიბეჭდეთ თქვენს მენსიურებაში! ამაზე უკეთესი რაღა იქნება, თუ ის ჩვენი უძრავ-მოძრავი ქონება მთელ ამ ქაღალდებიანად მაგ თქვენს ვეება, მძლავრ ტორებში მოექცევა!.. ნეტავ სტელას რაღა დაემართა, დაბრუნდება თუ არა ოდენსმე, ლომონათით (ზურგით მიეყრდნობა სავარძელს და თვალებს მიულოდნის).

ს ტ ე ნ ლ ი. მე ერთი ნაცნობი იურისტი მყავს, იმას გავაცნობ ამ ქაღალდებს.

ბ ლ ა ნ შ ი. აბა ჰე, თქვენ იცით, აუცილებლად მიართვით და არ დაგვიწყდეთ, თან ასპირინის ტაბლეტებიც მიაყოლეთ!

ს ტ ე ნ ლ ი. (ოდნავ საქციელწამხდარი) რა გავწვობა,

თუ ნაპოლეონის კოდექსის მიხედვით ქმარმა უნდა გამოიჩინოს უურადლება ცოლის საქმეებისადმი, მით უმეტეს ახლა, როდესაც იგი ბავშვს ელოდება (ბლანში თვალებს გაახელს. „ცისფერი პიანინო“ ხმას უშატებს).

ბ ლ ა ნ შ ი. რაო, რა თქვით? სტელა?.. სტელა ბავშვს ელოდება... (ოცნებამორეული) მე კი აზრადაც არ მომსვლია, რომ სტელას ბავშვი შეიძლება ეყოლოს! (წამოღდება და გარეთ გამავალი კარისაკენ გაემართება. სტელა კუთხიდან გამოჩნდება, ხელში ფუთა უჭირავს. სტენლი საწოლ ოთახში შედის და თან მიაქვს კონვერტი და ყუთი. ოთახებს თანდათან სიბნელე ეთქავს და გამოჩნდება სახლის გარეთა კედელი. ბლანში სტელას კიბის ძირში, ტროტუარზე შეეგებება). სტელა, სტელა, ჩემო ციციანთელა! რა კარგია, რომ ბავშვი გეუოლება! დიდებულია ყველაფერი, ყველაფერი კარგად აეწყო (მოეხვევა დას. სტელაც მას ჩაეკრობა და ნერვიულად სლოკუნებს).

ს ტ ე ლ ა. როგორ მწყინს, რომ ასე მოგექცა.

ბ ლ ა ნ შ ი. (ხმადაბლა) ყველაფერი კარგად არის... ერთმანეთს გული გადავუშაღეთ...

ს ტ ე ლ ა. გთხოვ, აპატიო.

ბ ლ ა ნ შ ი. აჰ, მე როგორც ვატყობ, ეგ იმის კაცია არ არის, ყვავილის სურნელებამ რომ გააბრუნოს, მაგრამ შეიძლება სწორედ ეგ არის ის, რაც ჩვენს ხისხლს უნდა შევუროოთ. ახლა, როდესაც ჩვენი პლანტაცია ხელიდან გამოგვეცალა, სხვაგვარად არაფერი გვეშეულება. რა დიდებული ცაა! ნეტავ რაკეტით სადმე ვავაფრინა და აღარ დაგვაბრუნა უკან. ძირამდე კი ჩავყვით საქმეს... ახლა ცოტა მაკანკალებს, მაგრამ, ვგონებ, კარგად მოვაგვარე ყველაფერი. გვარიანად ვიცი-ნე და ხუმრობაში გავატარე ყველაფერი (გამოჩნდება ის სტიკი და პაბლო, თან ლუდის ბოთლებით საესე ყუთი მოაქვთ) პატარა ბაღიც კი ვუწოდებ, სიცლით ავიკეთე და ცოტა გავკეკლუცე კიდეც. მაშ! ცოტა გაუფარშიუდი შენს ქმარს! (მამაკაცები ახლოვდებიან) აჰა, აგერ, სტუმრებიც იყრიბებიან პოკერის სათამაშოდ (ორივე მამაკაცი მათ შუა გაივლის, ცნობისმოყვარეობით შეათვალერებენ ბლანშს და ოთახში შედიან) ჩვენ რომელ გზას დავადგეთ ახლა, სტელა — აქეთ?

ს ტ ე ლ ა. არა, აქეთ. (ვადის და თან მიჰყავს ბლანში).

ბ ლ ა ნ შ ი. (სიცილით) ამაზე იტყვიან პირობის მკვლარს აეყიდაო!

### მისამე სურათი

#### პროკირის ღამე

ვან-გოგს ერთი სურათი აქვს — საბილიარდო ოთახი ღამით. უმარტივესი სპექტრის ძირითად ფერთა ღამეული ნათება სწორედ ასეთი არამქვეყნიური მგზნებარებით არის აღვსილი საშარეულაში.

ვიღრე კარტის ჩარიგება ხდება, მოთამაშენი სდუმან.

პ ა ბ ლ ო. იქნებ, ვინმე წავსულიყავით ჩანსურ მაღაზნაში და ცოტაოდენი დაბეგვილი კატლეთი ამოგვეტანა?

ს ტ ე ნ ლ ი. მე რომ ვაგებ, ახლა აგეშაღა სადერ-ღელი? სხვა არავინ იმატებს? ჩამოიღე ეგ კურტუმი მაგიდიდან, მიჩ. სათამაშო მაგიდაზე მარტო კარტი, ფული და ვისკი უნდა ელაგოს. (წინ გადაიხრება და ხელის ერთი მოსმით მაგიდიდან იატაკზე გადმოყობის სახამოროს ქერქს).

მ.ჩ.ი. შენ ისევ შენებურად ვააქენ?

ს.ტ.ენ.ლი. ვის რაძღესი ვინდათ?

ს.ტ.ი.ვი. მოიტა სამი.

ს.ტ.ენ.ლი. ერთი მე.

მ.ჩ.ი. ისევ გავედი. ჯობია, გუდა-ნაბადი ავიკრიფო და შენისკენ გავუტოო. შინ ავადმყოფი დედა მელოდება. მთელ დამეს თვალს არ მოხუჯავს, სანამ არ მივალ.

ს.ტ.ენ.ლი. თუ ეგრება, შე კაი კაცო, შინიდან ფეხს არ უნდა ადგამდე გარეთ და ერთთავად გვერდით უნდა ექდე.

მ.ჩ.ი. თვითონ არ შევბა... სულ იმას ჩამჩიჩინებს, გადი, ხალხში გაერიეო. აბა, რა გამახარებს, როცა სულ იმას ვდარდობ, ნეტავ ამ წუთში როგორ არის-მეთქი ქვედაჩემი.

ს.ტ.ენ.ლი. კაცო, ადექი და წადი-მეთქი, გესმის, თუ არა!

მ.ჩ.ი. თქვენ რა გიშავთ, ყველანი დაცოლშვილებო-ლები ხართ, მე კი... სულ მარტო უნდა დავრჩე, როცა მიმატოვებს... წავედი აბაზანაში.

ს.ტ.ენ.ლი. მალე მობრუნდი და ძუძუს გაწოვებო.

მ.ჩ.ი. წინ იყურე, არაფერი შეგეშალოს (ოთახს გაივლის და სააბაზანაში შედის).

ს.ტ.ი.ვი. შეიდ კარტს ჩამოვდივარ (თან აოიგებს. თან ანეკდოტს ყვება) თავის ეზოში ზის ერთი ბებერი ზანგი და წიწილებს საკენკს უყრის, უცბად ესმის მაგარი კრიახი და ხედავს მორბის ერთი ფუნჩულა დედალი, უკან კი მამალი მოსდევს გამალებული, დაეწევა და ზედ შეახტება დედალს...

ს.ტ.ენ.ლი (მოთმინებაგამოლეული) გეყოფა, ჩამოდი, თუ ძმა ხარ.

ს.ტ.ი.ვი. მაგრამ მამალი უცებ თვალს მოჰკრავს საკენკს, უკანვე გადმობტება ცოცხლად და საკენკს დაეტანება. ზანგი კი უყურებს და ფიქრობს, ღმერთო, ასე ნუ გამიხბი საქმეს, ასე ნურასოდეს ნუ მომაშვიბო.

(სტივი და პაბლო ხარხარებენ. დები კუთხიდან გამოჩნდებიან).

ს.ტ.ელა. ჯერ გახურებულ თამაშში არიან.

ბლანში. როგორ გამოვიყურები?

ს.ტ.ელა. კარგად, ბლანში, კარგად.

ბლანში. საშინლად დამცხა და მოვიტენითე. მოცა, ჯერ ფერუმარილი წავისცა და მერე შეაღე კარი. შეტისმეტად გადადლილი ვჩანვარ, არა?

ს.ტ.ელა. სულაც არა. ზიზილასავით კობტად გამოქუურები.

ბლანში. სულ ამ რამდენიმე დღის წინ მოწყვეტილ ზიზილასავით, არა? (სტელა კარს გამოალებს და შიგნით შედის).

ს.ტ.ენ.ლი. სად ბრძანდებოდი?

ს.ტ.ელა. მე და ბლანში ერთ შოუს დავესწარი. ბლანში, ეს მისტერ გონზალესია, ეს კი მისტერ ჰაბელი.

ბლანში. ნუ ადგებით. გეთაყვა.

ს.ტ.ენ.ლი. არავის უფიქრია წამოდგომა, ტყუილად თავს ნუ იქაჩლებო.

ს.ტ.ელა. კიდეც რამდენ ხანს უნდა გააგრძელოთ თამაში?

ს.ტ.ენ.ლი. ვიღერე ყელში არ ამოგვივა.

ბლანში. პოკერმა გატაცება იცის. შეიძლება ვინმე თქვენგანს ამოვუღდე მხარში?

ს.ტ.ენ.ლი. არ შეიძლება. ადით ეს დედაკაცები და იუნისთან დასხედით ზეით, არაფერი დაგიშავდებათ.

ს.ტ.ელა. რას ამბობ, ნამის ნახეჯი გახდება საკაი (ბლანში საწოლ ოთახში შედის და სანახევროდ ხურავს ფარდას). (სტენლი ვაშლილ ხელს გაუტყაპუნებს სტელას ბარძაყზე).

ს.ტ.ელა. (მკაცრად) ვერაფერი ხუმრობაა, სტენლი (მამაკაცები იცინიან. სტელა საწოლ ოთახში შედის).

ბლანში. შევალ და ვიბანავებ. ნერვები მთლად დაჭიმული მაქვს. აბაზანაში ვინმეა, აუ?

ს.ტ.ელა. არ ვიცი.

(ბლანში აკაკუნებს. მიჩი კარებს გამოალებს და გამოდის, თან პირსახოკით ხელებს იშრალავს).

ბლანში. ოიპ! სადამო მშვიდობისა.

მ.ჩ.ი. გამარჯობათ (შეაშტერდება ბლანშს).

ს.ტ.ელა. ბლანში, ეს ჰაროლდ მიჩელია. ეს კიდეც ჩემი და, მის დიუბუა.

მ.ჩ.ი. (მოუქნელი თავზიანობით) როგორ გიკითხოთ, მის დიუბუა?

ს.ტ.ელა. დედაშენი როგორ არის, მიჩ?

მ.ჩ.ი. გმადლობთ, თითქმის ისევ ისევ. მდოგვისთვის დიდი მადლობა შემოგითვალა. ახლა კი მამაკითო, თუ შეიძლება.

(ქელი ნაძიგით შებრუნდება სამზარეულოში, თან ბლანშისკენ იყურება).

ბლანში. ეს მგონი დანარჩენებს უნდა სჯობდეს.

ს.ტ.ელა. კი.

ბლანში. ცოლიანია?

ს.ტ.ელა. არა.

ბლანში. ეგეც ქალებს არის გადაყოლილი?

ს.ტ.ელა. უიბე, რას ამბობ, ქალო! (ბლანში იცინის) ვერც კი წარმომიდგენია.

ბლანში. მაშ... მაინც რას საქმიანობს? (კოფტის ლილებს იხსნის).

ს.ტ.ელა. მჩარხავი ზეინკალია, იმავე ქარხნის სათადარიგო განყოფილებაში. რომელსაც სტენლი ემსახურება.

ბლანში. ეგ რამეს აძლევს?

ს.ტ.ელა. არც არაფერს. მაგათგან მარტო სკინოო თუ ეწევა რამეს.

ბლანში. რატომ გგონია?

ს.ტ.ელა. აბა, შეხედე.

ბლანში. უკვე კარგად მყავს შეთვალეირებული.

ს.ტ.ელა. მაშინ თავად უნდა მიხვდარიყავ.

ბლანში. მამაკითე, სტელა, ნუ კი გეწყინება, მაგრამ, გენიოსის დაღით მაინცა და მაინც ვერა აქვს შუბლი დამშვენებული მაგ შენს ქმარს.

(ბლანში გადაიძრობს ზედატანს და დგას ვარდისფერი ლიფისა და თეთრი ქვედატანის ამარა ფარდებში შემოჭრილ შეუქზე. თამაში გრძელდება და მოთამაშეთა ლაპარაკი ძლივსღა ისმის).

ს.ტ.ელა. არ ვქნა, თუ არც შუბლზე აზის ბეჭედი და არც გენიოსი მყავს ქმარი.

ბლანში. მაშ რადა დარჩა? მაშ სად რას ეძებ, თუ ქალი ხარ?

ს.ტ.ელა. სამაგიეროდ, ხომ ხედავ, ენერჯიად არის გადაქცეული. შენ შუაგულ სინათლეზე დგახარ, ბლანში!

ბლანში. აჰ, ნუთუ!

(გამოდის სინათლის ყვითელი ზოლიდან, სტელა კაბას იხდის და იცვამს ღია ცისფერი ატლასის კომონოს).

ს.ტ.ელა (ბავშვური კისკისით) ნეტავ ერთი მავათი ცოლები განახა.



ბლანში. (სიცილით) წარმომიდგენია, რა მონძრო-  
ნა, ზოირბა დედაკაცები იქნებთან.

სტელა. აი ის, ზეთა, ხომ ნახე? (სიცილს უმა-  
ტებს) ერთხელაც... (იცილის) ლამის ქერი ჩამოიქცა...

სტენლი. ეი, კრუხებო, რა კრიახი აგიტულათ მანდ!

სტელა. რა გინდათ, ხომ არ გესმით ჩვენი ხმა?

სტენლი. ჩემი ხომ გესმით? ჰოდა, ცოტა დაუწი-  
ეთ!

სტელა. ეს ჩემი სახლია და რა ხმითაც მინდა, ისე  
ვილაპარაკებ.

(შედის საწოლ ოთახში. ბლანში წამოდგება და ნელო  
ნაბიჯით უახლოვდება პატარა თეთრ რადიომიმღებს  
და ჩართავს. ისევ სინათლის ზოლში ჩადგება, მკლავებს  
მალლა ასწევს და გაიზომორება. თან ზანტად მიუბრუნ-  
დება თავის სკამს.)

მიმღებიდან მოისმის რუმბა. მიჩი წამოდგება მაგი-  
დასთან).

სტენლი. ეგ რომელმა ჩართეთ მანდ?

ბლანში. მე. გაწუხებთ?

სტენლი. გამოთიშეთ!

სტივი. დაეხსენ, უსმინონ გოგოებმა მუსიკას, რაკი  
მოსწონთ.

პაბლო. ჰო, მოეწვი, არც ურიგო მუსიკაა!

სტივი. მგონი ქსავიერ კუგატის ორკესტრი უნდა  
იყოს.

(სტენლი წამოხტება, მიმღებთან მიიქრება და განო-  
რთავს. ერთბაშად შეჩერდება, როდესაც სკამზე მკდო-  
მარე ბლანშს მოპკრავს თვალს. ბლანში თვალს გაუს-  
წორებს. სტენლი ისევ პოკერს მიუბრუნდება.)

სტენლი. თავიდან ჩამოარიგე, და თუ ვთამაშობთ,  
ვითამაშოთ, თუ არა და, შეაუოღეთ აქედან. ზოგმა ეგ-  
რი იცის, მოიგებს და მერე თითქმის ეკლებზე ზისო.

(მიჩი წამოდგება, როგორც კი სტენლი დაქდება.)

სტენლი (შეუფერებს) იჭეკი-მეთქი!

მიჩი. ფეხსადგილში მინდა შესვლა. მე გამომტო-  
ვეთ.

პაბლო. ეკლები ერქობა უკან. მა რა იქნება, შვი-  
დი ცალი ხუთდოლარიანი ჩაჩიბა.

სტენლი. მერე მივა სახლში და სათითაოდ ჩა-  
აულაპებს გოკის უულაბას, დედამისმა რომ უსაჩუქ-  
რა შობის წინ (კარტს არიგებს) გინდა გითამაშო, გინ-  
და ზღვაში გადაგიფურთხებია.

(მიჩი უგერგილოდ იცილის და ისევ ფარდებს უკან  
იწევს. შესვლისთანავე ჩერდება.)

ბლანში (ნაზად) აბა, აბა! ეს ბავშვთა ოთახი უკვე  
დაკავებულია.

მიჩი. ჩვენ აქ ლუდის სმა გვაქვს გაჩაღებული.

ბლანში. ვერ ვიტან ლუდს.

მიჩი. სიცხეში მისწრებაა სწორედ.

ბლანში. არა მგონია; ლუდისაგან უოველოვის  
ვითენთები. ვერ მომაწევიანებთ? (ამსობაში ტანზე მუ-  
ქი წითელი ფერის ატლასის მოსახამს მოიგდება.)

მიჩი. როგორ არა.

ბლანში. რა კობტა პორტსიგარია. ვერცხლია?

მიჩი. დიახ, დიახ! წაიკითხეთ, ზედ რა აწერია.

ბლანში. ოპო, წარწერაც ჰქონია? ვერ ვარჩევ.  
(მიჩი ასანთს გაპკრავს და ახლოს მიუტანს) ოპ! (და-  
ლით იჭირვებს კითხვას.)

...და თუ უფალი ინებებს ასე,

უფრო ძლიერად მეყვარები... სიკვდილის შემდეგ  
გაქ!

ოპ, ეს ხომ ქალბატონ ბარუნინგის სონეტიდან არის,  
მე რომ მიუვარს!

მიჩი. ამ წარწერას თავისი წარსული აქვს.

ბლანში. მართლა?

მიჩი. ის მაგონა ცოცხალი აღარ არის, ეს რომ  
მაჩუქა, უკეთ იცოდა, რომ კვდებოდა. განსაციფრებე-  
ლი გოგო იყო, უსაყვარლესი არსება.

ბლანში. ალბათ უყვარდით კიდევ. ავადმყოფებმა  
ძალზე ღრმა, წრფელი გრძნობით გატაცება იციან.

მიჩი. ეს მართალია, მართლაც ასე ხდება.

ბლანში. მე ვფიქრობ, წრფელი გრძნობების სა-  
თავე მწუხარება უნდა იყოს. ოდნავი გულწრფელობა  
იმ ადამიანებსდა თუ შერჩათ, ვისაც რაიმე მწუხარება  
აქვთ გამოვლილი.

მიჩი. მართლაცა ბრძანებთ, ღმერთმანი.

ბლანში. მაჩვენეთ თუნდაც ერთი კაცი, დარდა  
და ვარამი რომ არ ჰქონდეს განცილილი და გეტყვით.  
რასაც წარმოადგენს — მომისმინეთ! ხომ ხედავთ, ცოტა,  
ენაც კი მებმის! ეს სულ თქვენი, კაცების ბრალია.

სტენლი. ჰეი, მიჩ!

მიჩი. ხომ გითხარი, გამომტოვებ-მეთქი. ჩვენ აქ  
ვსაუბრობთ, მე და მის...

ბლანში. დიუბუა.

მიჩი. მის დიუბუა?

ბლანში. ფრანგული გვარია, ნიშნავს „ტყეხ“,  
ბლანში კი — „თეთრს“, ერთად იქნება — თეთრი ტყე-  
როგორც გაზაფხულზე აყვავებული ბაღნარი. იქნებ  
ამით მაინც დამიმახსოვროთ.

მიჩი. თქვენ და სტელა ხომ დები ხართ?

ბლანში. დიახ, სტელა ჩემი პატარა, საყვარელი  
დაიკოა. ერთი რაღაც რომ გთხოვთ, გააკეთებთ?

მიჩი. რა თქმა უნდა. მიბრძანეთ.

ბლანში. აი, ეს ლამაზი ფერებით მოხატული ქა-  
ლადის სანათური ჩინურ მაღაზიაში ვიყიდე ბურბონის  
ქუჩაზე. დაამაგრეთ აგერ იმ ელნათურაზე.

მიჩი. დიდი სიხარულით.

ბლანში. ვერ ვიტან გაშთვლემულ ელნათურებს  
ისევე, როგორც რაიმე უხეშად წამოსროლილ სიტყვას  
ან ტლანქ საკიცლილს.

მიჩი. ეგ საუცხოო თვისება გქონიათ. თქვენ აქ  
სტენლისა და სტელას ეწვიეთ სტუმრად?

ბლანში. სტელა თავს ვერც თუ ისე კარგად  
გრძნობს და ჩამოვედი, რომ ცოტა წავეშველო. ნამე-  
ტანი გამხდარია.

მიჩი. მაშ თქვენ...

ბლანში. გათხოვილი ვარ თუ არა? არა, არა. ერ-  
თი შინაბერა მასწავლებელი გახლავართ!

მიჩი. შეიძლება სკოლაში ასწავლით კიდევ, მაგ-  
რამ შინაბერობას თქვენთან რა ხელი აქვს.

სტენლი. (რაც ძალი და ღონე აქვს, ღრიალებს)  
ჰეი, მიჩ!

ბლანში. ღმერთო ჩემო, რა ფილტვები უძლებს!..

მიჩი. მაინც რას ასწავლით? რა საგანს?

ბლანში. გამოიცანით!

მიჩი. სანადლეოს დავდებ, ხატვას ან მუსიკას უნდა  
ასწავლიდეთ (ბლანში ხათრიანად იცილის) რა ვიცი, იქ-  
ნება ვცდები კიდევ. შეიძლება არითმეტიკასაც ასწავ-  
ლიდეთ.



**ბ ლ ა ნ შ ი .** არა ბატონო, არითმეტიკა არ მისხენოთ!  
(სიცილით) დღემდე ვერ დამისწავლია გამრავლების  
ტაბულა! ჩემი უბედურება ის გახლავთ, რომ ინგლი-  
სურ ენას ვასწავლი. ვცდილობ წამოჩინებულ გოგონებ-  
სა და უმწიფარ უმაწვლელებს შთავაგონო პითაგორის,  
ლიტმენისა და ელგარ პოს პატივისცემა!

**მ ი ჩ ი .** იმათ კი თავი სულ სხვა რამეებითა აქვთ გა-  
მოტენილი, არა?

**ბ ლ ა ნ შ ი .** ვაი, რომ მართლსა ბრძანებთ! ლიტე-  
რატურული მემკვიდრეობა მათ სრულიადაც არ აღარ-  
დებთ ისე, როგორც ის, რასაც ისინი ყველაზე მეტად  
აფასებენ! მაგრამ მაინც ძალიან საყვარლები არიან!  
გაზაფხულობით კი გული აგჩქაროლებათ მათი პირ-  
ველი სიყვარულის გამოვლინების შემეყურეს! გეგონე-  
ბათ მანამდე არავის განუცდია ეს გრძნობა! (სააბაზა-  
ნეს კარი იღება და გამოდის სტელა. ბლანში მინთან  
მასლაათს განაგრძობს). ოპ, უკვე მოათავე? დაიცა, რა-  
დიოშიძეებს ჩავრთავ. (ჩართავს მიმღებს და ვალს ჩა-  
მოუვლის, თან ოცნებაშია გადავარდნილი. მიჩი აღფრ-  
თოვანებული უქან დასდევს, ცდილობს მიბაძოს და გა-  
წერთნილი დათვივით დაბორილიანს. სტენლი განრის-  
ხებული შელატებს საწოლ ოთახში, პირდაპირ მიმ-  
ღებს მიადგება, ხელს დაავლებს და უწმარწური გინებით  
ფანჯარაში მოისვრის).

**ს ტ ე ლ ა .** ისევ დათვერი განა... დათვერი, ხომ, შე  
პირუტყვო! (მიიჭრება პოკერის სათამაშო მაგიდასთან)  
თქვენ კიდევ, რომ დამხსნარხართ, წადით თქვენს სახ-  
ლებში! ერთ-ერთ თქვენთაგანს მაინც რომ წესიერების  
ნატამილი ჰქონდეს შემორჩენილი, მაშინ...

**ბ ლ ა ნ შ ი .** (დამფრთხალი) სტელა, გაფრთხილდი,  
ავარ... (სტენლი სტელასკენ გაიწევის).

**მ ა მ ა კ ა ც ე ბ ი .** (უღიმღამოდ) კარგი, გეყოფა,  
სტენლი, გეყოფა, თუ კაცი ხარ, ჩვენც ავდგეთ და...

**ს ტ ე ლ ა .** შენ ალბათ ხელის შემოკვრასაც იკად-  
რებ, როცა მე... (მიიძალბება. სტენლი უქან მისდევს და  
ისიც თვალს მიეფარება. მოისმის გარტყმის ხმა. სტელა  
შეპკვილებს. ბლანში სამზარეულოში შევარდება წივი-  
ლით. მამაკაცები თან შეპყვებიან და ისმის ბრღუნა  
და წყევლი-კრულვა. რაღაც ბრახუნით ვარდება ია-  
ტაქზე).

**ბ ლ ა ნ შ ი .** მხეცი, მთლად დაკარგა გონება!

**მ ი ჩ ი .** გამოათრეთ აქეთ, ბიჭებო. (ორ მამაკაცს  
სტენლი გაკავებული შემოპყავთ საწოლ ოთახში, სტენ-  
ლი მძლავრად შეიბერტყება და ლამის თავი დააღწიოს  
მათ მკლავებს, მერე კი უცბად მოდუნდება და მათ ხე-  
ლებზე ჩამოეკიდება. ისინი წყნარი ხმით უყვავებენ და  
სტენლიც სახეს ერთ-ერთი მათგანის მხარეზე ჩამოს-  
დებს).

**ს ტ ე ლ ა .** (გამყინავი, არაბუნებრივი ხმით, გარედან)  
უნდა წავიდე აქედან, უნდა წავიდე აქედან!

**ბ ლ ა ნ შ ი .** (მიირბენს სტელასთან) სტელა, სტელა,  
ძვირფასო! ჩემო კარგო, საყვარლო დაიკო, არ შეგე-  
შინდეს! (ხელებს შემოხვევს, გარეთ გაიყვანს და კიბე-  
ზე აპყავს).

**ს ტ ე ნ ლ ი .** (გამოთაყვანებული) რა ამბავია? რა მო-  
ხდა?

**მ ი ჩ ი .** რა და, შენებურად რომ შეუბერე, ის სტენი  
პ ა ბ ლ ო . ახლა კარგად არის, არა უშავს.

**ს ტ ი ვ ი .** ამას რა უქირს, ცუდად როდის გინახავს.

**მ ი ჩ ი .** წამოაწვინეთ და სველი პირსახოცი დაადეთ.

**პ ა ბ ლ ო .** ახლა მაგას ყავა თუ გამოაბრუნებს  
**ს ტ ე ნ ლ ი .** (ჩახლენილი გმით) წყალი დამადღვინეთ.  
**მ ი ჩ ი .** მაგას შხაპი მოუხდება (მამაკაცს ხმადა-  
ბალი ლაპარაკით სტენლი სააბაზანეში მიჰყავთ).

**ს ტ ე ნ ლ ი .** ხელი გამიშვით, თქვე ვირისთავებო!  
(მოისმის დარტყმის ხმა, წყალი მთელი ძალით იღე-  
რება).

**ს ტ ი ვ ი .** აბა, ახლა კი გავასწროთ აქედან!

(ყველანი უცბად მისცივლებიან სათამაშო მაგიდას,  
თავთავიანთ მონაგებს წამოხვეტავენ და გაილალებიან).

**მ ი ჩ ი .** (ნალვლიანად, მაგრამ მტკიცე ხმით) მოკლედ,  
სადაც ქალებია, იქ პოკერის სათამაშო ადგილი არ არის.  
(კარები მიიხურება და დაცარიელებულ სცენაზე სი-  
ჩუმე გამეფდება. ცოტა ხნის შემდეგ სტენლი სააბაზა-  
ნედან გამოდის, წყალი წურწურით ჩამოსდის და ისევე  
ზედ შემოტმასნილი სველი საცვალი აცვია).

**ს ტ ე ნ ლ ი .** სტელა! (პაუზა) გამეცქა ჩემი თოჯინა  
და მიმატოვა! (ქვითინი აუვარდება. ტელეფონთან მი-  
დის და ნომრის აკრეფას იწყებს, თან გულამომკვდარი  
ზღუტუნებს) იუნისი ხარ? ერთი ჩემს გოგონას დამი-  
ძახე! (მცირე ხანს ელოდება, შემდეგ ყურმილს ჩამო-  
კიდებს და კვლავ ნომერს ჰკრეფს) იუნისი, არ მოგეშ-  
ვები, ვიდრე ჩემს ნუკრს არ დამალაპარაკებ! (ყურმილ-  
ში გაურკვეველი ხმები ისმის. სტენლი აპარატს ძირს  
დაახეთქებს. ბორძიკით გამოდის აივანზე და ხის საფე-  
ხურებს დაუყვება სახლის წინ დაგებულ ფილაქანზე).

**ს ტ ე ლ —** ლააააა!

**ი უ ნ ი ს ი .** (თავისი ოთახის კარებიდან ჩამოსძახებს)  
მორჩი მაგ ბღავილს და გასწი, დაიძინე!

**ს ტ ე ნ ლ ი .** ჩამოუშვი-მეთქი, ჩემი ვკრიტი. სტელა,  
სტელა!

**ი უ ნ ი ს ი .** ჭრი სცემ ქალს და მერე უძახი, არა?  
არ ჩამოვა, თან შვილს იჩენს ამისგანს.. პაი, შე მურა-  
ლო! პოლონელის ნაბუშარო! ერთი უნდა შეგათრიონ,  
საცა საქიროა და მოგიშვირონ სახანძრე შლანგი მაშინ-  
დელივით!

**ს ტ ე ნ ლ ი .** (მორჩილად) იუნისი, ჩამომიგზავნე ჩემი  
გოგონა!

**ი უ ნ ი ს ი .** ვერ მოგართვი! (შეიჯახუნებს კარებს).

**ს ტ ე ნ ლ ი .** (თავზარდამკეში ხმით) სტელააააააა!

(ისმის კლარნეტის კუნესა. კარი ზემოთ კვლავ გა-  
ღება. სტელა ნელა ეშვება მორყეულ კიბეზე, თავის  
კაბაში გამოწყობილი. თვალეზზე ცრემლები უელავს  
და თმები მხრებზე აქვს ჩამოშლილი. ერთმანეთს შეს-  
ცქერიან. მერე ერთმანეთთან მიდიან ხმადაბალი. პირუ-  
ტყეული გმინვით. სტენლი მუხლებზე დაემხოზა საფე-  
ხურებზე და სახით მიეკრობა მის ოდნავ გამომბერილ  
მუცელს. სტელას თვალეზზე ნაზი ცრემლები აკაფ-  
დება, როდესაც ხელებს მოავლებს სტენლის თავს და  
წამოაყენებს ქმარს. სტენლი ერთბაშად გამოალებს წინა  
კარებს და ხელში აიყვანს სტელას და ჩანსელებულ  
ოთახში შეპყავს).

**ბ ლ ა ნ შ ი .** (გამოდის ზემო სართულზე კიბისთავთან  
კაბაში გამოწყობილი და შიშით დაუყვება საფეხურებს  
კუთხესთან გამოჩნდება).

**ს ა დ ა რ ის ჩ ე მ ი დ ა ი კ ო ?** სტელა! სტელა! (მიჩი სახლის  
კუთხეში გამოჩნდება).

**მ ი ჩ ი .** მის დიუბუა? ხომ სიწყნარა ჩვენს მხარეს?  
**ბ ლ ა ნ შ ი .** შიშით გონს ვერ მოვხვლვარ.

**მ ი ჩ ი .** რა თქმა უნდა, სწორედ რომ სირცხვილი ქა-



მეს, რომ მიინცა და მიინც თქვენს წინაშე მოიქრეს  
თავი, მაგრამ თქვენ ძალიან ნუ იშფოთებთ ამის გამო,  
ბლანში. ასეთი ძაღმომრეობა! ეს ხომ...  
მიჩი. ჩამოგქვით აქ, საფეხურზე და გავაბოლოო.  
ბლანში. ისე რომ არა ვარ ჩაცმული, როგორც...  
მიჩი. ჩვენს უბანში მაგას არავინ მიაქცევს უურაღ-  
ლებას.

ბლანში. მაინც ასე რამ აურია ეს ცხოვრება...  
(მიჩი მორიდებით ახველებს) გმადლობთ, რომ ასე კე-  
თილი ხართ! მე კი ახლა სწორედ სიკეთე შესაქიროება.

### მეომნე სურათი

(მეორე დღეს დილაადრიან ქუჩის არეულ-დარეული  
ხმაური საეკლესიო საგალობელივით ისმის.

სტელა საწოლ ოთახში წევს. დილის მზის შუქით გე-  
ნათებულ სახეზე სიმშვიდე გადაჰყვანიდა. თვალებსა და  
ბავებზე ისეთი ზანგმორეული უშფოთველობა აღბეჭდ-  
ვია, როგორც აღმოსავლურ კერპებს ახსიათებს.

ბლანში საბაზანო ოთახის კარის ზღურბლზე გამოჩნ-  
დება: ზედვე ეტყობა, რომ უძილო ღამე აქვს გატა-  
რებული.

ბლანში. სტელა.

სტელა (ზანტად შეირხევა) კვმმმ?

(ბლანში გმინვა აღმოხდება. ოთახში შეიჭრება და  
მუხლებზე დაეცემა სტელას გვერდით).

ბლანში. დაიკო, ჩემო დაიკო!

სტელა (განზე გაიწეეს) რა იყო, ბლანში, რა დაგე-  
მართა?

ბლანში. წავიდა?

სტელა. მანქანის დასახეთად არის წასული. რა-  
ტომ მეკითხები?

ბლანში. რატომ გეკითხები? კინალამ გადავირიე,  
სტელა ჩემო, როცა წარმოვიდგინე, რომ შენ ქუა არ  
დაგიშლიდა უკან მობრუნებულიყავი მას შემდეგ, რაც  
აქ მოხდა... კინალამ მაშინვე უკან დაგედევნე.

(სტელა გაურკვეველ მოძრაობას აკეთებს) ხმა გა-  
მეცი, ქალო! რას ფიქრობდი-მეთქი, გეუფრება?

სტელა. თუ ხათრი გაქვს, ბლანში! ჩამოგქვით აგერ  
და მორჩი მაგ გოდებას.

ბლანში. კაი, ბატონო. გეკითხები მოთქმა-გოდე-  
ბის გარეშე, რამ მოგიყვანა ამ სახლში წუხელ ღამე? და  
აღბათ გვერდშიც მოუწეკი, ხომ?

სტელა (წამოდგება მშვიდი, დინჯი იერით) ბლანში,  
ღირს კი ამ ამბის ასე გაზვიადება?

ბლანში. რაო? ღირსო?...  
სტელა. ჰო, ღირს, ბლანში? მე მესმის, შენს თვალ-  
ში რა უნდა ყოფილიყო უოველივე ეს, მაგრამ, დამი-  
ჯერე, ეს არც თუ ისე დიდი ამბავია, შენ რომ გგონია.  
ჯერ ერთი, კაცები სმას რომ დაიწყებენ და პოკერსაც  
გაჩაღებენ, იქ რაღა არ მოხდება. სტენლის თვითონაც  
არ ესმოდა რას სჩადიოდა... უკან რომ მოვბრუნდი,  
ბატკანივით იყო მოთვინიერებული და ახლა სირცხვი-  
ლისაგან აღარ იცის როგორ შემხედოს სახეში.

ბლანში. და ეგ შენთვის საკმარისია, რომ ყვე-  
ლაფერს შეურიგდე?

სტელა. არა, ამისთანა რიარიას რა მომწონებინებს,  
მაგრამ რას იზამ, ხალხნი ვართ, რა არ მოხდება. სტენ-

ლის ერთხელ და ორჯერ არ აუტეხია ასეთი ამბავი და  
არ მიუღიწვე-მიუღიწვია უკნაფერი.

ბლანში. მერე?.. შენ იდეკი და გულხელდაკრე-  
ფილი შექაუურებდი? არც გაიქეცი, არც იკივლე შანს?  
სტელა. როგორ ვითხრა...  
(წამით დადუმდება). შენ და იუნისმა ისაუბრეთ უკვე?  
ბლანში. რას ამბობ, სტელა, რა საუზმის დარდი  
მქონდა?

სტელა. აგერ, ღუმელზე ცოტაოდენი ყავა დგას.  
ბლანში. მაშ, ეს უკნაფერი შენ ჩვეულებრივ  
მოვლენად მიგაჩნია, სტელა? ცოტა გონს მოდი და  
თვალი გაუსწორე იმას, რაც შენს თავს ხდება.

სტელა. შენ როგორ ფიქრობ, რა ხდება ჩემს თავს?  
ბლანში. მე რას ვფიქრობ? რას და იმას, რომ ვი-  
ლაც გიყსა და დამთხვეულს გადაჰყრხარ.

სტელა. არა!  
ბლანში. კი, როგორ არა, შენ ჩემზე უარეს დღე-  
ში ხარ! მხოლოდ ეს არის, ვერ შეგვიგნია, მე რაღაცა  
შინც მოვიმოქმედებ. ძალ-ღონეს მოვიკრებ და ახლე-  
ბურად შევედგები ცხოვრებას.

სტელა. ვითომ?  
ბლანში. შენ კი ჩაგიდუნია თავი და ხმას არ იღებ.  
ბებერი ხომ არა ხარ! კიდევ შეიძლებ ფეხზე დადგო-  
მას.

სტელა (დინჯად, მტკიცე ხმით) მე ჯერ არ წაქე-  
ცულვარ, რომ ფეხზე დადგომა მკირდებოდეს.

ბლანში (უნდობლად) რას ამბობ, ქალო!

სტელა. რას და იმას, რომ ჯერ არ წაქეცულვარ,  
რომ ფეხზე წამოდგომას ვსაქირობდე, ხომ ხედავ, რა  
დომხალია ამ ოთახში!

აღამიანებმა ერთმანეთს თუ არ მოუთმინეს, ისე არა-  
ფერი გამოვა.

ბლანში. მე შენი არ მესმის, რო დაფლატუნობ და  
ეს ლამაზა გატეხაო, ეს ლუდის ბოთლებიო, სამწარეუ-  
ლოში დომხალიო, შენთვის რომ ჩიფჩიფებ, ვითომ  
არაფერი მომხდარა უჩვეულო? (სტელა უილაჯოდ იცი-  
ნის, ცოცხს წაეტანება და ხელში ატრიალებს). მაგას  
განგებ მიქნევ ცხვირწინ?

სტელა. არა.  
ბლანში. მაშ მოეფვი მაგ ცოცხს. არ მინდა მაგის  
არეული შენ ალაგო.

სტელა. მაშ ვინ დაალაგებს? შენა?  
ბლანში. მე? როგორ, მე?

სტელა. არა, ეგ სულ არ მიფიქრია.  
ბლანში. მისმინე, თავში ერთი აჭრი მიტრიალებს  
(მორთოლვარე ხელით გამართავს სიგარეტს მუნდშტუ-  
კში) გახსოვს შეპ ჰანტლი? (სტელა თავს გაიქნევს)  
როგორ არ გახსოვს შეპ ჰანტლი. მე და ის ერთად ვსწა-  
ვლობდით კოლეჯში და ერთხანს სულ კულში დამდე-  
და. ჰოდა...

სტელა. მერე?  
ბლანში. ამ ზამთარს ერთ ადგილას გადავაწუდი.  
ხომ გახსოვს, შობაზე მაიაში ვიყავი.

სტელა. არ ვიცოდი.  
ბლანში. ჰო, ვიყავი. რადგან იმედი მქონდა შევ-  
ვდებოდი ისეთ ვინმეს, ჩიბები მილიონებით რომ ექ-  
ნებოდა გამოტენილი.

სტელა. მერე? შეგვდი?  
ბლანში. ღიახ. შეგვხედი შეპ ჰანტლის. მთელი  
ტეხასის ქაბურღილები მის ხელშია. მთელი ტეხასის

ოქრო მის ღიბეში მიედინება. მას შეუძლია ჩვენთვის  
ვენდ-ფერი გააკეთოს, ნამდვილად შეუძლია!

ს ტ ე ლ ა. რა შეუძლია, ბლანშ?

ბ ლ ა ნ შ ი. რა და, თუნდაც ის, რომ სადმე მალაზი-  
აში გამოგვემოხოს!

ს ტ ე ლ ა. რა მალაზიას ამბობ?

ბ ლ ა ნ შ ი. ნეტავი შენ... რა მალაზიაც გინდა იყოს!  
სამისოდ მას იმის ნახევარი თანხაც კი არ დასჭირდება,  
რასაც მისი ცოლი დღეზე ფანტავს.

ს ტ ე ლ ა. ცოლიანიც არის?

ბ ლ ა ნ შ ი. ქალო, იმას რომ ცოლი არ ჰყოლოდა,  
მე ახლა აქ ვიქნებოდი? (სტელა წყნარად იცინის. ბლან-  
ში უცბად წამოხტება და ტელეფონს მივარდება. მქაზე  
ხმით ჩასძახის ყურმილს) როგორ მოვხვდე ვესტერნ  
უნინონს?.. ოპერატორი ხართ? დამაკავშირეთ, გეთაყვა,  
ვესტერნ უნიონთან!

ს ტ ე ლ ა. აქედან ავტომატურად ირეკება, ძვირ-  
ფასო.

(ბლანში ერთი წუთით დაფიქრდება, მერე ყურმილს  
ჰკიდებს).

ბ ლ ა ნ შ ი. მომეცი ფანქარი. ქალადლი არ გექნება?  
ჯობია, ჯერ ჩაიწერო რის შეტყობინებასაც ვაპირებ...  
(მაგილიდან აიტაცებს წარბების დასაქნელ ფანქარს)  
ესე იგი, რაო... (ფანქარს კბილებით აწვავლებს) „ძვირ-  
ფასო შეპ. მე და ჩემი და გჭოუვალ მდგომარეობაში  
ვართ“.

ს ტ ე ლ ა. მაგაზე კი ბოდიში, ჩემო დაო.

ბ ლ ა ნ შ ი. „მე და ჩემი და გამოუვალ მდგომარეო-  
ბაში ვართ. დაწვრილებით მერე ავიხსნი. ხომ არ... და-  
ინტერესდებოდი... ჩვენი... (ფანქარს მაგიდაზე მოსივ-  
რის და წამოხტება) არა, ასეთი თხოვნით ვერავისთან  
ვერაფერს ვერ გახდები!

ს ტ ე ლ ა. (სიცილით) რა უცნაური ხარ, ძვირფასო.

ბ ლ ა ნ შ ი. მაინც რაღაცას მოვიფიქრებ, აი, ნახავ,  
თუ არა. ვერ მოვისვენებ, ვიდრე რამეს არ მოვიფიქ-  
რებ! შენ კი ნუ დამცინი, სტელა! გესმის? ნუ... აბა,  
აბა, ერთი აქ შეხედე, რა ამბავია ჩემს საფულეში! ხე-  
დავ, რამდენი მაქვს? (ხელის გაკვრით გახსნის საფუ-  
ლეს) სამოცდახუთი ნამდვილი ცენტი!

ს ტ ე ლ ა. (მიდის საწერ მაგიდასთან) სტენლი უო-  
ველთვის როდი მაძლევს ფულს ხარჭებისაფის. თვი-  
თონვე უყვარს ვალების გასტუმრება, მაგრამ... ამ დი-  
ლას ათი დოლარი მომცა. ჩემი გულის მოგება უნდა.  
აი, ხუთი შენ აიღე, ბლანშ, და დანარჩენს კი მე დავი-  
ტოვებ.

ბ ლ ა ნ შ ი. არა, არა, მადლობელი ვარ... მირჩევნია  
ვინმეს გავუწვი!

ს ტ ე ლ ა. სისულელეს ნუ ამბობ! მაინც რამ ჩაგა-  
დო ამ დღეში?

ბ ლ ა ნ შ ი. ფულს, ხომ იცი, ადვილად ვერ დაუქერ  
თავს, ხან რა მოგესურვება, ხან რა (შუბლს ისრებს)  
დღეს ალბათ ისევ იძულებული გავხდები ბრომს მივა-  
კითხო!

ს ტ ე ლ ა. მოდი, მოეშივი მაგ ამბებს, ცოტა ხნით  
მაინც...

ბ ლ ა ნ შ ი. სტელა, მე მაგის გვერდით ვერ ვიცხოვ-  
რებ! შენ შეგიძლია ეგ, რადგან ქმარია შენი, მაგრამ  
ახლა აქ რა გამაჩერებს მას შემდეგ, რაც წუხელ მოხ-  
და, და თანაც ჩვენს შორის მხოლოდ ეს ფარდაა გაჩ-  
ნობიერი.

ს ტ ე ლ ა. ბლანშ, წუხანდელივით ეგ არასოდეს არ  
უყოფილა.

ბ ლ ა ნ შ ი. პირიქით, სწორედ წუხელ ვნახე, ვინცა  
ბრძანდება; მაგისთანებს მხოლოდ პირუტყვული ძალის  
გამოჩენა ძალუბთ და მაგანაც დიდებულად წარმოაჩინა  
იგი. ერთადერთი ხსნა ამ კაცისაგან არის ის, რომ ლო-  
გინში ჩაუწვე მას! ეგ კი შენ მოვეთხოვება და არა მე!

ს ტ ე ლ ა. შენ უყვე დაირწმუნე თავი, რომ მე ნამ-  
დვილად გასაქვევალ მაქვს საქმე?

ბ ლ ა ნ შ ი. ახლა არ მითხრა, თითქოს რაღაც იღუმა-  
ლი ელექტრონული მოვლენები არსებობდეს ადამია-  
ნებს შორის. თუ მაგისთანა რაღაცას წამოროშავ, სი-  
ცილს დაგაური, იცოდე.

ს ტ ე ლ ა. მე საერთოდ არაფრის თქმას აღარ ვაპი-  
რებ ამის შესახებ.

ბ ლ ა ნ შ ი. ჰოდა, კარგად მეყოლე!

ს ტ ე ლ ა. კი, მაგრამ, მამაკაცსა და დედაკაცს შორის  
სიბნელეში ხდება ისეთი რაღაცეები... რასთანაც უოკე-  
ლივე დანარჩენი მნიშვნელობას კარგავს (პაუზა).

ბ ლ ა ნ შ ი. რაზედაც ახლა შენ ლაპარაკობ, ეგ პი-  
რუტყვული ატროკებაა, სურვილი, და სხვა არაფერი!  
გესმის, სხვა არაფერი! ეგ სწორედ ის არის, რაც ან  
დანჯღრეულ ტრამვაის ჰქვია, ამ თქვენს ევარტალში რომ  
დარახრახნებს ერთი ვიწრო ქუჩიდან მეორეზე...

ს ტ ე ლ ა. ისე ლაპარაკობ, თითქოს არასოდეს მქდა-  
რხარ იმ ტრამვამო.

ბ ლ ა ნ შ ი. სწორედ იმან მომიყვანა, ბატონო, აქ.  
სადაც არავის მოვუპატივივარ და აქ უოფნით კი თავი  
მეჭრება...

ს ტ ე ლ ა. ეგ შენი ქედმაღლური იერი აქ ცოტა უად-  
გილო ხომ არ არის?

ბ ლ ა ნ შ ი. მე არც ვარ და არც მგონია ჩემი თავი  
სხვაზე მეტი, ჩემო სტელა. დამიჯერე, არ მგონია. ასეა  
და, რა ვქნა! აი, მე რა მგონია, მაგისთანა მამაკაცს  
შეიძლება ერთი ორჯერ ან სამჯერ შეხვდე, როცა ეშ-  
მაკი ჩაგისახლდება სხეულში, მაგრამ მასთან ცხოვ-  
რება? მისგან ბავშვის ყოლა?

ს ტ ე ლ ა. აკი გითხარი, მიყვარს-მეთქი.

ბ ლ ა ნ შ ი. მე სულ მაკანკალდებს, შენზე რომ ვფიქ-  
რობ! სწორედ რომ შენს მაგივრად მე ვკანკალდებ...

ს ტ ე ლ ა. რა ვქნა, იკანკალე, რაკი ეგრე ხარ ატე-  
ხილი! (სიჩუმე ჩამოვარდება).

ბ ლ ა ნ შ ი. შეიძლება გელაპარაკო... გულახდილად!

ს ტ ე ლ ა. როგორ არ შეიძლება. მიდი, დაფქვი, რის  
თქმაც გინდა. (გარედან ისმის მოახლოებული მატარებ-  
ლის ხმა. აღარ ისმის ნაბიჯების ხმა, როდესაც სტენლი  
შემოდის. ქალები ვერ ხედავენ მას. ხელში რამდენიმე  
ფუთა უჭირავს, უსმენს ქალების შემდგომ საუბარს.  
აცვია შიგნითა პერანგი და ზეთში ამოგანგლული შარ-  
ვალი).

ბ ლ ა ნ შ ი. მაშ, თუ არ გეწონება... მეტისმეტად  
უბრალო და ტლანქი რამ არის.

ს ტ ე ლ ა. რა ვუყოთ, მეც აგრე მგონია.

ბ ლ ა ნ შ ი. გგონია! გგონია კი არა, ხომ არ დაგა-  
ვიწყდა, როგორ გაგვჯარდეს, სტელა, და მაგას კი ოდ-  
ნავ მაინც ეცხოს კეთილშობილების მსგავსი რამ! ჩაგ-  
რამ, გაგიგონია? მარტო სიტლანქე რომ სჭირდეს, ვინ  
ჩივის! ან რომ იყოს უბრალო, მაგრამ კეთილი და სა-  
ლი, კიდევ ჰო, მაგრამ რა დაგიკარგია, რას ეძებ. ერთი



გაუთლელი მუტრუკია და მეტი არაფერი, ნამდვილი პირუტყვი! ალბათ მთლად შეგაძულე თავი ასეთი ლაპარაკით, არა?

**ს ტ ე ლ ა** (ცივად) არა, არა, განაგრძე, ბლანშ, შენ შენი.

**ბ ლ ა ნ შ ი.** ნამდვილი პირუტყვივით იქცევა. ჩვევებიც ნადირისა აქვს! ქაშის მხეცივით, დაღის მხეცივით, და სიტყვა-პასუხიც ნადირული აქვს, ისე იღრინება. მასში არის რაღაც ისეთი, რაც ჭერ არ არის გადაამიანურებული, რასაც ჭერ არ შეუღწევია ადამიანურობის საფეხურამდე. დიახ, რაღაც მაიმუნისებური იერი აქვს, სწორედ ისეთი. სურათებზე რომ მიწახავს, როცა ანთროპოლოგიას ვსწავლობდი! მრავალმა ათასმა წელმა გვერდი აუარა მას და აგერ, ინებეთ — სტენლი კოვალსკი — ქვის ხანის ნაშთი! შინ რომ უში ხორცი მოაქვს უღრან ტყეში მოკლული ნადირისა! შენ კი... დამდგარხარ და ელოდები! იქნებ გცემოს ან იქნებ დაიდრუტუნოს და გაკოცოს კიდევ! თუ, რასაკვირველია, უკვე იციხ, რა არის კოცნა! აგერ, უკვე დამდება და თავს იყრიან მაიმუნებიც! აქ, ამ გამოქვაბულის წინ. ყველა მასხავთ ხროტინობს, ბუხუნებს, ძვლებსა ხრავს და წუწნის. მისი პოკერის საღამოო, შენ ამბობ? — ეს ხომ მაიმუნების თავყრილობაა და სხვა არაფერი! ერთი იღრინება, მეორე რაღაცას წაეტანება და აჰა, ერთმანეთს შეებნენ კიდევ. დმერთო! ალბათ ჭერ კიდევ შორსა ვართ იმისაგან, რომ ღვთის სახიერად ვიწოდებოდეთ, მაგრამ სტელა, ჩემო დაო, ხომ მაინც მოხდა რაღაც პროგრესი მას შემდეგ, რაც ასე დაგვერქვა! განა მას შემდეგ, რაც ხელოვნება გაჩნდა — პოეზია თუ მუსიკა — ჩვენს ცხოვრებას ახალი შუქი არ მოეფინა! განა არ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც უფრო ფაქიზი გრძნობები აქვთ? და განა არ გვმართებს ჩვენ განვავითაროთ ეს გრძნობები ჩვენში, ავითაკოთ ისინი და დროშასავით წინ წავიმძღვაროთ ამ ბნელით მოცულ გარემოში. სადაც არ უნდა გავიყვანოს ჩვენმა მისწრაფებამ... ნუ... ნუ მიენდობი მხეცქმნილ ადამიანებს!

(კიდევ ერთი მატარებელი ჩაივლის. სტენლი ორჭოფობს, თან ტუჩებს ილოკავს. შემდეგ ერთბაშად მოტრიალდება და შეუმჩნეველ გაივლის წინა კარში. ქალები ვერც ახლა ხედავენ მას. მატარებლის ხმა რომ მიწყდება, იგი კარებს მოფარებული ყვირის)

**ს ტ ე ნ ლ ი.** ჰეი! ჰეი, სტელა!

**ს ტ ე ლ ა** (რომელიც გულისყურით უსმენდა ბლანშს) **სტენლი!**

(სტენლი შემოდის თითქოს შემთხვევით, ხელში რამდენიმე შეკერა უჭირავს)

**ს ტ ე ნ ლ ი.** რასა იქ, სტელა? ბლანში შინ არის?

**ს ტ ე ლ ა.** კი, უკვე დაბრუნდა.

**ს ტ ე ნ ლ ი.** ბლანშს ვახლავარ (გაულიმებს).

(სტელა ორივე მკლავს შემოაქვდა ქმარს და რაც ძალი და ღონე აქვს, ჩაეხუტება. ბლანშის თვალწინ. სტენლი იცინის და სტელას თავს მაგრად მიიკრავს მკერდზე, მის თავსზევით კი უღიმის ფარდასთან მდგომ ბლანშს.

სინათლე თანდათან ქრება, ისმის „ცისფერი პიანინოს“ ბგერები, საყვირისა და დასარტყმელი ინსტრუმენტების ხმა).

(ბლანში საწოლ ოთახში ჩამოქდარა. პალმის ფოთლით ინიავებს და ხელახლა კითხულობს ბარაოს, რომლის წერა ეს-ეს არის დაამთავრა. უცბად სიცილი წასკდება. სტელა ტანთ იცემს საწოლ ოთახში).

**ს ტ ე ლ ა.** რა გაცინებს, ძვირფასო?

**ბ ლ ა ნ შ ი.** საყუთარ თავზე მეცივნება, ასეთი მატყუარა რომ ვარ! შეპს ვწერდი წერილს (იღებს წერილს) „ძვირფასო შეპ! ამ ზაფხულს ერთთავად სულ ფრენაში ვატარებ, ხან ვისთან ჩავფრინდები და ხან ვისთან. და ვინ იცის, იქნებ უცბად მომპრიანოს და აღლასზე დავეშვა! რას იტყვი ამაზე, ა? პა-პა! (ნერვიულად და ხმამალა იცინის, ყელზე ხელს იკიდებს, თითქოს მართლაც შეპს ელაპარაკებოდეს) ამაზე იტყვიან, გაკირვება მაჩვენე, გაქცევას გიჩვენებო!“ ხომ მაგრად ისმის? (განაგრძობს დაძაბული) „ჩემი დის მეგობართა უმრავლესობა ზაფხულობით ჩრდილოეთს მიემგზავრება, ზოგსაც ზღვის ნაპირზე აქვს წამოკიშული სახლები და ახლა აქ გაუთავებელი გართობებია, ჩაი, კოქტეილი, საუფლე...“

(ზემოდან, პაბელის ოთახებიდან რაღაც არეულ-დარეულად ისმის).

**ს ტ ე ლ ა.** იუნისი და სტივი ეტუობა რაღაცაზე ვერ გვარდებიან.

(იუნისი საშინლად განრისხებული ყვირის).

**ი უ ნ ი ს ი ს ხ მ ა.** გავიგე, რასაც ხიმანელობთ შენ და ის ქერა გომბიო!

**ს ტ ი ვ ი ს ხ მ ა.** უნამუსო სიცრუეა!

**ი უ ნ ი ს ი ს ხ მ ა.** ჩემი თვლით განზე, როგორ დასდევდი უკან დერეფანში. წავალ და ზნეობის დაცვის რაზმს განვუცხადებ ყველაფერს.

**ს ტ ი ვ ი ს ხ მ ა.** ასე მაგრად ნუ შექაჩები, თუ ქალი ხარ!

**ი უ ნ ი ს ი ს ხ მ ა.** (შეპკვილებს) ხელი გააჩერე! ახლავე პოლიციას დაუძახებ! (ისმის როგორ მიეხლება კედელს რაღაც ლითონის საგანი, რასაც მოჰყვება მამაკაცის განრისხებული ღრიალი, ყვირილი და გადამრუენებული ავეჯის ბრახუნი. რაღაც იღვწება, შემდეგ კი ნიწყნარე ჩამოვარდება).

**ბ ლ ა ნ შ ი.** (მხიარულად) ნეტავ მოკლა თუ არა?

(იუნისი გამოჩნდება კიბეზე საშინლად აწეწილ-აწეწილი).

**ი უ ნ ი ს ი.** პოლიციას დაუძახებთ! პოლიციის დასაძახებლად მივიღვარ (სირბილით მიეფარება ქუჩის კუთხეს).

**ს ტ ე ლ ა** (კარიდან უკან გამობრუნდება) შენი დის ზოგიერთი მეგობარი კი ზაფხულს ქალაქში ატარებს. (ორივე ხალისიანად იცინის. კუთხიდან გამოდის სტენლი მწვანე-წითელ პერანგში კეკლის სათამაშოდ გამოწყობილი. კიბეს აირბენს და სამზარეულოში შეიქრება. ბლანში მის დანახვაზე ნერვიულად შეტოკდება).

**ს ტ ე ნ ლ ი.** რა დავმართა იუნისის?

**ს ტ ე ლ ა.** სტივს წაჩხუბა. მოჰყავს პოლიცია?

**ს ტ ე ნ ლ ი.** არა, ზის და სვამს.

**ს ტ ე ლ ა.** კეკა უხმარია!

(სტივი კიბეზე ჩამოდის, შუბლზე დალილავებულ ადგის ხელის სმით იშუმებს, თან კარში იყურება)

**ს ტ ი ვ ი.** მანდ არის?

**ს ტ ე ნ ლ ი.** არა, არა. ბარში ზის.

**ს ტ ი ვ ი.** ოპ, ეგ ჩათლახი! (კუთხისაკენ გაიხედავს).



ცოტა არ იყოს, დამფრთხალი, მერე კი მოჩვენებითი გაბედულებით შემობრუნდება და ცოლის კვალს გაეკიდება).

**ბლანში.** ეს კი ნამდვილად უნდა ჩავიწერო უბის წიგნაკში! პა-პა! მე, აგერ, წიგნაკის შედგენა მაქვს წამოწყებული. სადაც შემაქვქ მაგარ-მაგარი სიტყვები და გამოთქმები, რასაც თქვენთან მოვკრავ ხოლმე ყურს.

**სტენლი.** თქვენ აქ ისეთს ვერაფერს მოისმენთ, აღრე რომ არ გქონდეთ გაგონილი.

**ბლანში.** შემძლია მაგის იმედი ვიქონიო?

**სტენლი** (ოღნავ წინ დაიხრება, ვიდრე პალსტუხს იბნევს) ერთი ეს მიბრძანეთ, ხომ არ იცნობთ ვინმეს გვარად შოუს?

(ბლანშს სახე შეეცვლება, ოდეკოლონს წაეტანება და ცხვირსახოცზე ისხურებს, თან ფრთხილად პასუხობს).

**ბლანში.** მე მგონი, ისეთს ვერავის ნახავთ. თუნდაც ერთ რომელიმე შოუს მაინც რომ არ იცნობდეს!

**სტენლი.** ჰოდა, ეს ვიღაცა დარწმუნებულია, რომ ნახული ჰყავხართ ლორელში, მაგრამ მე მგონი ვიღაცაში უნდა ეშლებოდეთ, რადგან იმ ქალს იგი სასტუმრო „ფლამინგოში“ გადაჰყრია.

**ბლანში.** როგორც ჩანს, იმ თავის „ვიღაცაში“ შევეშალე. სასტუმრო „ფლამინგო“ ისეთი ადგილი როდესაც ვახლავთ, მე რომ ცხვირის შეყოფა გავბედო!

**სტენლი.** მაშ გცნობიათ და ეგ არის!

**ბლანში.** დიახ, დამინახავს კიდეც და მისი სურნელებაც მიგრძვნია.

**სტენლი.** გეტუბათ, ახლოსაც მისულხართ, რაკი მისი სურნელებაც გიგრძვნიათ, პა?

**ბლანში.** იაფფასიან სუნამოებს საკმაოდ მძაფრი სუნი აქვთ.

**სტენლი.** თქვენ რომლებსაც ხმარობთ — ძვირფასებია?

**ბლანში.** ერთი უნცია ოცდახუთი დოლარი მიქდება. ბარემ ეგვეც იცოდეთ, თუ ჩემი დაბადების დღე გაგახსენდათ! (თითქოს ლალად მეტყველებს, მაგრამ მის ხმაში შიში გამოსკვივის).

**სტენლი.** ეტყობა, შოუს მართლაც შეშლიხართ ვიღაცაში. ლორელში იგი წამდაუწუმ ჩადის, ისე რომ, თავისი შეცდომის დაუხსტება არ გაუპირდება.

(გატრიალდება და ფარდისკენ გაივლის. ბლანში თვლებს მილულავს, თითქოს გული მისდის, ხელის კანკალით მიაქვს ცხვირსახოცი შებღთან).

სტივი და იუნისი კუთხიდან გამოჩნდებიან. სტივს მკლავი იუნისისათვის მხარზე აქვს გადახვეული, იუნისი გულამომდარი სლუკუნებს, სტივი კი უყვავებს. ისინი ნელა ადიან კიბეზე ხელიხელგადაკლებილინი).

**სტენლი.** (სტელას) მაშ მე ბარში დაგელოდებით.

**სტელა.** ჰეი! ერთი კოცნა მაინც არ გემეტება?

**სტენლი.** ოღონდ შენი დის თვალწინ არა.

(გადის. ბლანში სკამიდან წამოდგება. ლამის წაიქცეს, გარშემო იყურება, სახეზე პანიკა აღბეჭდვია).

**ბლანში.** მითხარი, თუ და ხარ, ვინ რა მოგაქორა ჩემს შესახებ?

**სტელა.** მომაქორა?

**ბლანში.** ვისიმე ავ ენებს რაიმე ცილი ხომ არ დაუწამებიათ ჩემთვის?

**სტელა.** უიჲ, ბლანში, რა თქმა უნდა! არაფერი ყოფილა მაგის მსგავსი!

**ბლანში.** ეჰ. ჩემო კარგო, ლორელი კი მ. თქმამოთქმით იყო აკლებული.

**სტელა.** შენზე, ბლანში?

**ბლანში.** ეს ბოლო ორი წელი არც თუ ისე უშანკოდა მაქვს გატარებული მას შემდეგ, რაც „ლამაზი ოცნება“ ხელიდან გამომიცალა.

**სტელა.** ყველას გვემართება ისეთი რაღაც. რაც...

**ბლანში.** მე არც სიმტიკე მყოფნიდა ოდესმე და ვერც დიდ დამოუკიდებელ ხასიათს დავიჩემებ. სუსტი ნებისყოფის ადამიანები კი იძულებულნი არიან ძლიერების კალთას ამოეფარონ, სტელა. მათი მოვალეობა მიგიზიდოს, მოგზიბლოს და საამისოდ შესაფერი ზიილი-პიილოებიც ესაპიროება, თან ისეთი ნაზი, პეპლების ჯრთებზე რომ დაუმტვრევია ბუნებას, სწორედ ასე გამართებს ვიღაც-ვიღაცების მონუსხვა... თუ სხვა რამის გადახდა არ შეგიძლია... იმისათვის, რომ ღამე გაგაოვივინეს. ჰოდა, ამ ბოლო ხანებში მე არც თუ ისე სათნო ცხოვრებაქ ვეწეოდი; ერთთავად სულ თავშესაფრის ძებნაში ვიყავი, ჩემო სტელა. ხან ერთ პერს შევფარებდი თავს, სადაც საიდუმლოება არავის ადგებოდა ენაზე, ხან მეორეს, დაჰქროდა ქარტახილი, ჩემთვის ვერა და ვერ გამოიღობა, მეც ტანჯორივით დამატრიალა ცხოვრების გრივალში. მერე და განა ვინმემ გაუწია ამას ანგარიში? ან მამაკაცებმა მაინც?... შენც არ მომიკვდე... ვიდრე არ გამიმიჯნურდებოდნენ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, ვარსებობდი ამ ქვეყნად თუ არა... არადა, აბა, სცადე მოიპოვო ვინმეს მხარდაჭერა ისე, რომ ურადღების მიპყრობა არ შეგეძლოს, თვალშისაცემი არ გახდეს. ჰოდა, ამიტომაც სუსტებს სულ ციმციმი და ელვარება მართებთ... საჭირო ხდება ღამას ქალადის აბაჟური ჩამოაფარო. საშინელება მიპყრობს, როცა ვფიქრობ, დიდხანს მეყოფა თუ არა ძალა ან მატარაზობის გასაძლებანს. ახლა უსუსურობით თავს ვერ გაიტან. სისუსტე — სისუსტეა, მაგრამ, სილამაზეს რალას ეუბნები? მე კი ის აღარა ვარ, რაც ვიყავ...

(თანდათან ბინდი ჩამოწვება. სტელა საწოლ ოთახში შედის და სინათლეს ანთებს ქალადის აბაჟურჩამოფარებულს. ხელში გამაგრილებელი სასმელის ბოთლი უჭირავს).

**ბლანში.** გესმოდა, რასაც ვამბობდი?

**სტელა.** მეტი საქმე არა მაქვს, მაგ ბოღვას ვუგდო ყური! (მიუახლოვდება ლიმონათის ბოთლით ხელში).

**ბლანში.** ეგ ლიმონათი ჩემთვის გინდა?

**სტელა.** მაშ ვისთვის?

**ბლანში.** უი, შენ შემოგველოს ჩემი თავი! მართლა ლიმონათია?

ბლანში უტბად სტაეებს ხელს სტელას თავისუფალ ხელს და ზედ ტუჩებით დაეკონება. (სულშეგუბული ჩახლენილი ხმით) შენ... შენ... ასეთი კეთილი ხარ ჩემს მიმართ! და მე კი...

**სტელა.** ბლანში!

**ბლანში.** კარგი, ვიცი, მეტს აღარ ვიზამ. თქვენ მე გჟულვართ ჩემი სანტიმენტალური ლაპარაკისათვის! მაგრამ, ძვირფასო, გთხოვ, დამიჯერო, მე უფრო მეტს ვგრძნობ, ვიდრე გეუბნები! მე აქ დიდხანს არ დავრჩები! არა-მეთქი, სიტყვას გაძღვე, წავალ! მალე გაგეტყვობთ! მართლა წავალ! აქ მე თქვენს კისერზე იმდენ ხანს არ ვიქნები, რომ მან გამოაღოს აქედან!...

**სტელა.** კარგი, გეუოფა, ნუ ხელულობ!



**ბლანში.** კარგი, საუვარდლოჲ. შეხედე, როგორ ასხამ... ხედავ, ქაფი რა პირთამდე მოიკიდა!

(ბლანში გულისგამგმირავად იცინის და კიქას წაეტანება, მაგრამ ხელი ისე უკანკალებს, რომ ლამის გავარდეს კიქა. სტელა ლიმონათს კიქებში ასხამს, ქაფი პირს იკიდებს და იღვრება. ბლანში შეჰკივლებს).

**სტელა.** ეგრე რატომ შეჰკივლე?

**ბლანში.** მე თვითონ ვერ გამოვივა, რატომ ვიკივვლე! (ნერვიულად განავრძობს). მიჩი... მიჩი შვიდზე მოვა. მე უკვე ვგრძნობ, რომ მძაბავს ჩვენი ურთიერთობა. (ლაპარაკობს სწრაფად და სულმოუთქმელად) ჭერჭერობით ვერაფერს გამოძრჩა გარდა გამოსამშვიდობებელი კოცინისა. მეტი არაფერი გამიმეტებია მისთვის, სტელა. მე კი მინდა, რომ პატივისცემით შექცევოდეს, მამაკაცები ხომ აინუნშიც არ აგდებენ იმას, რაც იოლად უვარდებათ ხელში, მაგრამ, ისიც კია, რომ ინტერესიც მალე უქრებათ. განსაკუთრებით მაშინ, თუ ქალი ოცდაათ წელს არის გადაცილებული. რა თქმა უნდა... მან არ იცის... ვგონებ, არ მითქვამს მისთვის ჩემი ნამდვილი ასაკი!

**სტელა.** რა გინდა, რას ჩააცვიდი მაგ შენს ასაკს?

**ბლანში.** იმიტომ, რომ ჩემი პატივმოყვარეობა ბევრჯერ ჩაწიხლა ცხოვრებამ. მე მხოლოდ ის მინდა, რომ... დაე, ვეგონო... ერთი პრანკია და უკარება დიაცი! (მეკვხედ გაიცინებს) მინდა ისე ავუბნოთ თავგზა, რომ... ჩემი დაუფლები სურვილმა დასწვას...

**სტელა.** ბლანში, შენ თავად კი გახურს იგი?

**ბლანში.** მე მოხვენება მსურს! მინდა უწინდებურად თავისუფლად ვსუნთქავდე! დიახ... მიჩი ჩემთვის საჭიროა... და მერე როგორ!.. წარმოიდგინე! ეს რომ მოხდეს! მაშინ შევძლებ აქაურობას გავშორდე და არავის არ დავაწვე კისერზე...

(სტენლი კუთხიდან გამოდის, ქამარში ბოთლი აქვს გარქობილი).

**სტენლი** (პირმოხეული ყვირის) ჰეი, სტივ, ჰეი, იუნის! ჰეი, სტელა!

(ზემოდან სიხარულის შეძახილები მოისმის, კუთხიდან კი საყვირისა და დასარტყმელი ინსტრუმენტების მიერ წამოყვებული მუსიკა).

**სტელა** (გზნებით ჰკოცნის ბლანშს) მოხდება!

**ბლანში.** (იქნეულად ვითომ?)

**სტელა.** მოხდება! (სამზარეულოსკენ გაეშურება. თან ბლანშს გამოსცქერის) მოხდება, ძვირფასო, მოხდება... ოღონდ სმას მოეშვი! (ხმა ჩაუწყდება, როგორც კი კარს გასცდება ქმრის შესახვედრად.

ბლანში ძალაგამოცილი ჩაეშვება სავარჯელში კიქით ხელში. იუნისი ერთი წიკობითა და სიცილით ჩამორბის კიბეზე, სტივი ფეხდაფეხ მოსდევს, თან ოხასავით კიკინებს და კუთხესთან დაეწევა ცოლს. სტენლი და სტელა ხელიხელდაგაქდობილნი უკან მიჰყვებიან მათ სიცილით.

ბნინდი მატულობს. მუსიკა აუჩქარებულად და ნაღველიანად ითვლის ტაქტს)

**ბლანში.** ოჰ, ვაი, ვაი, ვაი ჩემს თავს... (თვლებს ხუჭავს და ხელიდან უვარდება პალმის ფოთოლი. ერთი ორჯერ გამეტებით დაკრავს ხელს სავარძლის სახელურს, წამოდგება და იღებს პატარა სარკეს. საილს უცბად ელევა განათებს).

(კუთხიდან გამოჩნდება ახალგაზრდა კაცი, კიბეზე აირბენს და ზარს რეკავს. ბლანში სარკეს ვახუც გადაადებს).

**ბლანში.** მობრძანდით! (ახალგაზრდა ფარდობთავს შემოჰკოფს. ბლანში ცნობისმოყვარეობით მიჩერდება) მობრძანდით, გეთყავა. რით შემძლია გემსახუროთ?

**ახალგაზრდა.** მე „ივინგ სტარზე“ ხელმოწერას ვაგროვებ.

**ბლანში.** „ივინგ სტარი!“ ესე იგი „ხალამოს ვარსკვლავი“, ხომ? არ მეგონა თუ ვარსკვლავებზედაც არსებობდა ხელმოწერა.

**ახალგაზრდა.** ეს გაზეთი გახლავთ.

**ბლანში.** ვიცი, მივხვდი, გაგეტყობო, მაგრამ, ვგონებ, უკბილოდ. სასმელს ხომ არ ინებებთ?

**ახალგაზრდა.** არა, ქალბატონო, მადლობას ნოგახსენებთ. მუშაობის დროს დალევას ვერ გავბედავ.

**ბლანში.** ერიპა, მაშ რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ... ჩბეც რომ გამოფხეკილი მაქვს... თან არც აქაური დიასახლისი ვარ. მე და ვარ ამ სახლის დიასახლისისა, მისისიპიდან ჩამოვედი, ხომ გსმენიათ ღარიბ და საწყალ ნათესავთა არსებობა? მე სწორედ ერთი იმთაგანი ვახლავართ.

**ახალგაზრდა.** არა უშავს, ნუ სწუხდებით, სხვა დროს შემოვივლი (წასვლას დააპირებს. ბლანში მიუახლოვდება).

**ბლანში.** მოითმინეთ! (ახალგაზრდა მოკრძალებით შემობრუნდება. ბლანში სიგარეტს გამართავს გრძელ მუნდშტუში) ხომ ვერ მომიკიდებთ? (მისკენ მიდის, ერთმანეთს ორ თოასს შუა კარებში ხვდებიან).

**ახალგაზრდა.** როგორ არა, ინებეთ (ამოიღებს სანთებელს) ზოგჯერ არ ინთება.

**ბლანში.** ასეთი ჰირვეულია? (უკიდებს) აჰ! დიდად გამაღლობთ.

**ახალგაზრდა.** როგორ გეკადრებათ (კვლავ წასვლას დააპირებს).

**ბლანში.** მოითმინეთ! (ახალგაზრდა ისევ მოტრიალდება, უფრო მეტად დაბნეული. ბლანში ზედ მიადგება) უჰ... რომელი საათია ნეტავ?

**ახალგაზრდა.** შეიძინს თხუთმეტი წუთია, ქალბატონო.

**ბლანში.** ამდენი დრო გასულა?.. არ მოგწონო ეს გაუთავებელი წვიმიანი საღამოები ახალ ორღენში, როდესაც საათი უკვე საათი კი აღარ არის, არამედ მარადიულობის პაწია მონაკვეთი, რომელიც ხელში გივარდება და აღარ იცი, რა უყო მას?

**ახალგაზრდა.** დიახ, ქალბატონო.

**ბლანში.** (მზარზე ხელს შეახებს) ოჰ, წვიმაში მოყოლილხართ?

**ახალგაზრდა.** არა, ქალბატონო, მოვასწარი თავის შეფარება.

**ბლანში.** სად? აფთიაქში? და ალბათ სოდანი წყალიც მიირთვით, არა? (ახალგაზრდა თანხმობას ნიშნად დაიხმუვლებს) შოკოლადიც დააყოლეთ?

**ახალგაზრდა.** არა, ქალბატონო, შერი.

**ბლანში** (იცინის) შერი?

**ახალგაზრდა.** შერი სოდანი წყლით.

**ბლანში.** კარგი ერთი, ნერწყვი ნუ მომგვარეთ! (თითო ოდნავ შეეხება ლუკაზე და გაუღიმებს. შემდეგ თავის ჩემოდანს მიაშურებს).

**ახალგაზრდა.** ახლა კი ჭობია წავიდე.

**ბლანში.** (შეაჩერებს) მოითმინეთ, ქაბუკო. (ახალგაზრდა მოტრიალდება. ბლანში ჩემოდნიდან თხუთსოვის შარფს ამოიღებს და მხრებზე მოახუცავს).



ახალგაზრდავ! ქაბუკო! უმაწვილო! ნუთუ არავის უთქვამს თქვენთვის, რარიგაღ! ჰგავხართ ამის ერთი ღამის ქაბუკ უფლოსწულს? (ახალგაზრდა უხერხულად იცინის და ერთ ადგილზე დგას დარცხვენილი).

ახალგაზრდა. როგორ გეკადრებათ, ქალბატონო...

ბლანში (აღერსიანად) ჰგავხართ, დიახ, ჰგავხართ, პაწია ნუკრო! მოდით აქ, მოდით-მეთქი, რომ გეუბნებით! მინდა გაეცოთ; მხოლოდ ერთხელ, ნაზად და ტკბილად, ტუჩებში! (მის პასუხს აღარ ელოდება, სწრაფად მიუახლოვდება და ტუჩებში დაეკონება). ახლა კი გაიქე, სწრაფად! კარგი კი იქნებოდა, არ გამეშვი, მაგრამ, რა ვქნა, ზნეობრიობის გამოჩენა მპართებს... და ბალებების გარყვნა არ შემატიება.

(ახალგაზრდა წამით გაშტერებული უტყქერის. ბლანში კარს გაუღებს და როდესაც ახალგაზრდა გოგონებული გადის, ჰაეროვან კოცნას დაადევნებს, ოცნება-მორეული დგას და გაჰყურებს, ვიდრე იგი თვალს არ მიეფარება. შემდეგ კი კუთხიდან გამოჩნდება მიჩი ვარდების თაიგულით ხელში).

ბლანში. ეს ვილა მოდის! აჰ, ჩემი ვარდების კავალერი!.. ჭერ, აბა, თავი დამიკარიოთ... ახლა კი გამომიწოდეთ ეგ ვარდები!.. (მიჩი ყველაფერს ასრულებს, რაც ითქვა. ბლანში ღრმა რვეერანსს აკეთებს) აჰჰჰ... მერსიი! (ბლანში კეკლუცი სახით მიიტანს ვარდებს ტუჩებთან და ახედავს მიჩს. მიჩს სახეზე დარცხვენის აღმური ასდის).

მეექვსე სურათი

იმავე ღამის დაახლოებით ორი საათია. მოჩანს შენობის გარეთა კედელი, შემოდიან ბლანში და მიჩი.

ბლანში (უნიათოდ გაჩერდება კიბესთან) ესეც ასე... (მიჩი უხერხულად იცინის) ესეც ასე...

მიჩი. ახლა საკმაოდ გვიან უნდა იყოს — და თქვენც დაიღალეთ.

ბლანში. როგორ გაიგნებთ გზას სახლამდე?

მიჩი. ფეხით როგორმე მივალწევ ბურბონამდე და იქ ტაქსს დავიჭერ.

ბლანში. (უგუნებო სიცილით) ის ტრამვაი, „სურვილი“ რომ ჰქვია, კიდევ თუ დაჭაყაყუებს ამ დროს?

მიჩი. (ამოხუნებული) ეჰ, თქვენ ალბათ მაინცა და მაინც ვერაფერი ისიამოვნეთ ამ საღამოს, ბლანში.

ბლანში. პირიქით, ალბათ მე გაგიფუქეთ დღევანდელი საღამო.

მიჩი. არა, რას ბრძანებთ! მე მთელ საღამოს ამის ფიქრი მტანჯავდა, რომ ვერაფრით ვერ მოვახერხებ თქვენი გამხიარულებას.

ბლანში. არა, უბრალოდ მე ვერ აგყევით, ეს არის სულ, არა მგონია, ოდესმე ასე მომეწადინებინა გავმხიარულებულიყავ, მაგრამ, ხომ ხედავთ, რა ვაგლახად დამთავრდა ყველაფერი. ბეჭითობისთვის კი ნამდვილად ფრიადს ვიმსახურებ! — ცდა მართლაც რომ არ დამიკლია.

მიჩი. მერედა, თავს ძალას რად ატანდით, თუ არ გამხიარულებოდით, ბლანში.

ბლანში. ვცდილობდი ბუნების კანონს დავმორჩილებოდი.

მიჩი. ეგ რაღა კანონია?

ბლანში. რა და ის, რომ ქალი უნდა ცდილობდეს გაართოს მამაკაცი, თუ არა და, დაეხსნას თამაშს. ნახეთ, იქნებ მიაგნოთ ამ კარების გასაღებს ჩემს ჩანთაში. ასე როცა ვიღლები, თითები აღარ შემორჩილებიან ხოლმე.

მიჩი. (ჩანთაში იქექება) ეს ხომ არა?

ბლანში. არა, საყვარელო, ეგ ჩემი ჩემოდნისაა, რომელსაც ალბათ მალე ჩავალაგებ.

მიჩი. როგორ, მალე გვიპირებთ მიტოვებას?

ბლანში. გადამტებული გამოდმის სტუმრობა.

მიჩი. ეს არის? (მუსიკა მინელდება).

ბლანში. ევრია! ძვირფასო, თქვენ კარი გააღეთ, მე კი ერთხელ კიდევ შევავლებ თვალს ამაღამინდელ ცას. კარები გაგიღათ? რა კარგი ბიჭი ხართ! თქვენ ალბათ შინ წასვლა გირჩევნიათ, ხომ?

მიჩი. (ერთ ადგილზე იტყუანება და მორიდებით ახველებს) შეიძლება... ერთხელ მაინც გაეცოთ... გამოსამშვიდობებლად?

ბლანში. რატომ მეკითხებით ყოველთვის შეიძლება თუ არა? საეჭვოდ რატომ იხდით საქმეს?

მიჩი. იმ დამეს, ტბასთან რომ ვსეირნობდით და მე გაეცოთ თქვენ, თქვენ...

ბლანში. ჩემო კარგო, ის ისეთი კოცნა იყო, უარს რა მათქმევინებდა. ძან კოცნა კი ცოდნიათ. მე სულ სხვა რაღაცამ... თქვენმა ერთგვარმა შეთამაშებამ დამტოვა სახტად... და საჭიროდ ჩავთვალე ცოტა გონს მომეყვანეთ... კოცნას კი სულაც არ გავუბრაზებიავ! თუ სიმაართლე გინდათ, მსიამოვნებდა კიდევ, რომ ასე ცდილობდით ჩემს დაუფლებას! მაგრამ, ძვირფასო, თქვენც, ჩემი არ იყოს, ხომ კარგად უწყით, რომ თუ ქალი მარტოხელაა და არავინ გააჩნია ქვეყანაზე, რაც შეიძლება თავი უნდა დაიპიროს, თორემ, მოგკამა ქირი... წავა ხელიდან.

მიჩი. (დაღერემილი) ხელიდან წავა?

ბლანში. მე როგორც ვხედავ, თქვენ ისეთ გოგონებს უნდა იყოთ მიჩვეული, ერთთავად სულ ხელიდან წასულობაზე რომ უჭირავთ თვალი.

მიჩი. მე კი სწორედ ისეთი მომწონხართ, როგორცაა ახლა გხედავთ, რადღაც თქვენწაირ ქალს ჩემს ცხოვრებაში არ შევხვედრებია.

ბლანში. ამ სახლის ბატონი და ქალბატონი ჭერ არ მობრძანებულან და შეგვიძლია შევიდეთ. შეგვიძლია თითო ჭიქა გადავკრათ, წასვლა-დარჩომის, იცით რა? მოდით, სინათლეს ნუ ავანთებთ!

მიჩი. თქვენ... როგორც თქვენ ინებებთ.

ბლანში. (წინა ოთახში დაყოვნდება) მეორე ოთახში ჯობია... გავიდეთ იქით, ეს რაღა დაეცა. რა მოუხერხებელი ვარ. ასე იმიტომ ვხმაურობ, რომ ვცდილობ, დასაღვეს მივაგნო სადმე.

მიჩი. დაღვევა გინდათ?

ბლანში. მე მინდა, რომ თქვენ დალიოთ! თქვენ მთელ საღამოს ისე შეფიქრანებული იყავით, სულ თავპირი ჩამოგტიროდათ. ვერც მე გაგეგეთ მაინცა და მაინც ფიანდაზად. ორივე დაბეჩავებულები ვიყავით და ახლა ეს ჩვენი ერთად ყოფნის უკანასკნელი წუთები... მინდა იყოს... Joie viel!

ბარემ სინათლესაც ავანთებ.

მიჩი. დიდებულია.

ბლანში. მაგარი ბოჭემა უნდა გავაჩაღოთ. ვითომ სადმე ერთ პატარა არტიკულ კაფეში ვსხედვარო პარიზში, სენის მარცხენა ნაპირზე, (სანთლის საშწქს



მოუკიდებს და ბოთლში ჩაარტობს, შედის საწოლ  
ოთახში სასმელითა და სანთლით) დაბრძანდით, გაი-  
ხადეთ ეგ პიჯაკი და სულაც შეინახეთ საყელო.

მიჩი. არა მიშავს, ასე ვიქნები.

ბლანში. არა, მინდა, თავისუფლად იგრძნოთ თა-  
ვი. (პიჯაკს გახდის). მშვენიერი პიჯაკია. რა ნაჭერია?

მიჩი. ამას ალპაკას ეძახიან.

ბლანში. აჰ, ალპაკას. ხომ?

მიჩი. კი, ძალიან მსუბუქი ნაჭერია.

ბლანში. ო, მსუბუქია, ხომ?

მიჩი. არ მიყვარს ტილოს პიჯაკები ზაფხულშიც  
კი, რადგან ერთთავად ოფლად ვიღვრები.

ბლანში. ოჰ.

მიჩი. სხვათა შორის, არც მიხდება. ჩემნაირი მძი-  
უტანის კაცმა ცოტა მსუბუქად უნდა ჩაიცვას, თორემ  
ძალიან ტლანქი გამოჩნდება.

ბლანში. თქვენ ეგ არ გეთქმით.

მიჩი. თქვენ აგრე ფიქრობთ?

ბლანში. რა თქმა უნდა, საროს ტანისა არ მყავ-  
ხართ, მაგრამ, სამაგიეროდ, ძვალმსხვილი და ზორბა  
ვაყვაცი კი ნამდვილად ხართ.

მიჩი. დიდ მადლობას მოგახსენებთ. გასულ შობა  
დღეს ახალი ორღუნის ათლეტური კლუბის წევრად  
ამირჩიეს.

ბლანში. ბიკოს!

მიჩი. უკეთესი ჭილდო ჩემს დღეში არ მღირსებია.  
ახლა სიმძიმეებით ვვარჯიშობ, ცურვაზე დავდივარ და  
ფორმაშიც ვარ. პირველად რომ წამოვიწყე, მუცელი  
ძალზე რბილი მქონდა. ახლა კი მაგრად გავიმაგრე.  
რა ძალითაც არ უნდა მომარტყას კაცმა მუშტი მუ-  
ცელზე, ვერ მატყნის. აბა, სცადეთ! მაგრამ! ხედავთ?  
(ბლანში ნახად წაჰკრავს ხელს).

ბლანში. ღმერთო ჩემო! (ხელს მკერდზე შეე-  
ვლებს).

მიჩი. აბა, გამოიცანით ჩემი წონა, ბლანში.

ბლანში. თქვენსავით ახოვანი ტანის კაცს რა წო-  
ნაც არ უნდა ჰქონდეს, ძონძროხობას ვერავინ დასწა-  
მებს.

მიჩი. ჩემი წონაა ორას შვიდი გირვანქა, სიმაღ-  
ლე კი — ექვსი ფუტი და დიუმნახევარი ფეხშიშველად.  
წონა კი დედიშობილა.

ბლანში. ღმერთო დიდებულო! დეტალებიც ასე-  
თი უნდა.

მიჩი. (დაბნეული) ჩემი წონა, რასაკვირველია, დი-  
დი ვერაფერი საინტერესო სასაუბრო საგანია. (წამით  
ყოყმანობს) თქვენ რამდენს იწონით?

ბლანში. მე?

მიჩი. დიახ.

ბლანში. აბა, გამოიცანით!

მიჩი. ხელში აგვიყვანოთ?

ბლანში. აი, ფალავანი! ჯანდაბას. ამიყვანეთ.  
(მიჩი უჩინად მოუვლის. წელზე შემოსხვევს ხელებს და  
აიტაცებს) აბა, რას იტყვი?

მიჩი. ეს რა მსუბუქი ყოფილხართ!

ბლანში. ჰა-ჰა! (მიჩი ძირს დაუშვებს მის, მაგრამ  
წელოდან ხელებს არ ამორებს. თვალთმაქცური სიმო-  
რცხვით) ახლა კი შეგიძლიათ შემეშვათ. (სახეგაბად-  
რული) ხელი გამიშვით-მეთქი, სერ. (მიჩი ხელის ფა-  
თურით ეხვევა. ოდნავ დატუტს) არა, მიჩ, სტენლი  
და სტელა რომ შინ არ არიან, ეგ არ ნიშნავს იმას,  
რომ რაიმე უნდა მაკადროთ.

მიჩი. თუ რამე გადავაპარბე, გამასილაქეთ.

ბლანში. სამაგისო არაფერი გვიკრის. თქვენ კეშ-  
მარტი ჭენტლმენი ხართ და ერთი იმ მცირეთაგანი,  
ამ ქვეყანას რომ აქა-იქ შემორჩინენ. ნუ ჩამოთვლით  
ამას გადამეტებულ თავის გამოდებად ან შინაბერა მას-  
წავლებლის კულაბზიკობად ან სხვა რამ მისთანად. მე  
უბრალოდ... როგორ გითხრათ...

მიჩი. (დუმბლის შემდეგ) ხად არიან სტენლი და  
სტელა ამაღამ?

ბლანში. გასულები არიან. ბატონ და ქალბატონ  
პაბელებთან ერთად გაისეირნეს.

მიჩი. ალბათ არც ჩვენ გვაწყენდა ყველას ერთად  
გასეირნება ერთ რომელიმე საღამოს.

ბლანში. არა. ეგ დიდი ვერაფერი გეგმა გამოვი-  
ვიდათ.

მიჩი. რატომ არა?

ბლანში. დიდი ხანია, რაც სტენლისთან მეგობ-  
რობთ?

მიჩი. მაშ!

ბლანში. ჩემზე ულაპარაკია?

მიჩი. არც თუ ისე ბევრი.

ბლანში. მაინც რა გითხრათ? როგორ ფიქრობთ,  
რა აზრისაა ჩემზე?

მიჩი. ეგ რატომ გაინტერესებთ?

ბლანში. რატომ და...

მიჩი. რაო, ერთმანეთს ვერ გაუგებთ?

ბლანში. რა გაქვთ მხედველობაში?

მიჩი. არა მგონია, თქვენი იმან რამე გაიგოს.

ბლანში. მეტისმეტად რბილად არის ნათქვამი.  
ახლა რომ სტელა ბავშვს არ ელოდებოდეს, ამ უმს-  
გავსოებას რა მომთმენებდა.

მიჩი. გაოცებული ვარ. ეგ რომ მესმის.

ბლანში. მდგომარეობა კი ნამდვილად საშინელი  
გახლავთ. დამით ამ ორ ოთახს შორის მხოლოდ ეს  
ფარდებია ჩამოშვებული, ის კი ოთახებში ღამღამობით  
საცვლებს ამარა დაალაგებს. და ყოველთვის ხვეწნა  
მჭირდება, რომ საბაზანე ოთახის კარი მოხუროს. ჰო-  
და, აჰა, წადი და ითმინე ამისთანა სიძე. ის კიდევ მე  
მიძღვებს, რადგან ვიცი, დიდად არაფრად ვეპიტანვე-  
ბი... რა თქმა უნდა, გეტყოდით, რაჩივ ვძულვარ!

მიჩი. სულაც არა მგონია, რომ სძულდეთ.

ბლანში. ვძულვარ-მეთქი, ვძულვარ. მაშ ასე  
აბუჩად რატომ ვყავარ ავდებული. პირველად რომ და-  
ვინახე, მაშინვე მივხვდი, მე ამ კაცის წერა გავხდები-  
მეთქი. ეგ მე ბოლოს მომიღებს, თუკი... დიახ. დიახ,  
ნამდვილად ასეა. მისი სიძულვილი ისე მყავიოდ არის  
გამოხატული, რომ გასაკვირი არც კია, თუ იგი... რაღაც  
სხვანაირადკი თავისებურადკი არაადამიანურად... არა,  
არა! მარტო მისი გაფიქრებაა კი, რომ იგი მე... (ხე-  
ლის გაქნევით თითქოს თავიდან იცილებს რაღაც აზრს.  
ბოლომდე სტლის ქიქაში ჩარჩენილ ვისკის. სიჩუმე).

მიჩი. ბლანში...

ბლანში. რა, საყვარელო?

მიჩი. შეიძლება ერთი შეკითხვა მოგცეთ?

ბლანში. რასაკვირველია. რა შეკითხვა?

მიჩი. რამდენი წლისა ხართ?

ბლანში. (ნერვიული ვესტი) რად გაინტერეს-  
ებთ?

მიჩი. მე დედაჩემს თქვენზე ველაპარაკე და მკა-  
თხა, რა ხნისა არიო ბლანშიო, მე კი ვერაფერი ვუ-  
პასუხე (კვლავ პაუზა).



ბ ლ ა ნ შ ი . დედათქვენს ელაპარაკეთ ჩემზე?  
 მ ი ჩ ი . კი.  
 ბ ლ ა ნ შ ი . რატომ დაინტერესდა დედათქვენი ჩემი ასაკით?  
 მ ი ჩ ი . დედა ავად არის.  
 ბ ლ ა ნ შ ი . ძალზე სამწუხაროა.  
 მ ი ჩ ი . იმის საწუხარი სულ ის არის, ასე კენტად რომ შევჩივნი ამ ქვეყნას.  
 ბ ლ ა ნ შ ი . ოჰ.  
 მ ი ჩ ი . უნდა მანამდე მოვეყოლო ოჯახს, სანამ...  
 ბ ლ ა ნ შ ი . თქვენ იგი ძალიან გიყვართ, არა?  
 მ ი ჩ ი . რასაკვირველია.

ბ ლ ა ნ შ ი . ჩემი აზრით, თქვენ ნამეტანი თავგამოდებით იცით გრძნობის აყოლა. ალბათ სიმარტოვის გრძნობა დაგეუფლებათ, როცა იგი აღარ გეყოლებათ, არა? (მიჩი ჩაახველებს და თავს უქნევს) მე კარგად ვიცი, ეს რასაც ნიშნავს.  
 მ ი ჩ ი . სიმარტოვე?  
 ბ ლ ა ნ შ ი . მეც მიყვარდა ერთი ადამიანი და ის ჩემი საყვარელი ადამიანი დავკარგე.

მ ი ჩ ი . გარდაიცვალა? მამაკაცი?  
 ბ ლ ა ნ შ ი . იგი ბავშვი იყო, მთლად ბავშვი, მე კი სულ ნორჩი გოგონა ვიყავი. თექვსმეტი წლისა რომ გავხდი, აღმოვაჩინე, რომ არსებობს სიყვარული. ერთ ბავშვად მთლიანად, მთელი სისხვსით, თითქმის თვალის-მომპირელი სინათლე უცბად მოეფინა ისეთ რაღაცას, მანამდე სანახევროდ რომ ჩრდილში იყო მოქცეული, ისე აეგზნო ქვეყნიერება ჩემთვის. მაგრამ ბედნიერებას საჩემოდ სად ეცალა! უბრალოდ შემიტყუა და მეტი არაფერი. იმ ბიჭს კი რაღაც უცნაურობა სჭირდა. ჩემგან მას მხარში ამოდგომა, ხელის შეშველება სჭირდებოდა, მე კი, აბა, რა გამეგებოდა მანში. ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა და მე შევბლაუშებოდა, მე კი, ნაცვლად იმისა, რომ დახმარების ხელი გამეწოდებინა მისთვის, მასთან ერთად ვიძირებოდი ცხოვრების ფზვიერ სილაში! თუმცა ვერაფერს ვგრძნობდი. ვერაფერს ვგრძნობდი გარდა იმისა, რომ გონებას ვკარგავდი მისი სიყვარულით, მაგრამ დახმარება არ შემეძლო არც მისთვის, არც საკუთარი თავისთვის. მერე კი უცბად ამეხილა თვალი. ეს იყო რაღაც საშინელება. ერთხელაც მოულოდნელად შევაფი კარი და შევედი ოთახში, რომელიც ცარიელი მეგულებოდა, დამხვდნენ კი ორნი... ის ჭაბუკი, რომელსაც მე მივთხოვდი, და მასზე უფრო ხნიერი მამაკაცი, მისი დიდიხნის მეგობარი...

(გარედან მოისმის მოახლოებული მატარებლის ბორბლების რახრახი. ბლანში უცბად ყურებზე ხელებს მიიფარებს და მთლად მოიკუნტება. მატარებლის კაშკაშა სინათლე ოთახში შემოიჭრება, როდესაც იგი გრუხუნით ჩაუვლის სახლს. ხმაური რომ მიწვდება, ბლანში ნელა გაიმართება და ლაპარაკს ანაგვრძობს).  
 ჩვენ ისე გვეჭირა თავი, თითქმის არაფერი მომხდარიყოს. დაახ, სამივენი „მთვარის ტბის“ კაზინოსაკენ გავეშურეთ საკმაოდ შექვიფანებულები და მთელი გზა სიცხიდ-ხარხარით გავლიეთ. (შორიდან სესხტად მოისმის მინორული განწყობილების პოლკას ზმები) ვიცეკვეთ ვარშავიანკა! უცბად, შუა ცეკვის დროს, ჩემი ჭაბუკი ქმარი ადგილიდან მოსწყდა და კაზინოდან გავარდა. დიდ ხანს არ გაუვლია და — სროლის ხმაც მოგვეხმა! (პოლკა უცბად შეწყდება. ბლანში წამოიმართება გახევებული, დაქიმული. ისევ გაისმის პოლკა, ახლა უკვე მაჟორულ ფლერადობაში) მე გარეთ გა-

მოვვარდი... უველა გარეთ გამოცვივდა! უველა გარბოდა და გროვდებოდა რაღაც საშინელი სანახაობის გარემოში ზედ ტბის პირას. ვერაფრით ვერ გავარღვივებოდა და გზა ვერ გავიკვლიე. უცბად ვილაღამ მკლავში მტაცა ხელი. „ნუ მიხვალთ ახლოს! გამოეცალეთ! არ არის საჭირო მისი დანახვა!“ მესმოდა როგორ გასძახოდნენ აქეთ-იქიდან — ალან! ალან! ჩემი საბრალო ბიჭუნა! რევოლვერი პირში ჩაუღვია და უსროლია... ნახევარი თავის ქალა ახდლი მქონდა (სახეზე ხელს აიფარებს და წინ და უქან ირწყვია) ეს კი იმიტომ მოხდა, რომ... საცეკვაო დარბაზში... თავი ვერ შევიკავე და... მივახილეთ: „აკი დავინახე-მეთქი უველაფერი და უველაფერიც ვიცი-მეთქი... გავიგე, რა საზიზღარიც ყოფილხარ-მეთქი...“ და მანინ პროექტორი, რომლის კაშკაში მთელ ქვეყნიერებას მინათებდა, უცბად ჩაქრა და მას შემდეგ ჩემთვის იმაზე მეტი შუქი აღარ ანთებულა, ვცდრე... აი, ამ საცოდავი სანთლის ბუუტყა...

მ ი ჩ ი . თქვენ მეგობარი გქირდებთ, ბლანში! და ასევე მეც! იქნებ, ეს მე და თქვენ უნდა ვყოთ...  
 ბ ლ ა ნ შ ი .

(ბლანში უაზროდ შესტკერის მას, შემდეგ ჩემად აქვითინებული მკლავებში ჩაუფარდება. მიჩი უეოცნას შეუბღსა და თვალებს, ბოლოს ტუჩებზეც მისწვდება. პოლკას ხმა მიწვდება. ბლანში ღრმად და ნეტარებით ამოიხრბებს).

ბ ლ ა ნ შ ი . ზოგჯერ... გადმოგვხედავს ღმერთი... და ასე მალე!

**მეზვიდე სურათი**

შუა სექტემბრის მოსალამოვებულა. ფარდები გადაწეულია. სტელა სუფრის გაწყობას ამთავრებს, როდესაც შემოდის სტენლი.

ს ტ ე ნ ლ ი . ეს რა ამბავში ხართ?  
 ს ტ ე ლ ა . დღეს ბლანშის დაბადების დღე გახლავს.  
 ს ტ ე ნ ლ ი . აქ არის?  
 ს ტ ე ლ ა . აბაზანაშია.  
 ს ტ ე ნ ლ ი . სიცხე ას გრადუსამდეა ასული და ეგ კი ცხელ წყალს მინც არ ეშვება, არა?  
 ს ტ ე ლ ა . თვად ამბობს, საღამოსთვის კარგად გავგრილდებო.  
 ს ტ ე ნ ლ ი . შენი ამბავი რომ ვიცი, ალბათ გაიქეცი და კოკა-კოლა ამოურბენინე, არა? მერე კი მის უდიდებულესობას აბაზანაშივე მიართვი, არა? (სტელა მხრებს იჩენს) აბა, ერთი, აქ დამიჭევი წუთით. უნდა გაგაგებინო, რა ჩიტიც ბრძანდება ეგ შენი დაიკო.  
 ს ტ ე ლ ა . რა გინდა, რას გადაეციდე ამ ჩემს დას.  
 ს ტ ე ნ ლ ი . მამ, მაგ გომბობს მე მდებოლ მივანინივარ, არა?  
 ს ტ ე ლ ა . შენ თვითონ არ შეუჩნდი, რომ გასაქანს აღარ აძლევ მაგ საცოდავს? ბლანში კი ძალზე მგრძნობიარე ბუნების ქალია და ეგეც არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, შეიგნე, რომ მე და ჩემი და სულ სხვა გარემოში ვართ გაზრდილები, ვიდრე შენ.  
 ს ტ ე ნ ლ ი . გავიგეთ, ბატონო, და ნუ გაგივიტოვებთ საქმე მაგ თქვენი აღზრდით. იმაზე რაღას იტყვი, ტყუილებით რომ გამოგვიქვია ყურები? მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები ასხია. გამოაშკარავდა მავისი ცუდლუტობანიც!  
 ს ტ ე ლ ა . როგორ თუ... ცუდლუტობანიც?



ს ტ ე ნ ლ ი. სწორედ ის, რასაც თავიდანვე ავუღე ალლო. ახლა კი ისეთი დამამტკიცებელი საბუთები ჩამივარდა ხელში საცხებით სარწმუნო წყაროებიდან — შევამოწმე კიდეც! (სააბაზანედან ბლანშის ლილინი მოისმის). ახლა ისიც იცოდე, აბა, როგორ იკატუნებს თავს მიჩის წინაშე და მთლად აურია იმ დოკლამპის გონება. იმანაც ირწმუნა, რომ ამ ჩვენს პეპელას მთელ ცხოვრებაში კოცნის შეტი არაფერი უნახავს! შა-შა! ნახა იმანაც არიფი!

ს ტ ე ლ ა. მაინც რა გითხრეს ან ვინ გითხრა?  
ს ტ ე ნ ლ ი. ჩვენი ქარხნის მომპარაგებელი ეს რამდენიმე წელია ლორელში დაიარება და კარგად იცის მაგისი ასავალ-დასავალი. ისე, თურმე, ლორელში კაცს ვერ ნახავ, თავისი ხუთი თითივით რომ არ იცნობდეს მაგას. ისევე აქვს სახელი გავარდნილი, როგორც შეერთებული შტატების პრეზიდენტს, მაგრამ პატივისცემა კი არც ერთი პარტიისა არ დაუმსახურებია! ეს ჩვენი მომპარაგებელი ერთთავად სულ სასტუმრო „ფლამინგოში“ ჩერდება.

ბ ლ ა ნ შ ი. (მხიარულად ლილინებს).  
ს ტ ე ლ ა. მერე რაო, რა შუაშია ეგ ფლამინგოა თუ რაღაც...

ს ტ ე ნ ლ ი. ეგეც იქ ჩამომხტარა, ბატონო.  
ს ტ ე ლ ა. ჩემს დას თავისი სახლ-კარი ჰქონდა.

ს ტ ე ნ ლ ი. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც თავისი კარმიდამო, „ლაშაი ოცნება“ რომ ერქვა, წაიხელებიდან გამოეცალა. მაშინ კი იყადრა და „ფლამინგოში“ გადაბარგდა! ერთი მივარდნილი სასტუმროა, მაგრამ კარგი იმით არის, რომ იქ მდგომთა პირად ცხოვრებაში არავინ ეჩრება! რაღა ამბები არ ტრიალებს „ფლამინგოში“, მაგრამ ჩვენმა ტურფა ბანოვანმა მაინც სასტად დასტოვა სასტუმროს მესვეურნი და ისინიც ისე გაოგნებულნი დარჩნენ მაგის მაყურებელნი, რომ სთხოვეს ოთახის გასადები ჩაგვაბარეო და თანაც სამუდამოდ. ეს ამბავი ამ რამდენიმე კვირის წინ მოხდა და აბა, ახლა აქ დაგიკრა თავი.

ბ ლ ა ნ შ ი. (მღერის).  
ს ტ ე ლ ა. რა საზოგადოარი სიცრუეა!  
ს ტ ე ნ ლ ი. რაღა თქმა უნდა, დიდად ვერაფრად გეკაშნიკება ჩემი ნათქვამი. მაგან შენც აიგზვია თვალეში, მარტო მიჩს კი არა!

ს ტ ე ლ ა. ეგ ყველაფერი მტკნარი სიცრუეა! (ბლანშის მღერის)

ს ტ ე ნ ლ ი. რაც მე გითხარი, წყალი არ გაუვა, ნადი ამბავია! მაგრამ მაცალე, გავიდე ბოლოში. ამ ჩვენს ტურფას მთელი უბედურება ის არის, რომ ლორელში ისე ვერ გაშალა ფეხი, როგორც თვითონ ნებავდა. ყველამ წაღე გაუგო, რა ჩიტიც ბრძანდებოდა და ერთი-ორჯერ რომ ცნონდებოდნენ, მერე ზურგს უბრუნებდნენ. ეს კი გადადიოდა ხელიდან ხელში და არ ერიდებოდა არაფერს და არავის! მაგრამ ამისთანა კუკროქინა ქალაქში განა რამე დაიმალება? მალე ყველას პირზე ეყერა მაგისი სახელი, რადგან მთელი ქალაქის მადლი მოისხა (სტელა შემკრთალი უკან იხეცს) ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კი მაგარ ბოზად მიაჩნდა ყველას, და მაგარი კუკუც მკრეს იქიდან. სწორედ ამიტომ გამოგეცხადა აქ ამ ზაფხულს, გეგონება მეფის ასული გვეწვიო, ისე გამოგვეტულარქა — რადგან იქაურ ქალაქის თავს შემოუთვლია, მოგვეში, თუ ქალი ხარო. აბა! ბარემ ისიც იცოდე, რომ ლორელის გვერდით ქარის ნაწილი იდგა დაბანაკებული და

შენი დის სახლი ერთი იმ ადგილთაგანი გახლდა, სადაც ცხვირის შეყოფა ჯარისკაცებს აკრძალული ჰქონდათ. (ბლანში ლილინებს.) ეგეც შენი დახვეწილი დგანსაკუთრებული ბუნების ქალი, მაგრამ ჯერ სადა ხარ, მაგას ახლა აღარც სკოლაში მივსვლება! იქნებ გგონია საკუთარი ნებით ანდა დროებით მიატოვა სკოლა თავისი მოფუტქნული ნერვების გამო! ნურას უკაცრავად! ვერ მოგართევს! პანდურის კვრით გამოავადეს იმ სკოლიდან ისე, რომ არც კი აცლეს სასწავლო წლის დამთავრება! იაბ! თანაც რისთვის — აღარ იტყვი! ვილაც ჩვიდმეტი წლის ცინგლიან ლაწირას გადაეკიდა თურმე! (ბლანში ლილინებს).

ს ტ ე ლ ა. თავბრუ მესხმის... აღარ შემძლია...

ს ტ ე ნ ლ ი. ბიჭის მამას ამბავი მიუვიდა თუ არა, არც აცია, არც აცხელა, დაპკრა ფეხი და მაშინვე სკოლის დირექტორთან გაჩნდა. ეჰ, ჯიგარო, ნეტავ ერთი იმ დროს იქ ვყოფილიყავ, ეს ჩვენი ქალბატონი რომ დაიბარეს და მაგრად გაჯორეს! ნეტავ ერთი და მენახა, რას იკატუნებდა თავს! ისინი კი, იცოცხლებ, სწვდნენ ქეჩოში და ესეც მიხვდა, რომ ორივე ფეხებით გაება! ურჩიეს აეკრა გულა-ნაბადი და ისეთ ადგილას გადაბრძანებულიყო, სადაც მისი ვინაობა თუ რაობა არავინ უწყუოდა. მოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ოფიციალური წესითა და რიგით დასძრეს იქიდან.

ბ ლ ა ნ შ ი (სააბაზანეს კარი ოდნავ გაიღება და ბლანში პირსახოცწყარულ თავს გამოყოფს) სტელა!

ს ტ ე ლ ა. (უღიჯოდ) რა იყო, ბლანში?

ბ ლ ა ნ შ ი. ერთი პირსახოცი კიდეც მომაწოდე, თმა შევიშორალო.

ს ტ ე ნ ლ ი. (სამზარეულოდან) მერედა, ოდესმე დაადგება საშველი თქვენს ბანაობას?

ბ ლ ა ნ შ ი. არც ისე დიდხანს დაგჭირდებათ ლოდინი, თქვენ რომ გგონიათ... ოღონდ ცოტა მოთმინება იქონიეთ!

ს ტ ე ნ ლ ი. მე კი მოვითმენ, მაგრამ ჰაქებები აღარ მაცლიან.

(ბლანში კარს მიიჯახუნებს. სტენლი როყოდ ხარხარებს. სტელა აფქპარებლად შებრუნდება სამზარეულოში).

ს ტ ე ნ ლ ი. აბა, რას იტყვი?

ს ტ ე ლ ა. ის თქვენი მომპარაგებელი ერთი ნაძირა-ლა და დამაბალი ვილაც ყოფილა, ასე რომ წაუგდია ენა. ჩემს დას სჭირდა ზოგი ისეთი თვისება, მე რომ ვერ მოვუწონებ და ოჯახშიც თავსატეხს გვიჩინდა. ცოტა ისეთი იყო... წაითავქარიანებდა...

ს ტ ე ნ ლ ი. წაითავქარიანებდა, არა?

ს ტ ე ლ ა. მაგრამ უმწვეილქალობაში, ჯერ სულ ბავშვი რომ იყო, ისეთი განსაცდელი დაატყდა თავს, რამაც მთლად გაუნადგურა, თუკი რამ ოცნება ჰქონდა!

ს ტ ე ნ ლ ი. განსაცდელი არა, ის არ გინდა...

ს ტ ე ლ ა. მის გათხოვებაზე ვამბობ. თვითონაც ხომ სულ გოგო იყო, როცა იმ ცხვირმოუხოცელ ბიჭს გამყვავა! ის ბიჭი ლექსებს წერდა. გასაოცარი სილამაზის ჰაბუკი იყო. მე მგონი ბლანშს იგი კი არ უყვარდა, აღმერთებდა კიდეც და ლამის მის ნატერფალსაც კოცნიდა. მთლად ჰკუა ჰქონდა დაკარგული და ადამიანისათვის მიუწვდომელ სრულქმნილ არსებად მიაჩნდა! მერე კი გაიგო, რომ...

ს ტ ე ნ ლ ი. რა? რა გაიგო?

ს ტ ე ლ ა. ერთი სიტყვით, ამ მომხიბლავი და ნიჭიერი უმწვეილის ნაცვლად ხელში გადაგვარებული არ-



სება შერჩა. ეს არ უთქვამს, ხომ, იმ შენს მომმარაგებელს?

(სტენლა მიუახლოვდება სტელას და მხრებზე ხელებს დააწყობს ნახად. სტელა მსუბუქად გაეცლება და ანგარიშშიუცემლად შეუღლება წვრილი ვარდისფერი სანთლების ჩარქობას ტორტში).

სტენლი. რამდენი სანთლის ჩარქობას აპირებ მაგ ტორტში?

სტელა. გავჩერდები ოცდახუთზე.

სტენლი. სტუმრებს ელით ვისმე?

სტელა. მიჩი გვყავს დაპატიებულ ტორტზე და ნაყინზე.

სტენლი. მიჩის იმედი ამაღამ ნუ გეკნებათ.

სტელა. (შეჩერდება სანთლით ხელში და წელა გახედავს სტენლის) რატომ? ეგ რაღას ნიშნავს?

სტენლი. მიჩი ძმასავით არის ჩემთვის. ჰოდა, აბა, როგორ უნდა შემეხედა მისთვის თვალეში, თუ...

სტელა. სტენლი კოვალსკი, შენ მას... შენ მას ყველაფერი უამბე?..

სტენლი. მართალი ბრძანებაა, შენ ნუ მომიკვლები, ყველაფერი ვუამბე! სინდისის ქენჯნა გამათავებდა მთელ ცხოვრებაში, ყოველფერ ამის მცოდნეს ჩემი საუკეთესო მეგობარი რომ არ გამეფრთხილებინა და ხაფანგში კისრის გასაყოფად გამემტებინა!

სტელა. და მიჩმა მასზე ხელი აიღო?  
(ბლანში ხმამალა მღერის, მისი ხმა ზარივით რეკავს)

სტენლი. არა მგონია აუცილებლად აგრე მომხდარიყოს, მაგრამ ცოდნით კი იცის, რასთანაცა აქვს საქმე! მორჩა და გათავდა!

სტელა. სტენლი, ბლანში კი ეგონა, რომ... მიჩი ითხოვდა მას.. მეც მაგის იმედი შექონდა.

სტენლი. არა, არ ითხოვს. შეიძლება შექონდა კიდევ გუნებაში ეგეთი რაღაც, მაგრამ ახლა აღარ იკისრებს თავდაყირა გადაეშვას ურჩხულებით სავსე მორევში — არა-მეთქი! (წამოდგება) ბლანში! ეი, ბლანში! შემოიშვებთ თუ არა ბოლოს და ბოლოს მაგ ჩემს აბა-ზანაში? (წამიერი დუმილი).

ბლანში. კი, ბატონო, მობრძანდით... მხოლოდ ერთი წუთი მადროკეთ, ტანი შევიშრალო.

სტელა. მაშ, აღარც მასწავლებლად მიიღებენ საღმე? აბა, რა ქნას, როგორ მოიქცეს?

სტენლი. ეგ ჩვენთან სამშაბათამდე დარჩება მხოლოდ. ხომ ასე დავთქვით, გასოსვს? ჰოდა, ნაღდი რომ ყოფილიყო, მე თავად ავუღე ბილეთი. ავტობუსის ბილეთი!

სტელა. ჭერ ერთი, ბლანში ავტობუსით არ ინდომებს წასვლას...

სტენლი. წვაა-მეთქი! მოვჩჩით. კრინტი აღარ დასძრა. სამშაბათი გაიხაფრება აქედან!  
(ბლანში მღერის).

სტენლი. ეი, მოლაღურო! გალობად არ გადაიქცა! გამოეტე მანდიდან!

(სააბაზანე ოთახის კარი უცბად გაიღება და ბლანში სიცილ-კისკისით შემოფრთხილდება, მაგრამ როდესაც სტენლის გვერდით ჩაუვლის, სახეზე შიში გადაჰკრავს, დამფრთხალი იყურება, სტენლი კი ზედაც არ უყურებს მას, შედის სააბაზანეში და კარს მიიჭახუნებს).

ბლანში. (თმის ჯაგრისს წაეტანება) აჰ, რა ჯობია ცხელ აბაზანაში ჯდომას, ისე გავხალისდი... (მის ხელ-

ში სოდიანი ვისკის ჭიქა აწვრიალდება) ცხელი აბაზანა და კარგად ჩაციებული ხასმელი სიცოცხლის ხალისს მგვრის ყოველთვის! (ფარდების იქიდან სტელას გამოხედავს და თმის ვარცხნას თავს ანებებს) რაღაც მოხდა! რა მოხდა, სტელა!

სტელა. (უცბად გატრიალდება) არა, სრულიად არაფერი, ბლანში, რა უნდა მომხდარიყო...

ბლანში. არა, სცრუობ! ნამდვილად რაღაც მოხდა! (შეშინებული შესკქერის სტელას, რომელსაც თავი ისე უჭირავს, თითქოს მაგიდის გაწყობით იყოს გართული. შორიდან მოისმის ზიანისის შმაგი პასაჟი, რომელიც თითქოს რაღაცას შეასკდაო, ისე იმხზერევა დისონანსებად).

### მეორე სურათი ორმოცდახუთი წუთის შემდეგ

დაბადების დღისათვის გაწყობილ მაგიდას სამნი უსხედან. ნადიმი დასასრულს უახლოვდება. სტენლი დაღვრემილა გამოიყურება, სტელა კი შეცბუნებულია და მოწყენილი.

ბლანში სახეზე დაძაბული, ნამალადევი ღიმილი შეხმობია. მაგიდასთან მეოთხე ადგილიც არის გამზადებული, მაგრამ იგი ცარიელია.

ბლანში (უცბად) რაიმე სასაცილო ამბავი მაინც მოგეთბოროთ ჩვენთვის, სტენლი! იქნებ როგორმე გავცაცინოთ. ვერ გამოგია, რა დაგემართათ, რა ყველას თავპირი ჩამოგვტრის. გვიამბეთ რაიმე სასაცილო, სტენლი, იქნებ როგორმე ეს ნაღველი გავფანტოთ, ა?

სტენლი. მე ისეთი ანეკდოტები საიდან მეცოდინება, თქვენს დახვეწილ გემოვნებას რომ ეკადრებოდეს.

ბლანში. მაშ, მოდი, მე გაამბობთ.

სტელა. მართლა, ბლანში, შენ გვიამბე! შენებურად დასცხე!

ბლანში. მაინც რა გაამბობთ... დაიცათ, ერთი გავისხნო. ჰო... ძალიან მომწონს ანეკდოტები თუთიყუშებზე! თქვენ რას იტყვით? მოკლედ ასე: ერთ შინაბერას თუთიყუში ჰყავდა, მაგარი უწმარური გინება იცოდა. ისეთებს წამოისროდა, რომ მისტერ კოვალსკისაც კი გაახუნებდა!

სტენლი. ბიკოს!

ბლანში. ერთადერთი საშუალება ამ თუთიყუშის მოთვინიერებისა იყო ის, რომ გალიას რაიმე ნაჭერს გადააფარებდნენ ხოლმე, იმ საბრალო თუთიყუშსაც ეგონა დაღამდაო და ძილს მისცემდა ხოლმე თავს. ერთხელაც, დილაადრიან, შინაბერამ გალიას საფარველი გადააძრო და სწორედ ამ დროს მის კარებს მოადგინ... როგორ ფიქრობთ? მღვდელი! შინაბერა უმალ გალიას მივარდა, გალიას ისევ გადააფარა ნაჭერი და მღვდელს კარი გაუღო. ზის საწყალი თუთიყუში გასუსული, ხმას არ იღებს, მაგრამ როგორც კი შინაბერამ მღვდელს ჰკითხა, შაქრის რამდენი ნატეხი ჩაგიდლო ყავაშიო, თუთიყუშმა ვეღარ მოითმინა და (დასტვენს), თან დაუმატა, დალაზვროს ეშმაკმა. ეს რა მოკლე დღე იყოო! (უკან გადაადგებს თავს და იცინის. სტენლი ყურადღებას არ აქცევს ანეკდოტს, მაგიდაზე გადაიხრება, ჩანგლით ტორტის უკანასკნელ ნაჭერს გადასწე-



დება და მაღიასად შეექცევა, თან ხელებით უჭირავს იგი.

**ბლანში.** ეტყობა, მისტერ კოვალსკის მინცა და მინც არ მოსწონებია ჩემი ანეკდოტი.

**სტელა.** მისტერ კოვალსკი საკუთარმა ღორმუცე-ლობამ გაიტაცა და სხვას ვეღარაფერს ამჩნევს.

**სტენლი.** ზუსტად მასეა, ჩემო სულჯო.

**სტელა.** ერთი შენს სახეზე და ხელბუზეც დაიხედე. რას გიგავს, წადი დაიბანე და მაგიდის ალაგებაში მომეხმარე.

**სტენლი.** (თევზს იატაკზე მოისვრის) აი, როგორი ალაგება ვიცი მე! (სტელას მკლავში სტაცებს ხელს) თავი გაანებე მიქარვას და მეტი აღარ გამოიხედო ეს ღორმუცელო. ეს პოლონელიო, სახიზღარიო, ვულგარული თუ ბინძურიო! ენაზე სულ ეგ გაკერია და ეს შენი დაც შენს ფეხის ხმას არის აყოლილი! მინც რა გგონიათ, თავად თქვენ ვინ მყავხართ? ერთი ამ დედოფლებს დამიხედეთ! არ გახსოვთ, რა თქვა ჰიუ ლონგამ — „ყოველი კაცი მეფეაო“! და მეც მეფე ვარ, აქაურობის ბატონ-პატრონი, და არ დაგვიწყდება! (ფინჯანს თავის თევზთანად იატაკზე დაახარცხებს) აჰა, მე ჩემი უყვე ავალაგე! თუ გინდათ, თქვენსასაც ავილაგებთ! (სტელა უხმოდ ატირდება. სტენლი აივანზე გადის მედიდური ნაბიჯით და სიგარეტს უკიდებს).

**ბლანში.** რა მოხდა აქ, ვიდრე მე ტანს ვიბანდი? რას გეუბნებოდა ეგ, სტელა?

**სტელა.** არაფერს! არაფერს! არაფერს!

**ბლანში.** ალბათ ჩემზე და მიჩნე ლაპარაკით შეგიკლა ხელში! შენ იცი, რატომაც არ მოვიდა მიჩი, მაგრამ ალბათ არ მეთყვი! (სტელა სასოწარკვეთილად იქნევს თავს) მე დავურეკავ.

**სტელა.** მე შენს ადგილზე არ დავურეკავდი. ბლანში.

**ბლანში.** კი, მაგრამ, ხომ შეიძლება მინდოდეს გავიგო ვინმესგან რა ხდება ჩემს თავს? (შევიარდება საწოლ ოთახში და ტელეფონს ეცემა. სტელა აივანზე გადის და საყვედურით შესცქერის ქმარს. სტენლი რალაცას ჩაიბურტყუნებს და ზურგს შეაქცევს).

**ბლანში** (ტელეფონში) ალო... სოხოვო, თუ შეიძლება, მისტერ მიჩელს... ოჰ... თუ ნებას მომცემთ, ჩემს ნომერს დაგიტოვებთ. მაგნოლია, ოთხმოცდაათი ორმოცდაშვიდი, და გადაეცით, რომ ძალზე საკირო საქმეზე ვურეკავ...

დიახ, დიახ, ფრიად დიდმნიშვნელოვან საქმეზე... გამაღობთ. (ტელეფონთან დაყოვნდება, თან დაბნეული, შემკრთალი გამოიყურება).

**სტენლი.** (ნელა შემოტრიალდება ცოლისკენ და ტლანქად შემოხვევს ხელებს) სტელ, ყველაფერი კარგად იქნება, ეგ რომ აქედან წავა და შენ კიდევ შვილს შობ. მე და შენ ისევე კარგად ვიქნებით, როგორც უწინ ვიყავით. გახსოვს, რა კარგად ვიყავით შეხმატკბილებულები? ან რა დამეები გავვიტარებთ? ღმერთო, რას გავიხარებთ ღამლამობით, ჩვენებურად რომ შევუბერავთ და რა ცეცხლს დვანთებთ, როცა გვეცოდინება, რომ ფარდებს უკან არავითარი დაიკო არ არის დამალული, რომ ესმოდეს ჩვენი რიარია!

**სტელა.** შევიდეთ. (ბრუნდება სამაზარეულოში და შეუდგება თეთრ ტორტში ჩარკობილი სანთლების ანთებას) ბლანში!

**ბლანში.** რა იყო, სტელ. (საწოლი ოთახიდან გამოდის და მიდის მაგიდასთან სამაზარეულოში) ოჰ, ეს

ლამაზი, კობტა, პაწია სანთლები! ნუ დასწვავ, სტელა მაგათ!

**სტელა.** მაშ რა ვქნა? (სტენლი შემობრუნდება).

**ბლანში.** შეინახე და ბავშვის დაბადების დღეებში გამოგადგება. დაე, ამ სანთლებით სხივმოსილი იუოს მთელი მისი ცხოვრება და თვალბიც სანთლების დარად ჰქონდეს აგზნებული, ვითარცა ორი ლურჯი სინათლე ამ თეთრ ნამცხვარზე აკაშკაშებული!

**სტენლი.** დასწყევლოს ღმერთმა. ეს რა სიციხე გამოაქვს ორთქლს სააბაზანედან.

**ბლანში.** აკი სამჯერ მოგიხადეთ ბოდნი. თქვენ, სრულიად საღმა პოლონელმა, რომელსაც ნერვები საერთოდ არ გააჩნია, რასაკვირველია, არ იცით თუ რას ნიშნავს ნერვული აგზნება!

**სტენლი.** მე პოლონელი არ ვახლავარ! პოლონელები ეწოდება პოლონეთიდან გამოსულ ხალხს. მე კი ერთ-ერთი იმ ასპროცენტისანი ამერიკელია ვარ, რომელიც დაიბადა და გაიზარდა დედაპირის უღადეს ქვეყანაში, და დიდად ვამაუბო კიდევ ამით, ისე რომ მეტი აღარ შეცდეთ და პოლონელობა არ დამწამოთ.

(ტელეფონი რეკავს. ბლანში უცბად წამოდგება).

**ბლანში.** ეგ, ალბათ, ჩემთან არის, დარწმუნებული ვარ.

**სტენლი.** მე კი არა ვარ დარწმუნებული. იჩქით მანდ. (ზანტად მიემართება ტელეფონისკენ) ალო... გაუმარჯოს, რასა იქ, მაკ. (მიეყრდნობა კედელს, თან ავღლებულად გამოსცქერის ბლანში. ბლანში შეშინებული გამომეტყველებით ჩაეშვება სავარძელში. სტელა წინ გადმოიხიბება და შხარზე დაადებს ხელს).

**ბლანში.** აიღე ხელი, სტელა, რა დაგემართა? რად მიყურებ ეგრე შემბრალებ თვალით?

**სტენლი.** (ყვირის) გაჩუმდით-მეთქი! აქ ერთი ტარაბუცა დედაკაცი ჩამოგვეთესლა, ტვინი აქვს წადებული. მიდი, მაკ, შენ შენი. რაო? რაილისთან? არა, რაილისთან თამაში არ მინდა. ჭერჭერობით ხომ ვარ გუნდის კაპიტანი? ჰოდა, თუ ეგრეა, ან ვესტ საილში გავგაორებთ ბურთს ან გალაში, მორჩა და გათავდა, მაკ. აბა, კარგად იყავი! (ჩამოკიდებს ყურმილს და მაგიდას მიუბრუნდება). ჩემო დაიკო ბლანში, დაბადების დღისათვის ერთი პატარა საჩუქარი მოგართვი.

**ბლანში.** რას მეუბნებით, სტენლი, ნუთუ მართლა? მაგას კი ნამდვილად არ ველოდი. მინც რა საჩუქარია, ა, აღარ მეთყვიო? (სტენლი პაწია კონვერტს გაუწწოდებს) ეგ ჩემთვის არის?

**სტენლი.** დიახ. და იმედი მაქვს, სიამოვნებასაც მოგანიჭებთ!

**ბლანში.** ეს... ეს... ეს ხომ...

**სტენლი.** ბილეთია! ღორელამდე! ავტობუსზე! სამშაბათისთვის! (ბლანში გაღიმებას ცდილობს, მერე გაცინებასაც ლამობს, მაგრამ ამაოდ. წამოხტება და მეორე ოთახში შერბის. ყელზე ხელს იტაცებს და აბაზანაში შევიარდება. ისმის როგორ ახველებს და თან ხმა უწყდება) კარგი, რადა!

**სტელა.** ეგ რამ გაგაკეთებინა...

**სტენლი.** მაგან რამდენი რამე მკადრა, ის აღარაფერი?

**სტელა.** ასე დაუნდობლად როგორ უნდა მოექცე მისებრ მარტოსულ ადამიანს.

**სტენლი.** დიდი ფაქიზი ვინმე გყავს.

**სტელა.** დიახაც. ყოველ შემთხვევაში, იყო. შენ ეგ აღრე არ გცნობია. მასზე უფრო სათუთსა და თანაც



სანდო ადამიანს სხვას ვერ ნახავდი. მაგრამ შენნა-  
რებმა დაწინდეს და გაათხიზრეს, საკუთარი სახე აღარ  
შეარჩინეს მაგ უბედურს. (სტენლი საწოლ ოთახში შე-  
დის, პერანგს გადაიძრობს და იცვამს ბრჭყვინიანი აბრე-  
შუმის ბლუზას, ბურთის სათამაშოდ. სტელა უკან  
აედევნება) და ახლა გინდა წახვიდე და ბურთი ითამაშო?  
ს ტ ე ლ ა. ვითომ რა დამიშლის?

ს ტ ე ლ ა. ნურას უკაცრავად, აქედან ფეხს ვერ გა-  
ადგამ (პერანგში სტაცებს ხელს). მითხარი, რატომ არ  
ეშვები მაგ ქალს, რა დაგიშავა?

ს ტ ე ლ ი. მე არავის არაფერს არ ვუშვავებ,  
ხელი გამიშვი, დაიხევა.

ს ტ ე ლ ა. არა, უნდა მითხრა, რას გადაეციდე, გეს-  
მის თუ არა, რა გინდა მისგან?

ს ტ ე ლ ი. მე და შენ რომ ერთმანეთს პირველად  
შეგვადით, შენ მე მღაბიოდ მიმიჩინე. შენ მე მაშინ აი  
ეს ფოტოსურათები მაჩვენე, თქვენი დიდი, სვეტებიო-  
ანი სახლის სურათი. მე შენ იმ სასახლიდან ჩამოგათ-  
რიე და ძალიანაც გემა, როცა ცხოვრება ათასფრად  
აგირიადლენდა! (სტენლი ტანზე ირგებს პერანგს და  
ვერ ამჩნევს სტელას რუქციას) აბა, განა ზედის და-  
სამდური რამე გვკვირდა, და ერთმანეთს რამეს ვერჩო-  
დით? ვიდრე ეგ არ ჩამოეთრა აქ, თავისი საკადრისი  
და მოსაწონი აქ ვერაფერი და ვერავინ ნახა. მეც ისე  
ამითვალისწინა, თითქოს ერთი მაიმუნი ვიყო. (უცბად  
შეამჩნევს რა დღეშიც არის სტელა) ეი, რა დაგემართა,  
სტელ? (მიიჭრება მასთან).

ს ტ ე ლ ა. (წყნარი ხმით) წამიყვანე საავადმყოფოში,  
(სტენლი მხარში შეუღვდება, ხელმოხვეული გაჰყავს,  
თან რაღაცას ეჩურჩულება).

ბ ლ ა ნ შ ი ს ხ მ ა. (მღერის წყნარად და ნაღვლია-  
ნად).

მეცხრე სურათი

ხანგამოშვებით იმავე საღამოს. ბ ლ ა ნ შ ი ზის და-  
ძაბული, წელში მოხრილი, საწოლ ოთახში, სავარძელ-  
ში, ტანთ ღია წითელი ატლასის ხალათი აცვია. გვერ-  
დით მოდგმულ მაგიდაზე ვისკის ბოთლი და ჭიქა უდ-  
ვას. ისმის ვარშავიანკას გამაღებელი რიტმი. ქუჩის  
კუთხიდან გამოჩნდება მი ჩ ი. სამუშაო ტანსაცმელი  
აცვია, ლურჯი ბამბის ქსოვილის პერანგი და შარვალი,  
გუაპარსავია. კიბის საფეხურებს აივლის და ზარს რე-  
კავს.

ბ ლ ა ნ შ ი. (შეკრთება) ვინ არის მანდ?

მი ჩ ი. მე, მიჩი.  
(პოლკას ხმა შეწყდება).

ბ ლ ა ნ შ ი. მიჩ! ახლავე, ამ წუთას. (აქეთ-იქით მი-  
აწუდება თავგზაბანდული, ბოთლს განჯიხაში მალავს,  
სარკესთან დაიხრება, სახეზე ოდეკოლონს შეისხურებს  
უცბად და პუდრს წაიცხებს, იგი ისეა აგზნებული, რომ  
მისი სუნთქვეც კი ისმის ამ მიწვეტ-მოწყვეტებაში.  
ბოლოს კარებთან მიიჭრება და მიჩს შემოუშვებს) მიჩ!  
— კაცმა რომ თქვას, არც კი უნდა შემომეშვით მას  
შემდეგ, ასე რომ მომეჩეცით ამ საღამოს! მამაკაცს რომ  
არ ეკადრება! მაგრამ დავეხსნათ, რაც იყო, იყო, კე-  
თილი იყოს შენი მოზრძანება, ძვირფასო (ტუჩებს მი-  
უშვებს. მიჩი თითქოს ვერც ამჩნევს ამას, გვერდით  
ჩაუვლის და ოთახში შედის. ბლანში შეშინებული გა-  
აყოლებს ოვალს, როდესაც იგი საწოლ ოთახში შეაბი-  
ჯებს). ღმერთო ჩემო, აი, მყინვარიც ამას ჰქვია! ნეტავ

ასე უშნიდ რომ მორთო! არც წვერი გაგიაპარავთ! ასე-  
თი უდიერება მანდილოსნის მიმართ! მე მაინც მიპატი-  
ებია, მიპატიებია, რადგან თქვენი დანახვით გულზე  
მომეშვა. (ბლანში უხერხულად ჩაახველებს, როცა  
მიჩი საწოლზე გაიშხლართება და სიგარეტს მოუკიდებს).  
როგორ არის დედათქვენი? აწუხებს რამე?

მი ჩ ი. ვითომ რატომ უნდა აწუხებდეს?  
ბ ლ ა ნ შ ი. აჰ... ისეც ის ჰანგები.

მი ჩ ი. რა ჰანგებია?

ბ ლ ა ნ შ ი. ვარშავიანკა! პოლკა, რომელსაც უკრავ-  
დნენ მაშინ, როდესაც ალანმა... მოითმინეთ! (მორიდან  
რეკოლვერის სროლის ხმა ისმის. ბლანში თითქოს გულ-  
ზე მოეშვა) აჰა, აგერ, სროლის ხმაც! მის მერე კი მუ-  
სიკა ყოველთვის წყდება (პოლკა თანდათან მიწყდება).  
ჰო, აგერ, შეწყდა კიდევ. ოჰ, სხვათა შორის, ბოლიში  
მაქვს მოსახდელი, ასე ჩაუტყველი რომ დაგვადით. მაგ-  
რამ, კაცმა რომ თქვას, მე ხომ თქვენზე ხელი თითქმის  
ჩაქნეული მქონდა. ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ვანშამზე  
ხართ დაპატიებულნი?

მი ჩ ი. მე თქვენს ნახვას აღარ ვამჩნობდი.

ბ ლ ა ნ შ ი. ერთი წუთით... თქვენ ისე სიტყვაძვი-  
რობთ, რომ როცა რამეს ამბობთ, არ მინდა თუნდაც  
ერთი მარცვალი გამომჩინო... რას ეძებდით აქ? ჰო...  
სასმელს! ჩვენ ამ საღამოს ისეთი ამბავი გვქონდა აქ,  
რომ მე მგონი მართლაც დავკარგე გონება! (თითქოს  
შემთხვევით მიავნო ბოთლს. მიჩი ფეხებს საწოლზე  
შეაწყობს და ბლანში აგდებულად გამოსცქერის) აგერ,  
რადაცას მივაგენი... ეს ნამეტანი შინაურულად გაგიშ-  
ლიათ ფეხი! ნეტავ რა უნდა იყოს ეს?

მი ჩ ი. თუ არ იცით, მაშ სტენლისა ყოფილა და  
ეგ არის.

ბ ლ ა ნ შ ი. ჩამოიღეთ ფეხი საწოლიდან. ვერ ხე-  
დავთ, რა ფაქიზი საფარია? თქვენისთანა ვაჟკაცები, რა  
თქმა უნდა; აინუნშიაც არ ავლებთ ამისთანა რაღაცეებს.  
მე კი ლამის წელში გავწყუდი, რაც აქა ვარ, აქაურობის  
მოწესრიგებაში.

მი ჩ ი. სულ თქვენი ნაწელავია, მაშ?

ბ ლ ა ნ შ ი. ზომ გინახავთ, რას ჰგავდა აქაურობა  
ჩემს ჩამოსვლამდე. აბა, ახლა შეხედეთ! როგორ გა-  
კობტავდა ეს ოთახი! ნეტავ ამას რას ურევვენ? უმმმ, რა  
გემრიელია, რა ტკბილია! აჰ, ეს ხომ ლიქიორია, რო-  
გორ ვერ მივხვდი! დიახ, დიახ, სწორედ ლიქიორია!  
(მიჩი რაღაცას წაიბურტყუნებს) თქვენ იქნებ არც კი  
მოგეწონოთ, მაგრამ მაინც გასინჯეთ, იქნებ გესიამოვ-  
ნოთ.

მი ჩ ი. არ მინდა-მეთქი მისი არც ლიქიორი და არც  
არაფერი. თქვენც მოეშვით მაგ სასმელს. ეგ სულ იმას  
გაიძახის, რომ თქვენ ატხილ კატასავით სველპავდით  
მის სასმელს მთელი ზაფხულის განმავლობაში.

ბ ლ ა ნ შ ი. გადასარევი ამბავია მისგან მაგის თქმა  
და გადასარევია ისიც, რომ თქვენც იმეორებთ მაგ სი-  
სულელეს! მე კი ისე ვერ დავიმდაბლებ თავს, რომ მა-  
გისთანა უტიფარი ცილისწამებას პასუხი ვაღიროს!

მი ჩ ი. (წამოდგება) რამ ჩააბნელა აქაურობა.

ბ ლ ა ნ შ ი. მე მიყვარს ასე ჩაბნელება. სიბნელე მუ-  
დამ შვებას მანიჭებს.

მი ჩ ი. მგონი სინათლეზე არც არასოდეს მინაბავ-  
ხართ (ბლანში ოაგეუკავებულად იცინის). მართალს  
გუუბნებით.

ბ ლ ა ნ შ ი. მერედა, ვისი ბრალია?

მი ჩ ი. რამდენჯერ გთხოვეთ გამოგესიერნათ კვირა-



დღეს ჩემთან ერთად, მაგრამ ექვს საათამდე კაცი ადგილიდან ვერ დაგძრავთ. შემდეგ კი ხალაც არ უნდა მიხვიდე, სინათლე ნაკლებია.

**ბლანში.** მაგ სიტყვებში რაღაც ბნელი აზრია ჩაქსოვილი, მაგრამ ვერ მივხვდარვარ და რა ვქნა.

**მიჩი.** მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ დღემდე ისე ვერ შემითვალე რეზიხარტ, როგორც საჭიროა. ახლა მაინც ავანთოთ შუქი, ბლანში.

**ბლანში** (შეშინებული) **შუქი? რა შუქი? რისთვის?**

**მიჩი.** აი, თუნდაც ეს, ქალაქი რომ ჩამოუფარებიათ (ჩამოგლეჯს ქალაქის აბაჟურს ნათურას, ბლანში შიშით შეჰკვივლებს).

**ბლანში.** ეგ რა ჰქვნიო?

**მიჩი.** რა და ის, რომ გული ვიჭერო თქვენი ყურებით!

**ბლანში.** ჩემს შეურაცხყოფელს ხომ არაფერს ჩაიდნეთ?

**მიჩი.** არა, ეგ საკითხისადმი რელიგიური მიდგომაა.

**ბლანში.** არ გამაგონოთ რეალიზმი, მე ჯადოქრობა უფრო მწამს! (მიჩი იცინის) დიახ, დიახ, ჯადოქრობა! მე სულ იმის ცდაში ვარ, ხალხი ვაზიარო ჯადოქრობას და საგნები ისეთად მოვაჩვენო, როგორებიც ისინი სინამდვილეში არ არიან. მე მათ კეშმარტებზე კი არ ველაპარაკებ, არამედ იმაზე, რაც კეშმარტება უნდა იყოს. და თუ ეს დანაშაულია, დაე, დავისაჯო ამ დანაშაულისათვის! ნუ ანთებთ-მეთქი შუქს (მიჩი კედელთან მიდის, სინათლეს ჩართავს და ბლანში მიაჩერდება. ბლანში შეჰკვივლებს და სახეზე ხელებს აიფარებს, მიჩი ცვლავ გამორთავს შუქს).

**მიჩი.** (ღიწკად და გესლიანად) მე იმას კი არ ვდავობ, რომ უფრო მეტი ხნისა ხართ, ვიდრე მე მეგობარა. არა, მაგრამ, დანარჩენი კი... რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ თქვენზე მეტი წლის გოგო აღარ იყავით, მაგრამ იმდენად ბრიყვი კი გამოვდექი, რომ თქვენი გულწრფელობისა მეჭერა.

**ბლანში.** მერე, ვინ გითხრათ, რომ გულწრფელი არ ვიყავი? ჩემმა სანუკვარმა სიემ, არა? და თქვენც ადექით და დაუჭერეთ, ხომ?

**მიჩი.** ჯერ მატყუარობა დავწამე, მაგრამ მერე კი მდგომარეობას ჩავუყვირდი. ჯერ ჩვენს მომმარაგებელს დავეკითხე, რადგან მალ-მალე დაიარება ლორელში. მერე კი საქალაქთაშორისოთი პირდაპირ დავუკავშირდი იმ ვაჭრუკანას.

**ბლანში.** ვინ ვაჭრუკანას?

**მიჩი.** კიფიბერს.

**ბლანში.** ლორელელ ვაჭარ კიფიბერს? კი, ვიცნობ, როგორ არა... ჩემზე კორაობის მეტს არაფერს აკეთებდა, მაგრამ, ბოლოს ქუა ვასწავლე და ახლა შურს იმითა ძიობს, რომ რასაც უნდა, იმას იგონებს და თხზავს ჩემზე.

**მიჩი.** სამი კაცი, კიფიბერი, სტენლი და შოუ ადასტურებენ მაგ კორებს!

**ბლანში.** იყო და არა იყო რა, დვთის უკეთესი რა იქნებოდა, სამი კაცი გარეული, შიგ რაღაცა ჩარეული.

**მიჩი.** იქნებ არც ის არის სიმართლე, რომ... თქვენ სასტუმრო „ფლამინგოში“ იყავით გაჩერებული?

**ბლანში.** „ფლამინგოში“ არა! იმ სასტუმროს ტა-

რანტული ერქვა! მე გაჩერებული ვიყავი სასტუმროში, რომელსაც ერქვა „ტარანტული ცაცები“.

**მიჩი.** (შეცბუნებული) ტარანტული?

**ბლანში.** დიახ, ერთი უშველებელი, დიდი ობობა გახლავთ! სწორედ იქ ვიტყუებდი ყველას, ვინც კი მიჯანში მყავდა ამოღებული. (ცვლავ დაისხამს სასმელს) დიახ, ბატონო, ვიღას აღარ გავკარებდვარ. აღანის სიკვდილის შემდეგ მეგონა მხოლოდ უცნობი, ახალ-ახალი, შემთხვევით გაცნობილი ხალხის მოფერება თუ დამიამებდა ამ მკვდარ გულს. ეს ალბათ პანიკა იყო, შიშის ზარი, მე რომ არ მაყენებდა და მეც ხან ვის გადავწყდებოდი, ხან ვის, ოღონდ სადმე საყრდენი მეპოვა რაიმე, ხან სად ამოყოფდი თავს, ხან სად, ვინღა დაგიდედით ვინაობასა და სადაურობას. ბოლოს ისიც კი მოხდა, რომ ერთ ჩვიდმეტი წლის ყრმასაც გადაწყარა ცხოვრებამ და... მაშინ ვიღაც მავანმა აიღო და მოსწერა ჩვენი სკოლის დირექტორს... „ეს ქალი მორალურად არ შეეფერება თავის წოდებას“ (თავს უკან გადაიგდებს ისტერიული სიცილით, რაც ქვითინს უფრო ჰგავს, შემდეგ სუნთქვაშეკრული იმეორებს უკანასკნელ ფრზას, სვამს) მართალია? დიახ, ალბათ არ ვიყავი შესაფერი როგორღაც... რაღაცნიარა... მეც ავდექი და აქეთ გამოვწვიე. სხვა გზა არ გამაჩნდა. ფეხქვეშ ნიადაგი გამომეცალა. იცით კი, რას ნიშნავს, როცა ადამიანს ნიადაგი გამოეცლება? ახალგაზრდობაც ცხოვრების ქარტახილმა გამომწირა და... აგერ, თქვენ შეგზავდით. აკი თქვენ თვითონვე მეუბნებოდით, მეგობარი მჭირდება. ჰოდა, მეც მჭირდება ვიღაც. მე ღმერთს მადლობას ვწირავდი იმისათვის, რომ თქვენს თავი მომივლინა, იმისათვის, რომ კეთილად მექცეოდით, თითქოს ჩემს წინ აღმართულ ყრუ კლდეში ნაპარალი გაჩნდა, სადაც თავის შეფარება შემეძლო! მაგრამ, როგორც ვატყობ, მეტი მომივიდა, ძალიან ბევრი ვინდომე ცხოვრებისაგან! კიფიბერმა, სტენლიმ და შოუმ არ დაინდეს ეს ხელიდან წასული დედაკაცი და საქვეყნოდ მოსჭერეს თავი. (ჩამოვარდება სიჩუმე, მიჩი სახტად დარჩენილი შესცქერის მას).

**მიჩი.** მაშ, მატყუებდით თურმე, ბლანში.

**ბლანში.** მე თქვენ არ მომიტყუებინებართ.

**მიჩი.** როგორ არა, თავიდან ბოლომდე სიცრუე იყო ყველაფერი.

**ბლანში.** არასოდეს, აი აქ, შიგნით, ჩემს გულში, არასოდეს მომიტყუებინებართ.

(კუთხიდან გამოდის ყვავილების გამყიდველი უსინათლო მექსიკელი ქალი, შავშალშემოხვეული, ხელში უჭირავს სხვადასხვა ფერის თუნუქის ყვავილების თაიგულები, მისი ხმა ძლიერს ისმის. თვითონაც ბუნდოვნად მოჩანს შენობის მიღმა აღმართული).

**მექსიკელი ქალი.** ყვავილები, ყვავილები მიცვალეულთათვის.

**ბლანში.** ჰა? აჰ, ვიღაც იძახის გარეთ... (კარებისკენ გაემართება, გამოაღებს და მექსიკელ ქალს შეეცქერდება).

**მექსიკელი ქალი** (კარზე მომდგარი, ყვავილებს გამოუწვდის ბლანში) **ყვავილები, ყვავილები მიცვალეულთათვის.**

**ბლანში.** (დამფრთხალი) არა, არა! ჯერ არა! ჯერ არა! (უკანვე შევარდება ოთახში და კარს მოაჯახუნებს).

**მექსიკელი ქალი** (გაბრუნდება და ქუჩას გაუყვება) **ყვავილები მიცვალეულთათვის. (ისმის პოლკა).**



ბლანში (თითქოს თავისთავს ელაპარაკება) ყველაფერი იზლება და ჭენება, ყველა სინანულს მოუცავს... ყველა ერთმანეთს ამტყუნებს... „შენ რომ ასე მოკცეულიყავი, მე ეს აღარ დამპირდებოდა!“

**მექსიკელი ქალი.** გვირგვინები მიცვალეზღულ-თათვის. გვირგვინები...

**ბლანში.** მემკვიდრეობაზე რაღას იტყვიო! აღარაფერი დარჩა. გარდა...

**მექსიკელი ქალი.** ყვავილები.

**ბლანში.** ისკვდილიხა... ისიც მომხდარა, მე აქეთ ვმჭდარვარ, ის იქით, და ისკვდილი იხე ახლოს მოსულა, როგორც ახლა თქვენ... და ვერც კი ვხედავდიოთ თვალი გაგვეწვრიბებოდა მისთვის.

ერთადერთი რამ, რაც მას არ ეპუება, არის უჩინი, სურვილი. გიკვირთ, განა: ჭერ სადა ხართ! იმ ჩვენს „ლაშაში ოცნების“ ახლოს, ვიდრე ჩვენ მას დეკარგავდით, იყო სამხედრო ბანაკი, სადაც ახალბედა ჭარისკაცები წვრთნას გადიოდნენ. შაბათ საღამოობით კი ქალაქში გამოდიოდნენ, იღეშებოდნენ...

**მექსიკელი ქალი.** (ხმადაბლა) გვირგვინები...

**ბლანში.** და უკან მიბრუნებულნი ჩვენ ეწოდა შე-  
მობარბაცდებოდნენ ხოლმე ძლივსძლიობით და გაიძახოდნენ — „ბლანში! ბლანში!... ჩვენს გადაყრუებულ შინამოსამსახურეს აღარაფერი ესმოდა. მე კი, ზოგჯერ, მათ ძახილზე გარეთ გავსწლტებოდი და წინ მივეგებებოდი ხოლმე... მერე კი მოდგებოდა პოლიციის მანქანა და წამოკრეფავდა მდელობზე უგონოდ დაყრილებს და გაუყენებდა გზას ბანაკისკენ... (ბლანში ტულეტის მაგიდას მიადგება და ზედ დაყრდნობა. ჩამოვარდება სიჩუმე. მცირე ხნის შემდეგ მიჩი წამოდგება და მტკიცედ გაემართება მისკენ. პოლკას ხმა მინელდება. მიჩი წულზე შემოხვევს ხელს და ცდილობს თავისკენ შემოაბრუნოს ბლანში) რა გინდათ ჩემგან?

**მიჩი.** (ხელების ფათურით ცდილობს მოეხვიოს) ის, რასაც მთელი ჯაფხულის მანძილზე ვერ ვეწიო.

**ბლანში.** მაშინ შემირთეთ, მიჩ!

**მიჩი.** ახლა მე თქვენი შემრთველი აღარა ვარ.

**ბლანში.** არა?

**მიჩი.** (ხელებს ძირს დაუშვებს) თქვენ იხე წმინდა აღარა ხართ, რომ დედაჩემს მივგვარო თქვენი თავი.

**ბლანში.** თუ ეგერა, მოწყდით აქედან (მიჩი გაშტერებული უყურებს) შორს ჩემგან, ვიდრე მთელი ქუჩა ფეხზე არ დამიყენებია! (ისტერიკულად) გაეთრათო, თორემ მთელი ქალაქს თავს დაგახვევთ ახლავე (მიჩი თვალმოუშორებლად შესცქერის მას. ბლანში უცბად მიიჭრება დიდ სარკმელთან, რომელშიც მოჩანს ზაფხულის გაბაცებული ღამის შუქი და შესლილივით გაპყვირის) გვიშველეთ! ვიწვით! (მიჩი შიშისაგან პირდაღებული კარებს მიაშურებს და ვადის, უშნოდ ჩააბოტებს: კიბეებზე და ქუჩის კუთხეს მოეფარება. ბლანში ტორტმანით მოშორდება ფანჯარას და მუხლებზე დაეცემა. შორიდან ნელა და ნაღვლიანად მოისმის პიანინოს ხმა).

**მეათე სურათი**

რამდენიმე საათის შემდეგ იმავე ღამეს, ბლანში მიჩის მერე სმას შეჰყოლია. თავისი ჩემოდანი შუა საწოლ ოთახში გამოუთრევია. ჩემოდანი ახლილია და გავსებულია ჭრელა-ჭრულა კაბებით. სმასა და ჩემოდნის ქექვას ბლანში ისტერიკულ აგზნებამდე მიუყვანია და

გაუმხიარულებია კიდევ, ჩაუცვამს რაღაც დასერილი და დაკმუქნილი თეთრი ატლასის საღამური ხალათი და ფეხებიც ქუსლებზე ბრილიანტმოსხურებულ მოკერცბული ქოშტში წაუყვია. ახლა კი კედელში დატანებული სარკის წინ დამდგარა და თავზე რაინის ქვებით მოოქვილ გვირგვინს იხურავს და თან აგზნებული ისე ბუტბუტებს, თითქოს ირგვლივ თაყვანისმცემელთა ლანდების ხროვა ეხვიოს.

**ბლანში.** აბა, რას იტყვით, იქნებ წავსულიყავით საბანაოდ და ძველ ქვისსამტეხლოსთან გვეცურავა მთავრის შუქზე? ოღონდ ვინმე იმდენად ფხიზელი თუა, მანჭანის ტარება რომ შეეძლოს? აკი ყველა გამოკრევირით, ა? ჰა-ჰა! თავი თუ გიბრუის, ყველაფერს ჭობია წყალში გადაეშვა. უმალ გაგიჭრება თავის ტკივილი. მხოლოდ, სიფრთხილე კი გამართებთ, როცა იმ ადგილებში ჩაყვინთავთ, სადაც ღრმა წყალია, თორემ თუ კლდის ქიმს დაჰკარით თავი, კარგად მეუოლეთ, მეორე დილამდე თავს ვეღარ ამოჰყოფთ ზევით... (ათრთოლებული ხელით პატარა სარკე ახლოს მიაქვს სახესთან. სუნთქვაშეკრული სარკის ისეთი ძალით დააგდებს მაგიდაზე, რომ სარკე იმსხურევა. ბლანში კენესა აღმოძდება და ცდილობს ფეხზე წამოდგეს. ქუჩის კუთხიდან გამოჩნდება სტენლი. ტანთ ისევ ღია მწვანე აბრეშუმის პერანგი აცვია, ბურთის თამაშის დროს რომ ხმარობს. კუთხეს რომ გამოსცდებოდა, მოისმის მღარე ხარისხის რიტმიანი მუსიკა. იგი ხმადაბლა ისმის მთელი სურათის მანძილზე. სტენლი შედის სამზარეულოში და კარს მოიჭახუნებს. ბლანში რომ მოჰკრავს თვალს, ოდნავ დაუსტვენს. ცოტა შეზარბომებულია და თან რამდენიმე ბოთლი ლუდი აქვს წამოდებული).

**ბლანში.** რასა იქს ჩემი და?

**სტენლი.** კარგად არის.

**ბლანში.** ბავშვი?

**სტენლი** (გულლიად გაუღიმებს). დილამდე არ ელი-  
ან და მითხრებს, შინ წაბრძანდით და ცოტა თვალი მო-  
ატყუეთო.

**ბლანში.** მაშასადამე, გამოდის, რომ ჩვენ აქ მარტონი ვჩრებიო?

**სტენლი.** პო. მხოლოდ მე და თქვენ, ბლანში, თუ ვინმე არ გყავთ დამალული საწოლქვეშ. ეგ ზიზილ-პიპილოები რასთან დაკავშირებით აგისხამთ?

**ბლანში.** რა ვქნა, ასე იყო საჭირო. სწორედ თქვენი წასვლის შემდეგ მომივიდა ტელეგრამა.

**სტენლი.** კარგ რამეს თუ გატყობინებენ მაინც?

**ბლანში.** მგონი კი. მიწვევა უნდა იყოს.

**სტენლი.** სად? მეხანძრეთა მეგლისზე?

**ბლანში** (თავს უკან გადააგდებს) იახტით კარიბის ზღვაზე გასასეირნებლად!

**სტენლი.** ეგ არის და!

**ბლანში.** პირდაპირ მეხვიეთ დამეცა თავზე!

**სტენლი.** იმისგან ხომ არა, მედიის ბეწვს რომ გიგზავნიდაო?

**ბლანში.** ეს იყო მისტერ შეპ ჰანტილი. ერთთავად სულ კულში დამდევა კოლეჯის ბოლო კურსზე. მას შემდეგ იგი აღარ მენახა. ვასულ შობადღემდე. მოულოდნელად გადავაწყდი ბისკაელთა ბულვარზე. ახლა კი, ჰა... კარიბის ზღვაზე გავისეირნოთო! ტანსაცმელს რა ვუყო, არ ვიცი. მთელი ჩემი ჩემოდანი გადავქექე, რომ მენახა, აღმოჩნდებოდა თუ არა ტროპიკების შესაფერი რამე.



ს ტ ე ნ ლ ი . და ამ... დიდებულ გვირგვინს გადაეყარეთ, არა? ძვირფასი ქვებით მორთულ-მოკაზმულს!

ბ ლ ა ნ შ ი . ამ ძველ გადანაშთს? ჰა-ჰა! ეს ხომ უბრალო რაინული ქვებია და სხვა არაფერი!

ს ტ ე ნ ლ ი . დალაზეროს ეშმაკმა! მე კი ტიფანისეული აღმასები შეგონა (პერანგის ღილებს იხსნის).

ბ ლ ა ნ შ ი . მერე რა ვუყოთ. მე მაინც ხელის გულზე ვატარებინებ ყველას ჩემს თავს.

ს ტ ე ნ ლ ი . ბიკოს, ვერ უყურებთ? (ისევ პერანგის გახდას მიჰყოფს ხელს).

ბ ლ ა ნ შ ი . იქნებ ეგ ფარდა დაგებურათ მაინც ვიდრე კიდეც რამეს გაიხიდიდეთ!

ს ტ ე ნ ლ ი (დაყვავებით) სულ ეს არის, რის გახდასაც ჭერჭერობით ვაპირებ. (ლუდის კვარტიან ბოთლს ვერცხლის ქალაღს შემოაცლის) აქ სადმე ბოთლის ასანდელს ხომ არ წაწვეტებინებთ (ბლანში ტუალეტის მაგიდასთან მიდის ნელი ნაბიჯით. ხელის თითები ერთმანეთში აქვს გადახლართული) ერთი ბიძაშვილი მყავდა, ლუდის ბოთლებს კბილით ხდიდა თავს. (ცლილობს მაგიდის ძვიდებზე ჩამოკვრით ახადოს ბოთლს თავი) ამის მეთი არაფერი შეეძლო. აი, ის იყო თუ იყო ბოთლების ამხდელი. (ბოთლიდან საცობი ამოვარდება, ლუდის ქაფი მძლავრად ამოხეთქავს ბოთლის ყელიდან. სტენლი გაბუნდირებული კაცივით იცინის, თან ბოთლი თავსხვეითა აქვს აღმართული) ჰა-ჰა უყუუნა წვიმა მოვიდა! (ბოთლს ბლანშს გაუწვდის) იქნებ საბრძოლო ნაჯახი მიწაში ჩაგვეფლა და თითო კიკა ჩვენი სიყვარულისა შეგვესვა, ჰა?

ბ ლ ა ნ შ ი . არა, გმადლობთ.

ს ტ ე ნ ლ ი . ისე, კაცმა რომ თქვას, ძან ღამე კია ეს ღამე ორივესთვის. თქვენ თქვენი მენავთობე მილიონერი გამოგაცხადათ, მე კი ბავშვი მიჩნდება (შედის საწოლ ოთახში, კედლის შკაფს მიადგება, დიხრება და ქვემო უჯრიდან რალაცას ამოიღებს).

ბ ლ ა ნ შ ი (უკან იხვეს) აქ რას აეთებთ?

ს ტ ე ნ ლ ი . აქ ერთი რალაც მაქვს, რასაც განსაკუთრებული შემთხვევების გამო მივაკითხვა ხოლმე. ეს აბრეშუმის პიჯამა შეცვა სწორედ ქორწინების ღამეს!

ბ ლ ა ნ შ ი . ოჰ...

ს ტ ე ნ ლ ი . როგორც კი ტელეფონი დარეკავს და შემატყობინებენ „ვაფი შეგეძინათო!“ მაშინვე ნაკუწ-ნაკუწად დავხვე და დროშასავით ავაფრიალებ! (აფრიალებს ათასდრად გაბრწყინებულ პიჯამას) ამაღამდელ ღამეს მე და თქვენ უფლება გვაქვს ცოტა გავიჭაჩოთ... (მკლავზე პიჯამაგადადებული კვლავ სამხარელოში გაბრუნდება).

ბ ლ ა ნ შ ი . როცა მახსენდება, რომ არსებობს ისეთი ნეტარება, როგორც არის საკუთარ თავთან მარტო დარჩენა, ღამის სიხარულისაგან ავტირდები!

ს ტ ე ნ ლ ი . ის თქვენი დალასელი მილიონერი კი დაგანებებთ მაგ თქვენს მარტოობას?

ბ ლ ა ნ შ ი . ეს იმის კაცი არ გახლავთ, რაც თქვენ გგონიათ. იგი ნამდვილი ჭენტლმენია და პატივისცემით შეპყრობა. (გამალეებული თხზავს ამბებს) მას უბრალოდ ჩემი სიახლოვე სჭირდება. დიდ სიმდიდრეს ხშირად მარტოობის შეგრძნება ახლავს თან! განათლებულ, გონებაგახსნილ და წესიერად აღზრდილ ქალს შეუძლია განუზომელი მშვენიერებით ადავსოს მამაკაცის ცხოვრება! მე კი ეს თვისება უხვად მაქვს მომადლებული და მისი გაცემით სრულიადაც არ გავაბატავდები. ფიზიკური მიმზიდველობა წარმავალი, წუთითერი

განძია, სულის სინატივე, ძალიანი გონება და მარტოობიარე გული — და ეს ყოველივე მე არ მაკლია — კი არ გვერთმევა, არამედ მატულობს და მრავლდება კიდევ. რაც წლები გადის, უფრო გვემატება! განა უცნაური არ არის, რომ ჩემზე უნდა თქვან არასმქონე ქალიაო და ეს მაშინ როდესაც გული ამდენი განძელითა მაქვს ადვსილი (სლუკუნებს). მე მართლაც რომ მდიდარი ქალი ვარ! მაგრამ, რა სულელი ვიყავი, რომ ეს ამდენი ძვირფასი თვალმარგალიტი ვიღაც ღორებს დავუყარე წინ!

ს ტ ე ნ ლ ი . მაშ, ღორებს, არა?

ბ ლ ა ნ შ ი . დიახ, ღორებს! სწორედ რომ ღორებს! მე ახლა მარტო თქვენ კი არ მყავხართ მხედველობაში, არამედ თქვენი ძმაც კი მისტერ მიჩელიც. ამ საღამოს ბრძანდებოდა აქ, მინახულა. და გადმომაფრქვია მთელი ცილისწამება და თუკი რამ ქორი და შარი იცოდა თქვენგან! ისე კი, იცოცხლე, ვიფრინე აქედან...

ს ტ ე ნ ლ ი . აუჰ! მართლა?

ბ ლ ა ნ შ ი . მაგრამ რა გინდაო რა, ისევ მალე დამიკრა თავი. მთელი კალთი ვარდებით გავესო და პატიებას მოხვდა. მაგრამ ყველაფრის პატიება სად გგონია! წინასწარ გააზრებული სისასტიკის პატიება შეიძლება? ჰოდა, ასეც მოვახსენე. დიდი მადლობელი ვარ-მეთქი, ვუთხარი და ჩემგან სისულელეა იმის ფიქრი, რომ მე და თქვენ ოდესმე ერთმანეთს შევეგუებით-მეთქი. მე და თქვენ სულ სხვადასხვა უიდაზე ვცხოვრობთ-მეთქი. სად ჩემი მდგომარეობა და წარმოშობა, და სად თქვენი-მეთქი, მეთი რაღა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ცხოვრებას რეალისტურად შევხედოთ, და რაკი ასეა, კარგად მეყოლე, საყვარელო, ჩემზე ცუდს ნურაფერს იფიქრებ-მეთქი...

ს ტ ე ნ ლ ი . ეგ ყველაფერი თქვენი მილიონერის ტელეგრამის მიღებამდე მოხდა თუ მერე?

ბ ლ ა ნ შ ი . რა ტელეგრამა? არა, არა, მერე! თუ სიმართლე გნებავთ, ტელეგრამა სწორედ იმ დროს მოვიდა, როცა...

ს ტ ე ნ ლ ი . თუ სიმართლე გნებავთ, არავითარი ტელეგრამა არ ყოფილა საერთოდ.

ბ ლ ა ნ შ ი . ოჰ, ოჰ!

ს ტ ე ნ ლ ი . არც არავითარი მილიონერი არ არსებობს! არც მიჩი გხლებიათ აქ ვარდებით, რადგან ძალიან კარგად ვიცი, სადაც ბრძანდება...

ბ ლ ა ნ შ ი . ოჰ!

ს ტ ე ნ ლ ი . და ეგ ყველაფერი თავიდან ბოლომდე თქვენი მოჩმახულია.

ბ ლ ა ნ შ ი . ოჰ!

ს ტ ე ნ ლ ი . ერთი თქვენს თავზედაც დაიხედეთ! ნეტავ დაგანახათ თქვენი თავი ვიღაც ძველ-ძველებით მოვაჭრისაგან კაპიებით დათრულ მაგ კონკებსა და ბრანძებში გამოპრანჭული! თანაც მაგ შტერული გვირგვინით თავდამშვენებულ! ნეტავ რომელ დედოფალად წარმოგიდგენიათ თავი?

ბ ლ ა ნ შ ი . ოჰ, ღმერთო ჩემო...

ს ტ ე ნ ლ ი . ტყუილად კი არ შემოგიჩნდით თავიდანვე! ერთი და ორჯერ არ აგიხვევიათ თვალი იმ ბიქისთვის! ჩამოხვედით აქ, ყველგან ეგ პუდრა თუ რაღაც ოხრობა, მოადავეთ და სუნამოებით აქოთეთ აქაურობა! ღამასა რალაც ქალაღდის ფანარი ჩამოაფხატეთ და თავად კი ნილოსის დედოფალივით გამოგვექიმეთ! გეგონება, ტახტზე წიხი და თანაც ვისკით იქყიპება! მე



კი გუებნებით, ჰა-ჰა-მეთქი! გესმით თუ არა? ჰა-ჰა-ჰა!  
(შედის საწოლ ოთახში).

**ბლანში.** არ შემოხვიდეთ! (ავბედითი ჩრდილ-სი-  
ნათლე ათამაშდება კედლებზე ბლანშის ირგვლივ. ლან-  
დებს უცნაური და მუქარით აღსავსე იერი აქვთ. ბლან-  
ში ძლივს ითქვამს სულს, ტელეფონთან მიდის და  
ყურმილს ეჯაჭვრება. სტენლი აბაზანაში შედის და  
კარს მიხურავს) **მორიგე, მორიგე! მომეცით, თუ შეიძ-  
ლება, საქალაქთაშორისო... საჩქაროდ მინდა დავუკავ-  
შირდე მისტერ შუპ კანტლის დალასში. მოითმინეთ!..**  
ასე უცბად ახლა სად ვიპოვნო... გვედრებით, გამი-  
გეთ... მე... არა! არა, მოითმინეთ! არ დამიკიდოთ, გე-  
თაყვა! (დადებს ყურმილს და ფეხაკრეფით გადის სამ-  
ზარეულოში. ღამე აღსავსეა არაადამიანური ხმებით,  
ჭუნვლებსებური ღრიანცელით. გნისითა და დვრიხვა-  
ისისინით. ლანდები და ავისმაუწყებელი ჩრდილები ცე-  
ცისლი ვენებივით ათამაშდებიან კედლებზე. ბლანში  
ტუჩებზე მოყვებილი თითებს მიიღებს, წელი ნაბიჯით  
მიდის ტელეფონთან და ხმაწარმოებული ჩასძახის) **მო-  
რიგე! მორიგე! ტელეგრაფი... ტელეგრაფი მინდა!**  
(ელოდება, მოთმინება აღარ ჰყოფნის) **ტელეგრაფია?**  
**დიხს! მინდა... ტელეგრამა მინდა გავგზავნო... ჩაიწე-  
რეთ... „გამოუვალ, საშინელ დღეში ვარ! მიშველეთ!**  
**გავები მახში! გავები...“** ოჰ! (სააბაზანე ოთახის კა-  
რები ერთბაშად გაიღება და შემოდის ბრჭყვიალა პი-  
ჯამაში გამოწყობილი სტენლი, ბლანშს უღიმგს, თან  
წელზე იკრავს ფოჩებიან ქაშარს. ბლანში გაოგნებისა-  
გან პირდაღებული ტელეფონს მოსცილდება და უკან-  
უკან იხევს. სტენლი მას მისჩერებია, ტელეფონის აპა-  
რატიდან მოისმის რაღაც ჩხაკუნს).

**სტენლი.** ყურმილი კარგად ვერ დაგიდვიათ. (ტე-  
ლეფონს მიადგება და, ვითომც არაფერია, ყურმილს  
შესაწორებს და კვლავ მას მიაჩერდება, პირზე ღიმილი  
მოერევა და ბლანშსა და კარს შუა ჩადგება. „ცისფერი  
პიანინო“, რომელიც აქამდე ოდნავ გასაგონად ჟღერ-  
და, ახლა მთელი ძალით ახმაურდება. მისი ხმა თან-  
დათან მოახლოებული მატარებლის გრიალში აირევა.  
ბლანში მოიკუნტება, მუკები ყურებზე აქვს მიჭერილი,  
ვიდრე მატარებელი არ გაივლის. ბოლოს წელში გაი-  
მართება).

**ბლანში.** გამატარეთ... გზა მომეცით!  
**სტენლი.** ბატონო?... გავატაროთ? კი, ბატონო.  
მიბრძანდით. (უკან გადადგამს ნაბიჯს და კარებში ჩად-  
გება).

**ბლანში.** იქით დადექით... აგერ, იქით! (ხელით  
უჩვენებს).

**სტენლი.** (იღრიკება) თქვენ რომ გეყოფათ, იმ-  
დენი ადგილი კი არის აქ.

**ბლანში.** თუ მაგ ადგილს მოშორდებით, დიახაც!  
როგორც იქნება, გავალწევ აქედან!

**სტენლი.** თქვენ გგონიათ, ნამუსის ახლას გიპი-  
რებთ, თუ? ჰა-ჰა!

(აღერსიანად ჟღერს „ცისფერი პიანინო“. ბლანში  
თავგზაბნეული შემობრუნდება და ულიაჯოდ ჩაიქნევს  
ხელს. კვლავ ატყვება ჭუნვლებსებური კაკაფონია.  
სტენლი ნაბიჯს გადადგამს მისკენ, თან კბილებს შუა  
გამოჩრილ ენას იკენეტს).

**სტენლი** (წუნარად) თუმცა, ვინ იცის... იქნებ,  
მართლაც გამოდგეთ ისე... უინის მოსაკლავად...

**ბლანში.** (უკან სვლით საწოლ ოთახისკენ იხევს)  
სდექ! არ მომეკაროთ! ერთი ნაბიჯიც, და...

**სტენლი.** და რა?

**ბლანში.** რაღაც საშინელებას ჩავიდენ! არ გეხმ-  
რებით!

**სტენლი.** ტყუილად ნუ ფაფხურობთ! (ორივე უკ-  
ვე საწოლ ოთახშია).

**ბლანში.** ვაფროხილებო, არ ვაბედოთ! არ დაგ-  
ზოგავთ!

(სტენლი კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს მისკენ. ბლან-  
ში ბოთლს დასწვდება, მაგიდას დაჰკრავს, დაამსხვრევს  
და წინ დაუდგება სტენლის, თან ხელში ჩაბღუჯული  
უჭირავს ბოთლის ყელი).

**სტენლი.** ნეტავ ეგ რაღად გინდათ?

**ბლანში.** სახეში გითავაზებთ, თუ თქვენსას არ და-  
იშლით!

**სტენლი.** გეტყობათ, მართლა იცისრებთ მაგ საქ-  
მეს!

**ბლანში.** დიხს, ვიცისრებ, თუ...

**სტენლი.** ერიპა! არევა მოგნატრეპიათ და ეგ  
არის! მას ავეუროთ, რახან აგრე გხუროთ! (ისკუბებს  
მისკენ, მაგიდას გადააბრუნებს. ბლანში შეჰკივლებს და  
ბოთლის ნატეხს მოუღერებს, მაგრამ სტენლი მაჯაში  
სწვდება) ქალი კი არა, ვეფხვი ყოფილხარ... ო, შე ძუ  
ვეფხვი! დააგდე ეგ ბოთლი! დააგდე-მეთქი! ჩვენ ხომ  
თავიდანვე ორივე მოვისწრაფოდით ამ წუთისაკენ!  
(ბლანშს გმინვა აღმოხდება. ბოთლის ნატეხი იატაკზე  
ვარდება. ბლანში მუხლებზე ეცემა. სტენლი ხელში  
აიტატებს მის ძალაგამოცლილ სხეულს და საწოლთან  
მიიყვანს. რესტორნიდან მჭახედ მოისმის საყვირის ხმა  
და დასარტყმელი ინსტრუმენტების ბრახუნსი).

**მეთერთმეტე სურათი**

რამდენიმე კვირის შემდეგ აბაზანიდან ისმის გაშვე-  
ბული წყლის ხმაური. ფარდები სამზარეულოსა და სა-  
წოლ ოთახს შორის სანახევროდ არის გაწეული და ო-  
ნიან პოკერის მოთამაშენი — სტენლი, სტივი,  
მიჩი და პაბლო — სამზარეულოში მაგიდის ირგ-  
ვლივ მსხდომნი. სახლი თითქოს ფირუზისფერი ცის  
ჩარჩოშია ჩასმული. სტელა თავახდილ ჩემოდანში ალა-  
გებს აფორაჯებულ კაბებს და თან იცრემლება. იუნ-ი-  
სი თავისი ოთახიდან გამოდის, კიბეზე ეშვება და სამ-  
ზარეულოში შედის. პოკერის მოთამაშენი ერთბაშად  
აუყაყნდებიან.

**სტენლი.** რაც მინდოდა, ის მოვიდა სწორედ, მად-  
ლობა ღმერთს!

**პაბლო.** მალდიტა სეა ტუ სუერტე!

**სტენლი.** ადამიანურად თქვი, რა გინდა, შე ობ-  
როლო!

**პაბლო.** ჭავრი მომდის, რომ აგრე გწყალობს ბე-  
დი.

**სტენლი.** (გალაღებული) თქვენ რა იცით, რა არის  
ბედი? ბედი იმას სწყალობს, ვისაც მისი სჯერა. თუ  
გინდა თავი გაიტანო ამ ქვეყნის უაზრო გაწამაწაში,  
შენი ბედისა უნდა გჯეროდეს და იმედი გქონდეს.

**მიჩი.** შე... შე... შე... გეყოფა... ყურები ნუ გამო-  
მიჭედე ტრაბახით.

(სტელა საწოლ ოთახში შედის და კაბის კეცვას მოჰ-  
ყვება).

**სტენლი.** ამას რაღა დემართა?



იუნისი (გვერდით ჩაუვლია მოთამაშეთა მაგიდას) მე ხომ სულ იმას ვამბობდი, მამაკაცები უსულგულო, უგრძობელი პირუტყვები არიან-მეთქი, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია. ასე ღორებად რამ გაქციათ (ფარდებში გაივლის და საწოლ ოთახში შევა).

სტელა. ეს რაღას გვერჩის, თუ ძმა ხარ.

სტელა. რას შვრება ჩემი ბიჭუნა?

იუნისი. სძინავს, როგორც პაწია ანგელოსს. აი, ცოტაოდენი უურძენი მოგიტანეთ (სკამზე დაალაგებს მტევნებს და ხმას დაუდამლებს) ბლანში სადღაა?

სტელა. ბანაობს.

იუნისი. საერთოდ როგორ არის?

სტელა. სეკმელს პირს არ აყარებს, ერთთავად სულ სასმელს ითხოვს.

იუნისი. რა ჰქენით, როგორ შეატყობინეთ?

სტელა. როგორ და... უთხარი... როგორც იქნა მოგიხერხებ ქალაქარეთ დასვენება-მეთქი. მას კი უკვე-ლაფერში შეტ პანტილი ელანდება.

(ბლანში ოდნავ გამოაღებს სააბაზანე ოთახის კარებს).

ბლანში. სტელა.

სტელა. რა არის, ძვირფასო.

ბლანში. ის ჩემი ყვითელი აბრეშუმის... ბუკლე... მიმიხედე, არ დაიკმუქნოს. თუ მეტისმეტად არ არის დასრებილი, ჩავიცვამ. (კარს მიხურავს).

სტელა. (იუნისს მიუბრუნდება) არ ვიცი სწორედ მოვიქცი თუ არა.

იუნისი. აბა, რა უნდა გექნა?

სტელა. მაგის ნაამბობს რომ ავეყე, სტენლისთან აღარ უნდა გავჩერდე.

(სააბაზანეს კარი ოდნავ იღება).

ბლანში. (გამოიხედავს) მარტო ხართ?

სტელა. ჰო, ბლანში (იუნისს) უთხარი, დღეს ძალზე მომხიბლავი ხარ-თქო.

ბლანში. დახურეთ ეგ ფარდა... გამოსვლა მინდა.

სტელა. აკი დახურულია.

(გამოჩნდება კარებიდან გამოშვალ მკრთალ სინათლეზე. მისი ნაქანდაკარი სხეულის მოყვანილობას ტრაგიკულობის იერს ანიჭებს ატლასის ხალათი. ბლანშის ოთახში შემოსვლისთანავე გაისმის ვარშავიანკას ხმები)

ბლანში. (ცოცხლად, მაგრამ თითქმის ისტერაქულად) ეს თმაც, აგერ, დავიბანე.

იუნისი. რა დიდებული თმა გაქვთ!

ბლანში. (ქათინაურით კმაყოფილი) მოვლაც გვარაინი უნდა. ხომ არავის ვუკითხივარ?

სტელა. არა, ჩემო ლამაზო, ჯერ არ უკითხიხარ!

ბლანში. უცნაურია! მე კი... (მისი ხმის გაგონებაზე მიჩს ხელი, კარტი რომ უჭირავს, ჩამოუვარდება და თვალებიც უახროდ გაუშტერდება. სტენლი მხარზე ხელს დაკრავს).

სტენლი. მიდი, მიჩ, ჩამო!

(ამ ხმაზე ბლანში შეწრიალდება, უილაჯოდ გაასავესავეებს ხელებს და ტუჩების მოძრაობაზე ეტყობა, როგორ წარმოთქვამს სტენლის სახელს. სტელა თავს დაიქნევს და უცბად განზე გაიხედავს. ბლანში ერთხანს უმოძრაოდ დგას — ხელში ვერცხლის ჩარჩოიანი სარკე უკავია და დადარდასებულ სახეზე დაბნეულობა აღბეჭდვია, თითქოს მთელი ქვეყნის ვარამი მას დასწოლო-

დეს. ბოლოს ბლანში ხმას ამოიღებს და უცბად დგება ისტერაქში).

ბლანში. რა ხდება აქ? (ჯერ სტელას შეხედავს, მერე იუნისს, მერე ისევ სტელას. მისი მკვეთრი ხმა მავიდასთან მსხდომთა ყურადღებას იპყრობს). რა ხდება-მეთქი აქ? ბოლოს და ბოლოს, მეტყვი თუ არა, რა მოხდა აქ?

სტელა. (თითქოს სულს დაფავს) ჩუ! ჩუ!

ბლანში. რას მომჩერებიხართ? მამჩნევთ რაქვს?

იუნისი. რა მომხიბლავი ხართ, ბლანში. გადასარევი ქალია, არა?

სტელა. ჰო.

იუნისი. თითქოს სადღაც მიემგზავრებით, არა?

სტელა. კი, მიემგზავრება... დასასვენებლად აპირებს წასვლას.

ბლანში. ერთი სული მაქვს, როდის გავაღწევ აქედან... აქაურობა ნამდვილი მახეა, ხაფანგი!

იუნისი. რა კონტა ფურჯი უკეტი გაცივიათ.

სტელა. იასამნის ფერია.

ბლანში. ორივე ცდებით. ეს ფლორენციელი მხატვრის დელა რობიახეული ზურმუხტის ფერია. ამ ფერისა მადონას ძველ გამოსახულებათა კაბა. ეს ყურძენი გარეცხილია? (მარცვლებს აცლის იუნისის მიერ მოტანილ მტევნებს).

იუნისი. რაო?

ბლანში. გარეცხილი თუა-მეთქი, ვიკითხე. გარეცხილია ეს ყურძენი?

იუნისი. ფრანგული ბაზრიდან მაქვს წამოღებული.

ბლანში. ეგ სულაც არ ნიშნავს იმას, გარეცხილია თუ არა ყურძენი. (ტაძრის ზარების საშობაო რეკვა) აგერ, ტაძრის ზარების რეკვა... ეს ერთადერთი წმინდა რამ ამ თქვენს უბანში. მოკლედ, მე მზად გახლავართ და მივდივარ კიდევ.

იუნისი. (ჩურჩულთ) არიქა, არ გაასწროს აქედან, ვიდრე ისინი მოვლენ.

სტელა. მოიცადე ბლანში.

ბლანში. არ მინდა იმ მუტრუყების თვალწინ გავიარო.

იუნისი. ჰოდა, დაცადეთ, ვიდრე თამაშს მორჩებიან.

სტელა. აგერ, ჩამოჭეტი, და...

(ბლანში უხალისოდ შემობრუნდება, არ იცის რა ჰქნას, მიწებდება მათ და სკამზე დასაშვინებს თავს).

ბლანში. თითქოს ვგრძობო ზღვის ჰაერის სურნელს. მთელ ჩემს დანარჩენ ცხოვრებას ზღვაზე გავატარებ. ალბათ ზღვაზედვე მოვკვდები. იცით, რა მომიღებს ბოლოს? (ყურძენის მარცვალს მოწყვეტს) მე ალბათ ის გამოშალამებს წუთისოფელს, რომ ოდესმე სადმე ღია ზღვაში ერთ მშვენიერ დღეს შევკვამ გაურცხავ ყურძენს და სიკვდილის წინ ჩემი ხელი ხელში ექირება რომელიმე პირმშვენიერ ექიმს, გემის ექიმს, და მას ექნება პატარა, კონტა ქერა უღვაშები და ვერცხლის დიდი სათი... „საწყალი ქალი“, იტყვიან ჩემზე. „ვერცე ქინკინამ უშველა. ამ გაურცხავმა ყურძენმა გაისტუმრა მისი სული ზეცაში“ (ისმის ტაძრის ზარების რეკვა) და ჩამმარხავენ ზღვაში. შემოაპერებენ თეთრ, სუფთა სუდარას და გადამისვრიან გემიდან... შუადღეს... ზაფხულის მცხუნვარე მზისგულზე... გადამიძახებენ პირდაპირ ოკეანეში, რომელიც იქნება



ისევე ლურჯი, როგორც (ისევე ზარების რეკვა) ჩემი პირველი მიჯნურის თვალები!

(ქუჩაში შენობის კუთხიდან გამოდიან ექიმი და ზედამხედველი ქალი და კიბით აიეანზე აღიან).

იუნისი. (სტელას წასჩურჩულებს) ალბათ ისინი არიან.

ბლანში. (ნელა წამოდგება) ეს რაღა ამბავია? (იუნისი სამზარეულოში გადის)

ბლანში. (დაძაბული) ნეტავ მე ხომ არ მომაკიბეს!

(შემოსასვლელ კარებთან ჩურჩულებენ).

იუნისი. (შემობრუნდება, მხიარულად) ვიღაც კი თხულობს ბლანშს.

ბლანში. მე მკითხულობენ?! (შიშით შესცქერის ხან ეროს. ხან მეორეს, მერე კი ფარდებს გახედავს. ოდნავ მოისმის ვარშავიანკას ხმები) ის კაცია, მე რომ დალასიდან ველოდები?

იუნისი. მე მგონი, კი, ბლანშ.

ბლანში. კი, მაგრამ, მზად რომ არ ვარ.

სტელა. მე...

(იუნისი კვლავ ფარდებს ამოეფარება. ოდნავ ისმის დაფის ხმა).

სტელა. ყველაფერი ჩალაგებულია!

ბლანში. ჩემი ტუალეტის ვერცხლის ნივთები კი ზემოთ დარჩენილა.

სტელა. აჰ!

იუნისი. (შემობრუნდება) აგერ, ისინი, სახლის წინ იცდიან.

ბლანში. ისინი? ვინ „ისინი“?

იუნისი. იმ კაცს თან ვიღაც ქალი ახლავს.

ბლანში. ვერ გამოიგია, ვინ ქალი შეიძლება იყოს! როგორ აცვია?

იუნისი. როგორ და... ისე... უბრალოდ...

ბლანში. ეგ ალბათ... (მღელვარებისაგან ხმა ჩაუწყდება).

სტელა. წავიდეთ, ბლანშ?

ბლანში. იმ ოთახში უნდა გავიაროთ?

სტელა. მე ხომ თან მოგყვები.

ბლანში. როგორ გამოვიყურები?

სტელა. დიდებულად.

იუნისი. (თითქოს ბანს აძლევს). დიდებულად.

(ბლანში ძრწოლით მიუახლოვდება ფარდებს. იუნისი გადაუხსნის ფარდებს და ბლანში სამზარეულოში შედის).

ბლანში. (მამაკაცებს) ნუ წამოდგებით, გეთავა. მე აქ გზად უნდა გავიარო. (სწრაფად გაივლის და გარეთ გამავალ კარებთან მიდის. სტელა და იუნისი უკან მიჰყვებიან. ბლანში კარისწინა პატარა პარმალზე გადის. უცბად შედგება, თითქოს სული ეხუთებაო).

ექიმი. გამარჯობათ.

ბლანში. (უცბად გოგნდება და უკან პარმალისკენ იხევს შემცბარი და კიბეზე ასვლას ლამობს. შეჩერდება სტელას წინ, რომელიც კარებთან ატუზულა, და ლაპარაკობს შეძრწუნებულად) ეს შეკ მანტილი არ

არის. (შორიდას ვარშავიანკას ხმა ისმის. წამათ სიჩქმე ჩამოვარდება — ისმის მხოლოდ რა ჯიუტად ურევს კარტს სტენლი. ბლანში სულშეგუბული ისევ ოთახში შედის, შესვლისთანავე კარებში გაქვავდება. მიჩი ისევ მაგიდაზე დაწყობილ თავის ხელებს დასცქერის თავაულებლად. დანარჩენები კი, მაგიდასთან მსხდომნი, ცნობისმოყვარეობით შეჰყურებენ ბლანშს. ბოლოს იგი, ბლანში, საწოლი ოთახისაკენ გაემურება და ცდილობს მაგიდას გვერდი აუაროს. ამასობაში სტენლი უცბად ფეხისკერით უკან მიადგებს სკამს, წამოდგება და ეტყობა. აპირებს გზა გადაუღობოს მას. ზედამხედველი ქალი ოთახში შეჰყვება ბლანშს).

სტენლი. რაზე დაგვიწყდათ?

ბლანში. (გაანჩხლებული) დიახ, დამავიწყდა! (გვერდით ჩაუვლის მას და საწოლ ოთახში შევარდება. ავბედითი ჩრდილ-სინათლე ათამამდება კედლებზე უცნაური, ავისმალუწყებელი ფორმებით. ისმის ვარშავიანკას ჰანგი აღრეულად, არევედარევიტ, ჭუნგლებისებური ღრიანცელითა და გნისით თანხლებული. ბლანში სკამის ზურგს წაეპოტინება, თითქოს თავდასაცავად ემზადება).

სტენლი. (ხმდაბლა) იქნებ შიგნით შემობრძანებულიყავით, ექიმი.

ექიმი. (ხმდაბლა, ზედამხედველ ქალს) აბა, გამოიყვანეთ. (ზედამხედველი ქალი ერთი მხრიდან დაწინაურდება, სტენლი მეორე მხრიდან).

ზედამხედველი ქალი. სალამი, ბლანშ. (ამ მისალმებას ზედიზედ იმეორებენ რამდენჯერმე იდუმალი ხმები კედელს მიღმა, თითქოს კლდეებსშუა ხეობა გამოეხმაურაო).

სტენლი. მაგას თუ ჰკითხავთ, რაღაც დამავიწყდაო, გეტყვით.

ზედამხედველი ქალი. არაფერია, არა უშავს.

სტენლი. მაინც რა დაგავიწყდათ, ბლანშ?

ბლანში. მე... მე...

ზედამხედველი ქალი. ეგ სულერთია. მერე წამოვიდებთ.

სტენლი. რა თქმა უნდა. შეიძლება ამ ბარგსაც გამოვყოლოთ.

ბლანში. (დამფრთხალი იხევს უკან) მე თქვენ არ გიცნობთ — არა, არ გიცნობთ. არ მინდა... დამანებეთ თავი... გემუდარებით!

ზედამხედველი ქალი. დაწყნარდი, ბლანშ. წამოვიდებთ.

ექოს ხმა. (ხან ძლიერდება, ხან მინელდება) დაწყნარდი, ბლანშ... დაწყნარდი, ბლანშ... დაწყნარდი, ბლანშ!

სტენლი. არაფერიც არ დაგვიწყებიათ გარდა ძირს დაბნეული სახის სათხაპნი ფერუმარლის და ძველი სუნამოების დაცლილი შუშებისა... და კიდევ აი ეს ქალაღლის სანათი, იქნებ გინდათ თან წაიღოთ. გინდათ ეს ქალაღლის სანათი, არა? (მიადგება ტუალეტის მაგიდას, სტაცებს ხელს ქალაღლის აბაყურს, ნათურას აავლეკს და ბლანშს გაუწოდებს. ბლანში შეჰკიცხებს



და ცდილობს დაუსხლტეს ზედამხედველ ქალს. მამაკაცები ფეხზე წამოცვივდებიან. სტელა პარმალზე გამოვარდება, უკან იუნისი მისდევს და ცდილობს დააშოშმინოს. სტელა იუნისს მკლავებში ჩაუვარდება).

**სტელა.** ჰოი, ღმერთო ჩემო, იუნის, მიშველე! ღმერთო, რას უშვებია! უშველე რამე, ასე ნუ აწვალდებიან! ღმერთო! გვევდრებით, ასე ნუ აწვალდებთ! ხელავ, რას უშვებია! რას სჩადიან? (ცდილობს თავი დააღწიოს იუნისს).

**იუნისი.** ნუ, ჩემო: კარგო, ნუ, შენი ჭირიმე, შენ შემოგველე, აქ იყავ, ნუ მიხვალ იქ, აქ იყავ ჩემთან და ნუ უყურებ.

**სტელა.** ეს რა ვუქენი ჩემს დას, ო, ღმერთო, ეს რა ვუქენი ჩემს დას!

**იუნისი.** რა და, რაც საჭირო იყო. სხვა გზა არ გქონდა. არ შეიძლება მაგის აქ დატოვება. სხვა ადგილი კი მაგისთვის არ მოიძებნება. (ვიდრე სტელა და იუნისი პარმალზე ლაპარაკობენ, სამხარეულოში მყოფ მამაკაცთა ყაყანი ფარავს მათს ხმას).

**სტენლი.** (გამოვარდება საწოლი ოთახიდან) ეი, ეი! ექიმო! გეუბრებით, ექიმო! მანდ რას უდგებათ, აქ შემოდით!

**სტივი.** გაგონილა ასე მოპყრობა. წინასწარ მაინც შეეტყობინებინათ.

(მიჩი საწოლი ოთახისკენ გაიწევეს. სტენლი წინ გადაეღობება).

**მიჩი.** (გაცოფებული) შენი, სულ შენი ჩაწყობილია ეს ყველაფერი, ქოფაკო...

**სტენლი.** შორჩი მაგ ბოდილს (ხელისკერით განზე მიავდებს).

**მიჩი.** მოგკლავ, შენი... (მივარდება და მუშტებს დაუშენს).

**სტენლი.** მომაშორეთ ეს ღვთის გლახა!

(მიჩი მუხლმოკვეთილი დაეცემა სკამზე მავიდასთან და აქვითინდება. ამასობაში ბლანში სასოწარკვეთილი იბრძვის თავდასაღწევად და ფრჩხილებით ზედამხედველ ქალს ჩააფრინდება. ძვალმსხვილი, ღონიერი დედაკაცი მას მკლავს გადაუგრებს, ბლანში ხმაჩახლეჩილი შეჰყვირებს და მუხლებზე დაეცემა).

(ექიმი შემოდის ოთახში, ზედამხედველი ქალი მას მიაჩერდება) დასაშოშმინებელი პერანგი ვინმართ ექიმო?

**ექიმი.** მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. (შლანს მოიხდის და არაადამიანური იერი გაუქრება, ხმა ალურსიანი გაუხდება და ბლანშთან მისული დაიხრება მისკენ და უყვავებს. როგორც კი წარმოთქვამს ბლანშის სახელს, ამ უკანასკნელს შიში თითქოს გაუვლის. კედლებზე ათამაშებული შუქ-ჩრდილი თანდათან უფერულდება, ჭუნგლებისებური ხმაური ცხრება და თვით ბლანშის ქვითინიც კლებულობს) ქალბატონო დიუბუა. (ბლანში მისკენ სახეს შეაბრუნებს და სასოწარკვეთილი მუდარით შეჰყურებს. ექიმი გაუღიმიებს. შემდეგ იგი ზედამხედველ ქალს მიმართავს) არა, არ გახდება საჭირო.

**ბლანში.** (მილეული ხმით) თუ შეიძლება, სთხოვეთ, ამიშვას.

**ექიმი.** (ზედამხედველ ქალს) აუშვით.

(ზედამხედველი ქალი ხელს უშვებს ბლანშს. ბლანში ხელებს გაიწვდის ექიმისკენ. ეს უკანასკნელი ალურსიანად წამოაყენებს მას ზეზე, მკლავში ხელს გაუყრის და ფარდებსშუა გავლით გარეთ გამოჰყავს).

**ბლანში.** (მიეხუტება ექიმს) ვინც უნდა იყოთ თქვენ, — სულერთია, მე მაინც ყოველთვის უცხო სალხის სიკეთეზე ვიყავი დამოკიდებული.

(ბანქოს მოთამაშენი უკან მიდგებიან, როდესაც ბლანში და ექიმი სამხარეულოს გაივლიან და კარებისკენ გაემართებიან. ბლანში მორჩილად მიჰყვება ექიმს უკან ბრმასავით. პარმალიდან რომ ჩადიან, სტელა, მთლად მოკუნტული, საფეხურებზე ჩაიუცქული უკან მისძახის დას).

**სტელა.** ბლანში! ბლანში! ბლანში!

(ბლანში უკანმოუხედავად განაგრძობს გზას, უკან ექიმი და ზედამხედველი ქალი მიჰყვებიან. ისინი შენობის კუთხესთან მოუხვევენ და თვალს მოეფარებიან. იუნისი ზემო სართულიდან ჩამოდის და სტელას ხეობაზე დაუსვამს ლიცინფერ საბანში გამოხვეულ ბავშვს. სტელა ბავშვს ჩამოართმევს, თან გულამომგდარი ქვითინებს. იუნისი სამხარეულოში შევა, სადაც მამაკაცები გარდა სტენლისა, მღუშარედ იყავებენ თავთავიანთ ადგილებს. სტენლი გარეთ გამოდის პარმალზე, კიბეზე დგას და სტელას შეჰყურებს).

**სტენლი.** (ყოყმანით) სტელა... (სტელა თავს ვეღარ იკავებს, გულამოსკვნილი ქვითინებს და თითქოს ცდილობს ტირილით მოიოხოს გული ახლა. როდესაც და გზიდან ჩამოეცალა).

**სტენლი.** (ვნებიანად, მოფერებით) დაწუნარდი, საყვარელო, ჩემო გოგონი, დამშვიდდი, ჩემო სასურველო (დაიჩქებს მის გვერდით და თითებით მის საკინძეს მისწვდება) გეყოფა, ჩემო ლამაზო, ჩემო საყვარელო, დაწუნარდი, დამშვიდდი...

ნეტარებით აღსილი ქვითინი, გრძნობამორეული ჩურჩული შეუმჩნევლად ინთქმება „ცისფერი პიანინოს“ და საყვირის დახშულ ხმაში, რომელიც თანდათან ძლიერდება).

**სტივი.** მიდი, ჩამოარიგე...

ფარდა

თარგმნა გიორგი ჯაბაშვილმა.